ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული
და საზოგადოებრივი ჟურნალი

ალავი

ჟურნალი გამოდის
2016 წლის იანვრიდან,
გამოსცემს სამცხე-
ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

28

2022

რედაქტორი – ***მერაბ ბერიძე***

მოადგილე – ***მაკა ბერიძე***

სარედაქციო საბჭო:

ლალი ბერიძე
ლია ზაზაშვილი
ციური ლაფაჩი
მალხაზ ლომსაძე
ლერი ნოზაძე
მაია ქუქჩიშვილი
ნატო ყრუაშვილი
ირინა ჯიშკარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, *თბილისი*
რეზო შეროზია, *ზუგდიდი*
ზაირა კელოშვილი, *ათენი*
ნუგეშა გაგნიძე, *ქუთაისი*

მხატვარი: ***თამარ თამარაძე***

მდივანი: ***ზაირა გელაძე***
მენეჯერი: ***ეუეუნა დემეტრაძე***

საგამომცემლო ჯგუფი: ***ლია ზედგინიძე***
ლარისა გურგენიძე

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №113
© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022
ISSN 2346-836X

ნესტან სულავა

ქართველი ერის კრებსითი სახის ინტერპრეტაციისათვის

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ, სამეცნიერო-პოპულარულ და საზოგადოებრივ ჟურნალ „არავში“ სხვადასხვა ჟანრის ბევრი საინტერესო მხატვრული ნაწარმოები გამოქვეყნდა. რამდენიმე მათგანზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

მეცნიერი და კრიტიკოსი ბატონი რევაზ მიშველაძე შესანიშნავი ნოველისტია, რომელმაც ქართული ნოველისტიკაში თავისი სიტყვა უკვე თქვა და მის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა და საუბარს სწორედ რევაზ მიშველაძის ნოველაზე მსჯელობით დავიწყებ. ესაა **„ქართული კინოს მამა“**. მისი ნოველების გმირთა სულიერი სამყარო, ხასიათი, განწყობილება, განცდა ქართველი კაცის ეგზისტენციალური ყოფის ფონზე აისახება, რის გამოც ეს ნოველები ფსიქოანალიტიკური თვალსაზრისით განხილვის საფუძველსაც ქმნის. ისინი თანამედროვე ყოფისათვის დამახასიათებელ ეპოქის სულს, ადამიანურ ურთიერთობებს, კულტურულ-სოციალურ გარემოს წარმოაჩენენ. რევაზ მიშველაძე მეტაფორული აზროვნებით გამორჩეული მწერალია, რომელიც მკითხველს

უმეტესად იუმორით შეზავებულ, ზოგჯერ კი სევდით აღსავსე თავისი თხზულებებით დიდ საფიქრალს უტოვებს, რათა საკუთარი განწყობა შეუქმნას, განცდა და ფიქრი აღუძრას; თავისი ნოველებით თავისებურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სტილს აყალიბებს და, ერთი შეხედვით, პატარა, მაგრამ მაღალი ღირებულების მქონე სიუჟეტურ რკალში დიდ სათქმელს მოაქცევს.

ამ ბოლო ხანებში „არავში“ გამოქვეყნდა რევაზ მიშველაძის საინტერესო ნოველა „ქართული კინოს მამა“, რომლითაც მწერლის მრავალრიცხოვანი თხზულებების პერსონაჟთა გალერეას შეემატა ამ ერთ-ერთი საინტერესო ნოველის მთავარი პერსონაჟი, ქართული კინოს სათავეებთან მდგომი ვასილ//ვასო ამაშუკელი, რომელმაც გადაიღო პირველი ფილმი საქართველოში „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, რომელსაც განუზომლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძოდ ქართული კინოს ისტორიაში და, საზოგადოდ, ქართული კულტურის ისტორიაში. ცხადია, მწერალს უფლება აქვს ცნობილ მოვლენებს გადაუხვიოს და მკითხველს ისტორიისაგან სიუჟეტურად განსხვავებული ვერსია შესთავაზოს, რაც თავის მიზანდასახულობას აღწევს ნოველისათვის დამახასიათებელი მოულოდნელი დასასრულით. მწერალმა ამ ნოველისათვის საინტერესო და მრავლისმთქმელი სიუჟეტი შეარჩია; მოქმედება ქუთაისში მიმდინარეობს ნაადრევ გაზაფხულზე, როდესაც ზღაპრულ ფერებსა და ახლადაყვავებულ, ხასხასა მწვანეში ჩაფლული ქალაქი, მისი ყოველი კუთხე-კუნჭული ულამაზესია. ამ ფონზე შემოჰყავს ქართულის მასწავლებელი პოეტი ზურაბ კუხიანიძე და თავისი თანატოლები, თანაკლასელები, რომელთაც მასწავლებელი ხან სად დაატარებს და ხან - სად, რათა უკეთ გააცნოს საკუთარი ქალაქის, ქვეყნის ისტორია, აღუძრას ინტერესი კულტურაში მიმდინარე სიახლეებზე, მოკლედ რომ ვთქვათ, სულიერებას აზიაროს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი „გასეირნების“ შესახებ გვიამბობს ნოველა, როდესაც მასწავლებელმა თავისი მოძღვრებებით დაფრთიანებულ-დაკვალიანებული მოსწავლეები ქალაქკომის შენობასთან კიბის ქვეშ მდებარე პატარა ოთახთან მიიყვანა, რითაც ძლიერ გააკვირვა და განაცვიფრა, იქ რა უნდა ყოფილიყო ღირსშესანიშნავი. მასწავლებლისა და მოსწავლეების ყურადრება მიიქცია ამ პატარა ოთახში მყოფმა

წარბულვაშიანად გათეთრებულმა, ტილოსკიტელიანმა კაცმა, რომელიც კედელზე რაღაცას გულმოდგინედ ამაგრებდა. ეს კაცი იყო პირველი დოკუმენტური ფილმის ავტორი, რეჟისორი და გადამღები ვასო/ვასილ ამაშუკელი, ნოველის მიხედვით, იმერეთის ერთი მთიანი სოფლიდან, ამაშუკეთიდან ქალაქში ჩამოსული, რომელმაც, პერსონაჟის სიტყვით, პირდაპირ პარიზს მიაშურა ცხოვრების გზისა და საკუთარი თავის საძიებლად. ბატონი ვასილი ჩინებული ენაწყლიანი მთხრობელი აღმოჩნდა. დაწვრილებით უამბო მოსწავლეებს, როგორ წავიდა პარიზში, როგორ ისწავლა ტოპოგრაფია და სამშობლოში დაბრუნებამდე მცირე ხნით ადრე როგორ აღმოჩნდა „სინემას სახელოსნოში“, სადაც კინოს საქმისადმი ინტერესი აღუძრეს და ჩაუნერგეს. იქ გაეცნო კინემატოგრაფიული საქმის საწყისებს, რის შემდეგაც მათი რჩევით შეიძინა აპარატურა და მონატრებულ სამშობლოს მოაშურა. ყველაზე მთავარი და ძირითადი, რაც უნდა გადმოიცეს ნოველაში, ისაა, თუ როგორ გადაიღო ვასო ამაშუკელმა აკაკი წერეთლის მოგზაურობა და სტუმრობა რაჭა-ლეჩხუმში. ამ მოვლენის აღწერა კონცეპტუალური ხასიათისაა ნოველაში, რომელშიც გაცოცხლებულია, ერთი მხრივ, საქართველოს ბულბული აკაკი წერეთელი და ნაჩვენებია მისი შთამბეჭდავი სახე, მოგზაურობის დაუვიწყარი სურათები, მისი ურთიერთობა ხალხთან, თვით ფილმის გადამღებთან, აგრეთვე, იმ უხერხულ სცენებზე, პირველ გადაღებებს რომ ახლდა. მკითხველს თვალწინ გაურბენს დოკუმენტური ფილმის კადრები, ჭრებალოში, ნიკორწმინდაში თავმოყრილი უამრავი ხალხი და დიდი სიყვარული ლეგენდადქცეული პოეტისადმი. ნოველას მართლაც აქვს მოულოდნელი დასასრული, მკითხველი არ ელოდება ბატონი ვასოს გადაღებული ფილმის იმგვარ ისტორიას, რაც აქაა მოთხრობილი, რადგან განათლებულმა მკითხველმა ძალიან კარგად იცის ფილმის გადაღებისა და მისი განახლების ისტორიაც, თვით ფილმის ავტორის, ვასილ ამაშუკელის, ცხოვრების გზაც. ავტორმა საგანგებოდ გადაუხვია რეალობას, რათა ეჩვენებინა მეფის რუსეთში არსებული რთული ვითარება, სისასტიკე, დამთრგუნველი დამოკიდებულება ხალხისადმი, თვით გადამღების ხვედრი ამ დროში, როდესაც ბატონ ვასოს პოლიციის თანამშრომლებმა გამზადებული ფილმი ჩამოართვეს და წაიღეს, რის შემდეგაც

კინოგადაღებაზე აღარც უფიქრია, იმდენად მძიმე შთაბეჭდილება დაუტოვა ამ ფაქტმა. მან ახალი საქმე შეისწავლა, ელექტრო-შემკეთებლის ფუნქციას ასრულებს ქალაქკომში და სასარგებლო საქმეს აკეთებს. მხოლოდ ორმოცდაათი წლის შემდეგ მიაკითხა კინომცოდნე გოგი დოლიძემ და ამცნო, რომ მის მიერ გადაღებულ ფილმს მიაკვლია და აჩვენა. ქართული ფილმის მამამთავარი ბატონი ვასო ფილმის ნახვამ მძიმე განწყობაზე დააყენა, რადგან ფილმიდან მხოლოდ მცირე ნაწილი იყო დატოვებული, პოლიციას ფილმიდან ამოუჭრია დიდი ნაწილი და გაუნადგურებია. მაგრამ, მიუხედავად დიდი განსაცდელისა და თავს დატეხილი უბედურებისა, მაინც გადარჩა „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭალეჩხუმში“, რომლის დაკარგული ნაწილის პოვნის იმედიც გაულვიძა პირველი კინოს შემოქმედს კინომცოდნე გოგი დოლიძემ. ნოველის მიზანდასახულობის ერთი მახასიათებელი ცხადდება მის დასასრულს იმ ეპიზოდში, როდესაც ბატონი ვასო თავისი საქმიანობის შესახებ უამბობს სკოლის მოსწავლეებს, რომელთაც პირდაპირ არა, მაგრამ ქვეტექსტურად შთააგონებს, რომ ნებისმიერი საქმე, რასაც ადამიანი ხელს მოჰკიდებს, არასოდეს არაა სათაკილო, „მონტიორობა არაა გლახა საქმე“, რითაც მწერალმა ქართველი კაცის ხასიათი, თავმდაბლობა, საქმისადმი ერთგულება და პატიოსანი დამოკიდებულება წარმოაჩინა.

ნათელა მელიქიძე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია და გამოქვეყნებული პროზაული ნაწარმოებებით მკითხველის წინაშე ახალ ამპლუაში წარდგა. იგი თავის პედაგოგიურ-სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ქმნის მცირე ფორმის პროზაულ თხზულებებს, ნოველებს, მინიატურებს, ჩანახატებს. მათი ნაწილი გამოქვეყნებულია „არავის“ ორ ნომერში (№ 24, №25). ამ მცირე ფორმის თხზულებებში წარმოსახულია სამცხე-ჯავახეთის მკვიდრთა ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული სახეები, ამ გეოგრაფიული სივრცისათვის დამახასიათებელი პირდაპირობით, ტკივილით, იდუმალებით, იუმორით, რაც თითოეულ მათგანს დასამახსოვრებელს ხდის და პროზას კი ნაწილობრივ დოკუმენტურის ღირებულებასაც ანიჭებს. ეს მცირე ფორმის პროზა მხოლოდ მხატვრული თვალსაზრისით არ იპყრობს

მკითხველის ყურადღებას, არამედ მათში ხშირია ავტორის ეტიმოლოგიური ძიებები ცალკეულ ონომასტიკურ მასალასთან დაკავშირებით. ავტორი გვაცნობს მესხეთის მკვიდრთა მიგრაციის პრობლემასაც, მათ შორის აჭარელთა, იმერელთა, საქართველოს მთიანეთიის მკვიდრთა ჩამოსახლების საკითხს და ჩამოსახლებულთა ყოფით დეტალებს, 1944 წელს საქართველოდან შუა აზიაში გასახლებულთა ყოფას და იმ ფსიქოლოგიურ სტრესს, რაც მათ განიცადეს. მწერალი ყურადღებას ამახვილებს ტრადიციულობასა და მემკვიდრეობითობაზე, რომელსაც ვკითხულობთ მის პერსონაჟთა დიალოგებში, კერძოდ, ნოველაში **„ზღაპარი სიყვარულისა“**, რომელშიც სიყვარულის მარადიულობაზე, ქართულ ტრადიციებზეა საუბარი. თხზულების პერსონაჟები იხსენებენ ძველ ტრადიციულ ყოფას, როდესაც თანამედროვეობისაგან განსხვავებული ადამიანური ურთიერთობები ადამიანად ყოფნის ბედნიერებას ანიჭებდა და რაც რაცა ლეგენდად, ზღაპრად, გაუხუნარ და მარადიულ მოგონებებად დარჩა. მცირე ფორმის ერთ პროზაულ ტექსტში, **„ერთ ზამთარს“**, საინტერესოდაა მოთხრობილი ერთი ოჯახის ცხოვრების ერთი ეპიზოდის შესახებ, რომელიც, ფაქტობრივად, ამ ოჯახის მთელ ისტორიას გვითვალისწინებს და მათი ცხოვრების სტილზე, ადამიანისათვის თავდადებაზე გვესაუბრება, რაშიც გვარწმუნებს თუნდაც ერთი ფრაზა: „თანასოფლელები ხუმრობდნენ, ლაზარეთი უნდა ერქვას ამ სახლს, ტარიელას სახლი კი არაო“, რაც სრულიად ნათელს ოჯახის საქმიანობას, ყოველი წევრის დამოკიდებულებას გაჭირვებაში მყოფი ნებისმიერი ადამიანისადმი. **„ნატო“** გვიამბობს იმაზე, როგორ ჩააწვეთეს და შეაპარეს ავი ენის პატრონებმა მცირეწლოვან გოგონას, სხვისი ხარო, რამაც ეჭვები გაუჩინა და გარდატეხა შეიტანა მის ცხოვრებაში, თუმცა აღმზრდელთა დამოკიდებულებამ მაინც თავისი გაიტანა და სიკეთის დაფასება შეძლო, დაინახა, რომ დედისა და მისი ნათესავებისაგან გაწირულს მადლიანმა ხალხმა არაფერი დააკლო, საკუთარ შვილებთან ერთად აღზარდა, ზრუნვა და სითბო არ დააკლო, სიყვარული ასწავლა, მადლის დაფასება ასწავლა. ჩანახატში **„ხემ კამფეტები მოისხა“** თუთასთან დაკავშირებული ონომასტიკურ ერთეულებზეა ყურადღება გამახვილებული, რაც ნათელა მელიქიძის საკვლევ მასალასთანაც ასოცირდება და

ემჩნევა, რომ მისი ავტორი კარგად ერკვევა ფილოლოგიური მეცნიერების ამ სფეროში, რადგან თავის პროფესიულ ცოდნას ოსტატურად იყენებს მხატვრული ნააზრევის გადმოსაცემად. მაგალითებად შეიძლება დავიმოწმოთ თუთაძეთა, თოთაძეთა გვართან დაკავშირებული მსჯელობები. **„ქვევრები, უტყვი მოწმენი“** გვაცნობს ადგილის დედის სატკივარს, ფიქრს, რომელიც ქართულ ფენომენს დასტრიალებს თავს. ქვევრი უტყვი მოწმეა საქართველოს ისტორიისა, იმ მძიმე წარსულისა, რომელიც ქართველმა კაცმა გადაიტანა. ქვევრის ნატეხის ხილვამ მწერალს შორეული ასოციაციები აღუძრა და სოციალურ ქსელებში გავრცელებული ფოტო გაახსენა, რომელზეც საქართველო-აზერბაიჯანის სადავოდ ქცეულ მიწაზე აღმოჩენილი ქვევრებია აღბეჭდილი, როგორც საქართველოს ისტორიისა და საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის უტყვი მოწმე. ნათელა მელიქიძე მხოლოდ მესხეთის ამბებს არ მოგვითხრობს, მისთვის ასევე ახლობელი და ძვირფასია გურიისა თუ სვანეთის მკვიდრთა ხასიათები, სტუმარმასპინძლური წესები და ადათები, რაც საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ განსხვავებული, თავისებური ნიშან-თვისებებით. ასეთებია **„გურიაში“** და **„სვანეთის გზაზეც“**. ამ უკანასკნელში გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანის თანამდგომ პერსონაჟს წარმოაჩენს, რომელიც სხვისი ტკივილის გათავისებით ამჟღავნებს ადამიანურ სითბოს, თანალმობისა და თანაგრძნობის იმგვარ შემთხვევას, როდესაც საკუთარი და სხვისი შვილები ერთიან დროსივრცულ არეალში იზრდებიან, საკუთარი და სხვისი შვილები ადამიანად ყოფნას, უდიდესი სიკეთის გამოვლინებას სწავლობენ. ნათელა მელიქიძე თხრობის ორიგინალურ სტილს მიმართავს, უმეტესად თავის პერსონაჟებს ასაუბრებს და ისინიც ყვებიან თავიანთი ცხოვრების შესახებ, სიყვარულის, ოჯახის, სოციალური პრობლემების შესახებ, რითაც თითოეული მათგანი ინდივიდის სახით წარდგება მკითხველის წინაშე. ისიც ჩანს, რომ თითოეულს პროტოტიპი ჰყავს და ხშირად მკითხველიც ამოიცნობს მათში იმ რეალურ პიროვნებას, რომლის პროტოტიპი ცხოვრებიდანაა შემოყვანილი და ასახული. ასეა **„ფატი ბებო“** და **„უხუცესი“**, რომლებშიც სოფლისათვის დამახასიათებელი ეპიზოდების ასახვით ცოცხალი, მეტყველი, კონკრეტული პერსონაჟების

სახეები იკითხება. ნათელა მელიქიძემ ნოველაში **„ისევ სიყვარულისა ვთქვათ“** გააცოცხლა საქართველოს მთიანეთიდან სამხრეთ საქართველოში გადასახლებული, არცთუ დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ჩვენი კოლეგის, გულიკო ბექაურის, მამა, ბატონი მოსე ბექაური, განთქმული თავისი კეთილშობილებით, კაიკაცობით, სტუმარმასპინძლობით, კაცთმოყვარეობით, რომელიც მამულიშვილობის სიმბოლოდ იქცა და მწერალმაც მისი სახე ამ ნოველით კიდევ უფრო დაამშვენა და უკვდავყო. ნათელა მელიქიძის მიერ ასახულ პერსონაჟთა მრავალფეროვანი გალერეა, რომელიც თავის სამეტყველო ენითაც იქცევს ყურადღებას, მკითხველს სითბოს, სიყვარულს, სინათლეს უჩვენებს და სიკეთის ქმნის სურვილს აღუძრავს.

ჯუმა ჯ’უმათელის ნოველის მეტაფორული სათაური - **„ნერგები“** („არავი“, №22) - მიუთითებს, რომ სიახლის დასამკვიდრებლად ბრძოლას შედეგი უნდა მოჰყვეს და „ნერგმა“ უნდა გაიხაროს. ნოველის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი გეოგრაფიის მასწავლებელია, რომელიც არაორდინარულ მეთოდს იყენებს თავისი მოსწავლეების გასაწვრთნელად, მათ არა მხოლოდ გაკვეთილებს უხსნის, არამედ ცხოვრების აზრისა და არსის სწავლებას ცდილობს, რამაც დროთა განმავლობაში ნაყოფი გამოიღო და... „ნერგებმა“ იხარა. მასწავლებელი ხშირად თავის დასმულ საფიქრალ კითხვაზე პასუხს მყისვე არ მოითხოვდა, ფიქრის დროს აძლევდა. ერთ-ერთი გაკვეთილის დროს შემდეგი კითხვა დასვა: „რა არის აუცილებელი, რომ ნერგმა გაიხაროს“? თითქოს ბანალური შეკითხვაა, მაგრამ მასწავლებელს ღრმა ჩანაფიქრი ჰქონდა და მოსწავლეების პასუხმა რომ არა დააკმაყოფილა, - მოსწავლეებმა სხვადასხვანაირი პასუხი გასცეს, მაგრამ მასწავლებლის ჩანაფიქრს არც ერთის პასუხი არ დაემთხვა, - თავადვე გასცა პასუხი, იგავური პასუხი. მისი კითხვა დაფიქრებას და ცხოვრებისეულ სირთულეებზე დაკვირვებას მოითხოვდა, რაც სიყმაწვილის ასაკში მყოფთ ჯერ არ ჰქონდათ. მასწავლებლის აზრით, ნერგების გასახარებლად საჭიროა უფლის მადლი, სიყვარული, ერთგულება, სამართლიანობა, სიკეთე, სიუხვე, განწყობა, აზროვნება, ცოდნა. ყოველ სიტყვას შესაბამისი განმარტება დაურთო, რომელთა ნაწილი საღვთისმეტყველო ცოდნით იყო გაჯერებული, და ბოლოს

თვით მოსწავლეებს უწოდა ნერგები, რადგან თუ ეს ყველაფერი ექნებოდათ, თავადვე შეძლებდნენ საკუთარი ნერგების გაზრდასა და გახარებასაც. მწერლის მიზანი მხოლოდ დამოძღვრა რომ არ იყო, იმთავითვე შეინიშნებოდა. ავტორმა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და მომდევნო პერიოდები გაიხსენა და თითქმის ყველა თანაკლასელის ხვედრი გვამცნო, ერთი „ნერგი“ რუსულმა მოიერიშემ ტამიშთან დაამიწა, მეორე ავღანეთიდან ჩამოასვენეს, თვით მასწავლებელს, რომელსაც „მწვალებელს“ ეძახდნენ, გულმა უმტყუნა. მეგობარი თანაკლასელებიდან დარჩნენ მხოლოდ ორნი, რომლებიც ყოველ ვარდობისთვეს იმქვეყნად გადასულთა საფლავებთან იკრიბებოდნენ, ხოლო შემდეგ სუფრასთან „გადაწარსულებულ ამბებს“ იხსენებდნენ. თამადის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო ადამიანობის განმსაზღვრელ ერთგვარ კოდექსადაც გამოდგება, რადგან მასში ჩაქსოვილი აზრები კეთილშობილების, მადლის დაფასების, სიყვარულის, ერთგულების, სამართლიანობის, სიკეთის, სიუხვის, განწყობის, აზროვნების, ცოდნის დემონსტრაციაა და ის, რასაც მათი მასწავლებელი მოითხოვდა მათგან, სწორად აღქმული აღმოჩნდა. ავტორმა ნოველის დასასრულს სიმბოლური სურათი დახატა, თითქოს ერთად მყოფ მეგობრებს ქუჩიდან ესმოდათ შეძახილი: „სა-ქართ-ვე-ლო!“ და მასწავლებლის აჩრდილი კვლავ ეუბნებოდა: „გაიხარეთ, ნერგებო“.

ვასილ ბერიძემ „არავში“ გამოაქვეყნა რამდენიმე ნოველა, ყოველი მათგანი ფიქრის საფუძველს აძლევს მკითხველს; მწერალს მისი ნოველები მკითხველის კეთილგანწყობას უმალ მოაპოვებინებს. მისი თხრობა სადაა, საინტერესო, იუმორით გაჯერებული, ხშირად ავტობიოგრაფიული თხრობითაც გამორჩეული. ასეთია **„ჩემი ოქროს საათი“** (№ 23), რომელიც ავტობიოგრაფიული ხასიათისა ჩანს. ავტორი ძალზე საინტერესოდ და იუმორის გრძნობით ხატავს ოქროს საათის შეძენის, შემდგომში მისი მარადიული დაგირავების, საპროცენტო თანხის ყოველთვიურად გადახდისა და გამოხსნის ღიმილისმომგვრელ სურათებს. მწერალი გვიამბობს საკუთარი ცხოვრების, ოჯახისგან მოშორებით მუშაობის, დასვენების დღეებში შინ დაბრუნებისა და ოჯახთან

შეხვედრით გამოწვეული სიხარულის შესახებ. საათის დაგირავების ფონზე კარგად ჩანს, როგორია რიგითი მცხოვრების ეკონომიური შესაძლებლობები და რატომ უწევს ასე ხშირად ოქროს საათის დაგირავება. ერთ-ერთი დასვენების დღე, ე.ი. თბილისში ჩამოსვლის დღე, - სამსახური სხვა ქალაქშია, - საათის ლომბარდიდან დახსნის თარიღს ემთხვევა და სამსახურიდან დაბრუნებული მწერალი დილიდანვე საგანგებოდ ემზადება ლომბარდში წასასვლელად, რათა დაიხსნას ოქროს საათი. საინტერესოდაა აღწერილ-გადმოცემული ლომბარდში წასასვლელად მზადების პროცესი, მისი ჩაცმულობა, რომელიც შემდეგ აღმოჩნდება, რომ არცთუ შესაფერისია იმ დღისთვის, როდესაც ქალაქის ცენტრში უნდა გავიდეს და საათი გამოიტანოს, რადგან ქალაქში რაღაც ხდება. მართლაც, არეულ ქალაქში პოლიციელები წესრიგის დამყარებას ცდილობენ და საათის პატრონს ხელი ეშლება მის გამოსახსნელად დანიშნულ ადგილამდე მისვლაში. მაგრამ მისმა პოლიციელებთან თითქმის კოლეგიალობამ უშველა, მართალია, სხვა სფეროში, მაგრამ მაინც ხომ დაცვის საქმეს ემსახურება. მხოლოდ პოლიციის უფროსის სიტყვიერი თანხმობის შემდეგ მიეცა ლომბარდამდე მისვლის საშუალება. როგორც იქნა, მიაღწია ლომბარდს და გამოიხსნა კიდეც თავისი ოქროს საათი და გამობრუნდა. ისევ არეულობა, პოლიციის კორდონები, მაგრამ მაინც ვერ გაიგო, რა ხდება ქალაქში ისეთი, რომ მთელი ცენტრალური უბანი სავსეა პოლიციის თანამშრომლებით. მთელი დღის ხეტიალის შემდეგ შინ მისულმა, დაღლილმა ტელევიზორი ჩართო და ტელედიქტორისაგან შეიტყო, რომ ქალაქში თურმე გეი-პარადი ყოფილა, რასაც მოჰყვა მთელი ეს კორდონები და მოძრაობის აკრძალვები. იხატება სურათი, რომელიც, ერთი მხრივ, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ პრობლემას ასახავს, მეორე მხრივ, ამ არეულობით თუ წესრიგის დასაცავად ჩამდგარი პოლიციის მიერ ქუჩების გადაკეტვით კონკრეტული პირის წინაშე წარმოქმნილი დისკომფორტი, რაც მთელ საზოგადოებაძე ვრცელდება. ეს არა მხოლოდ ერთი მოქალაქის, არამედ მთელი საზოგადოების, რომელ მხარესაც არ უნდა იყოს, სატკივარს წარმოაჩენს. მწერალი მისთვის ჩევული იუმორით აქარწყლებს იმ უსიამოვნო მოვლენებს, რაც დილიდან გადახდა თავს.

მეორე ნოველის, - **„მეწაღე გრიშა“** (№27), - სიუჟეტი ისევ საათს უკავშირდება, ოღონდ ამჯერად საათის სამაჯურს, რომელიც საათს აძვრა და ხელოსანთან წასაღები აღმოჩნდა. ავტორი ფოთის ქუჩებში დაეძებდა სახელოსნოს, სადაც სამაჯურის შეკეთება იქნებოდა შესაძლებელი. მიაგნო ასეთ სახელოსნოს, მაგრამ ხელოსანი შესვენებაზე წასული აღმოჩნდა. მეწაღე გრიშამ შეუკეთა, მაგრამ სანამ შეკეთების პროცესი დასრულდებოდა, ავტორი მთელი სახელოსნოების მუშაობას, იქ მომუშავეთა საქმიანობას გაეცნო, რაც ცხოვრებისეულ სურათებადაა დახატული და ავტორს საშუალებას აძლევს პერსონაჟთა მრავალფეროვანი სახეები შემოიყვანოს, რითაც მკითხველს მათ ინტერესებზე, ცხოვრების სტილზე, მუშაობაზე უქმნის წარმოდგენას.

მესამე ნოველა, **„ორი აღდგომა და გიჟი თაზო“**, კიდევ უფრო აფართოებს პერსონაჟთა გალერეას და მკითხველის თვალწინ წარადგენს აღდგომა დღეს სასაფლაოზე გასვლის ტრადიციებთან ერთად სასაფლაოზე გასულ ადამიანთა განსხვავებულ ტიპებს გვაცნობს. ნოველაში აღწერილია, როგორ ქცეულა სასაფლაო ახლობელთა შეხვედრისა და პურობის ადგილად, რაც ავტორისათვის ჩვეული იუმორითაცაა შეფერილი. ამ ფონზე აჩვენებს ახლობლის დაკარგვით გამოწვეულ ადამიანთა წუხილს, სევდას, დარდს, რომელიც დროის გასვლის მიუხედავად გაუნელებელია და ძველებურ ტკივილს აღძრავს, მით უმეტეს, როდესაც სასაფლაოზე იმყოფებიან. ვალის სასაფლაოზე ავტორის ყურადღება მიიქცია ერთმა ადამიანმა, რომლის ხმა დროდადრო აღწევდა იქ მყოფთა სმენას, თუმცა სიტყვები არ გაირჩეოდა. ეს გიჟი თაზოა, რომელიც ერთ-ერთ საფლავთან რკინის მაგიდას ქვას ურტყამდა და ისე ღრიალებდა, რომ სიტყვების გარჩევა შეუძლებელი იყო. ადგილობრივებმა იცოდნენ მისი ამბავი და ჩასულები დაამშვიდეს. მოხდა კი საოცარი რამ, თაზომ მთელი ხმით, არაადამიანური ხმით გარკვევით დაიღრიალა: „ქრისტე აღსდგაააა!“ და მთელმა ხალხმა, ვინც კი იმ დროს სასაფლაოზე იმყოფებოდა, ერთხმად დასძახა: „ჭეშმარიტად აღსდგა!“ გიჟმა თაზომ მოისმინა იქ მყოფთა პასუხი და მშვიდად, წყნარად დატოვა სასაფლაო. ნოველის მიზანიც მიღწეულია, მას უნდა წარმოესახა, როგორ შეიძლება ადამიანების, საზოგადოების გაერთიანება შემთხვევის წყალობით და,

რაც მთავარია, როგორ შეიძლება ადამიანი დროებით მაინც მოწყდეს ყოფიერებას.

ნატო გაბარაშვილის ნოველაში **„გზა“** (№25) ასახულია დედის გარდაცვალებიდან მიტოვებულ სახლ-კარში ოცი წლის შემდეგ შვილის დაბრუნება და მისი მძაფრი განცდები, მისი ხილვით აღძრული მძიმე შთაბეჭდილება, შეხვედრა წარსულთან და სინანული, რომ აქამდე ვერ მივიდა და ვერ მიეპატრონა მამაპაპისეულ კარმიდამოს. ნოველის დედააზრი იმ საათშია ჩაქსოვილი, რომელიც არ გაჩერებულა, ოცი წლის შემდეგაც მუშაობს, ე.ი. დრო არ ჩერდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მშობლიურ სამყაროში მიბრუნება არასოდესაა დაგვიანებული. მთლიანად მოთხრობა სიმბოლურ-ალეგორიულია, სახლის, მშობლიური გარემოს, სამშობლოს მიტოვება ყოველთვის გულისტკივილს უტოვებს ადამიანს და სინანულის განცდით აღავსებს, ნოველა, ამავე დროს, მიგრაციის პრობლემასაც ასახავს და ეხმიანება.

„არავის“ ბოლო ნომერში გამოქვეყნდა სოლომონ ნერგაძის მოთხრობა **„იუნონა“** (№27), რომელიც მკითხველის თვალწინ აცოცხლებს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მეტად საინტერესო ცხოვრებას და ჩაის სახლთან დამოკიდებულებას, აგრეთვე, პროფესორ-მასწავლებელთა სახეებს, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია სწავლა-სწავლების პროცესზე საუბარი. კომპოზიციურად მოთხრობა სამ ნაწილიანად შეიძლება აღვიქვათ, მესამე ნაწილად ეპილოგი გვევლინება, რომელშიც მწერლის მსოფლმხედველობრივი შეხედულებებია შეჯერებული. მოთხრობის პირველი ნაწილის მთავარი პერსონაჟები ჩაის სახლი და სტუდენტთა მიერ იქ გამართული კამათი გახლავთ. აუდიტორიებში დაწყებული კამათი ჩაის სახლში გრძელდებოდა, კამათი ძირითადად სამეცნიერო-პოპულარულ საკითხებზე იმართებოდა, განსაკუთრებით პოპულარული იყო საუბრები სამყაროსა და ადამიანის წარმოშობის შესახებ, ადამისა და მისი ნეკნის ინტერპრეტაციის შესახებ, რომლის განხილვისას ორ ჯგუფად იყოფოდნენ: კრეაციონისტებად და ევოლუციონისტებად; იყვნენ შემწყნარებლურ-შემრიგებლური დამოკიდებულების მქონენიც. ასევე, მსჯელობის საგანი იყო ფსიქოლოგიური

საკითხები, ფიზიკის კანონები, ცენტრალური ნერვული სისტემის პრობლემები.

ავტორი მოთხრობას სწორედ ადამიანის წარმოშობის შესახებ ლექტორთან მსჯელობით იწყებს, რომელიც იუმორითაც საკმაოდაა შეზავებული; ხშირად ლექტორსაც აიყოლიებდნენ, ისეთ კითხვას დასვამდნენ, რომ იუმორის გარეშე პასუხი წარმოუდგენელი იყო. ასე, რომ სტუდენტები ერთმანეთთან პაექრობას იყენებდნენ საკუთარი მეობის საძიებლად და შესაცნობად, რითაც ჭეშმარიტების მისასვლელი გზის მიგნებას ცდილობდნენ. ყოველივე ამას ავტორის მიერ საგანგებოდ გამოყენებული დიალექტებიც გასდევს, განსაკუთრებით იმერული დიალექტი, რითაც სტუდენტთა წარმომავლობის მრავალფეროვნებასაც წარმოაჩენს.

მეოცე საუკუნის 70-80-იანი წლების სტუდენტთა ცხოვრებაში ჩაის სახლს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებული მისია ჰქონდა; ეს იყო ახალგაზრდების შეკრების ადგილი, სადაც უმაღლეს ღირებულებებზე მსჯელობდნენ, მათი გადასახედიდან აქ კარდინალური საკითხები წყდებოდა, აქ ახალგაზრდები ერთმანეთს ხვდებოდნენ და ეს იყო აზრთა გაზიარების, გაცვლა-გამოცვლის ადგილი. ვის არ შეხვდებოდით, რომელი ფაკულტეტის სტუდენტი გინდოდათ, რომ აქ არ გენახათ, ჰუმანიტარული მეცნიერებებისა თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, იურიდიული თუ ეკონომიური ფაკულტეტების სტუდენტები, რომლებიც თავიანთი განსხვავებული ინტერესებით ებმებოდნენ კამათში ჩაის სმის ფონზე, რომელშიც ვაჟები ხშირად აკრძალულ სითხესაც შეურევდნენ, საგანგებოდ მალულად შეტანილი არყის ბოთლიდან რამდენიმე ყლუპს რომ ჩაასხამდნენ და ამას ისე აკეთებდნენ, რომ ჩაის სახლის თანამშრომლებს ვერ შეენიშნათ. აი, სწორედ ამას ჰქონდა გემო! თუმცა, არც ჩაის სახლის თანამშრომლები რჩებოდნენ ვალში, ძალიან კარგად იცოდნენ მათი საიდუმლო და არ იმჩნევდნენ, პირიქით, აფრთხილებდნენ ზედმეტი არ მოსვლოდათ ან უცხოს არ შეენიშნა. ესეც ეპოქის მახასიათებელი! ხშირად აერთიანებდნენ მაგიდებს, ერთად მიუსხდებოდნენ და გრძელდებოდა საუბრები ისე, რომ ზოგჯერ ლექცია-სემინარებიც კი ავიწყდებოდათ, ზოგჯერ კი სასემინარო მასალებსაც იქ ამუშავებდნენ.

მწერალს მოთხრობის პირველ ნაწილში პერსონაჟებად მაგიდასთან ირგვლივ შემომსხდარი მოკამათე სტუდენტი ვაჟები შემოჰყავს. მეზობელ მაგიდასთან მსხდომი გოგონები მოიწვიეს, ყველანი მხიარულ განწყობაზე იყვნენ და ერთანეთთან ეხუმრებოდნენ. ავტორს მოთხრობაში ორი პერსონაჟი ჰყავს გამორჩეული, ერთი დასაწყისიდანვე შემოდის ნაწარმოებში, ესაა იო, რომლის ნათლობის სახელი სულ სხვაა - გერმოგენი, რაც ახალგაზრდების ხუმრობის საგანი ხდება. მეორე პერსონაჟი ახალგაზრდა ქალია, უმშვენიერესი იუნონა, რომელიც ჩაის სახლში თავის მეგობარ გოგონებს უნდა შეერთებოდა... ახალმისულიც საერთო მაგიდასთან აღმოჩნდა. აქ დაიწყო იუნონასა და იოს ნაცნობობა. იომ იუნონას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, ჯერ ლაღიძის წყლებთან მიიპატიჟა, შემდეგ მთაწმინდაზე აიყვანა, საიდანაც პანთეონისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგნენ. პანთეონთან ახალგაზრდების გუნდს გადააწყდნენ, რომლებსაც იუნონა მოეწონათ, რის გამოც იოსა და მათ შორის შეტაკება მოხდა, ბიჭები გაიქცნენ, ხოლო დასისხლიანებული და კბილებჩამტვრეული იო წამოდგა, ვაჟკაცური სახე მაინც შეინარჩუნა და იუნონა სახლამდე მიაცილა. მკითხველი ელოდება ახალგაზრდების ურთიერთობის გაგრძლებას, მაგრამ ავტორი მოკლედ, იშვიათი ლაკონიურობით აღწერს მეორე დღიდან საქართველოში დატრიალებულ არეულობას. ეს იყო ის მძიმე პერიოდი, როდესაც ბარიკადების ორივე მხარეს ქართველები იდგნენ, რამაც მოთხრობის პერსინაჟების ახალგაზრდული ცხოვრება შეიწირა. ორივე მხარეს სიკვდილმა დაივანა და ბევრი ახალგაზრდა გაიყოლა. დიდხანს გაგრძელდა ეს არეულობა.

მოთხრობის მეორე ნაწილში მწერალმა მოქმედება ოცდაათი წლის შემდეგ გადაიტანა. წლები წამებზე უფრო სწრაფად გადიოდა და ზოგჯერ უფრო სწრაფადაც. მთხრობელმა წლების შემდეგ შეცვლილი იო შემოიყვანა ისევ მოქმედებაში. ამ პერიოდში ჩაის სახლის სტუმართაგან ზოგი დააწინაურეს, ზოგი ჩამოაქვეითეს, ზოგი საზღვარგარეთ გადაიხვეწა, ზოგიც წუთისოფელს გაეცალა. იუნონას აღარც ახსოვდა და არც ანაღვლებდა, ვინ სად იყო, ვინ დააწინაურეს, ვინ დააქვეითეს. არც ის სისხლიანი პერანგი ახ-

სოვდა, მთაწმინდის პანთეონთან რომ შეეღება კბილებჩამტვრეული იოს სისხლით. ახალმა ეპოქამ თავისი ცხოვრება მოიტანა, გავიდა ხეტიალისა და ძიებების დრო, სამსახურის ძებნაში დიდი დრო გავიდა, იოს ჭაღარაც შეეპარა.

სამყაროში ყველაფერი მოსალოდნელია, ყველაფერი შეიძლება ისე მოხდეს, ადამიანს ფიქრადაც რომ არ გაუვლია. მოთხრობის ერთი ძირითადი სათქმელი ესეცაა. იოს ერთმა მეგობარმა, რომელიც უკურნებელი სენით იყო დაავადებული, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მორიგი სამსახურის ძებნისას როდესაც თავის ავტობიოგრაფიას ავსებდა, ერთ-ერთ კითხვაზე, რის გაკეთება გინდათო, ჩაწერა: „მინდა ვასწავლო კიბოს უჯრედს, როგორ მოიკლას თავი“, რომელიც მის პროფესორს მოეწონა და თავისთან მიიწვია სამსახურში და ისიც შედგა მეცნიერულ-პედაგოგიურ საქმიანობას. იოს ერთ-ერთ ლექციაზე ბოდიში მოიხადა დაგვიანებულმა ახალგაზრდა პროფესორმა ქალმა, რომელშიც იომ შეიცნო იუნონა, პასუხად მეტაფორულად უთხრა, რომ მატარებელზე დააგვიანდა, რამაც ცხოვრების გზა შეუცვალა. ამ სიტყვებით გამოიხატა მისი რთული ცხოვრების მთელი სიმძიმე, რამაც, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, მძიმე დაღი დაამჩნია მის ცხოვრებას. ოცდაათი წლის შემდეგ ერთმანეთს ისევ შეხვდნენ იო და იუნონა. მათი გზები ისევ გადაიკვეთა. გაიხსენეს წარსული, იუნონამ საღამოს თავისი დაბადების დღის წვეულებაზე თავისთან მიიპატიჟა და თან უთხრა, რომ იქ მთელი „ჩაის სახლი“ იქნებოდა, ეს იქნებოდა შეხვედრა წარსულთან. იო დაჰპირდა და თან არც დაჰპირდა, უთხრა, თუ დაიგვიანებდა, მხოლოდ 29 წუთით, თუმცა დარწმუნებით იცოდა, რომ არ მივიდოდა. ორბელიანის ბაღში საყვავილეში საგანგებოდ შეარჩია თორმეტი თეთრი ვარდი, გამყიდველს, რომელშიც რუსთაველის გამზირზე მეყვავილე ნაცნობი ქალი შეიცნო, ბრჭყვიალა ქაღალდში არ შეაფუთვინა, მხოლოდ შეაკვრევინა, წერილი დაწერა და ყვავილებში ჩადო. ყვავილების გამყიდველმა ქალმა ტაქსი თავად შესთავაზა, მისი ქმარი მიიტანდა ადგილზე ვარდებს. მყიდველმა სთხოვა, რომ ზუსტად რვა საათსა და ოცდაცხრა წუთზე უნდა მიეტანა ვარდები ქაღალდზე აღნიშნულ მისამართზე. ქალი ყავითაც გაუმასპინძლდა, იომ შემდეგ კიდევ იყიდა ორი წითელი ვარდი, ვერცხლის ბეჭედი დაჰკიდა,

ისიც მხოლოდ შეაკვრევინა და იქვე მდგომ ბიჭუნას შინ გაატანა. ვარდების გამყიდველს დაემშვიდობა და გავიდა. ტაქსისტმა ზუსტად დათქმულ დროს მიიტანა ვარდები და ქალს გადასცა. სწორედ ამ დროს ტელევიზორში გადასცეს ორბელიანის ბაღთან მომხდარი ტრაგედიის შესახებ. ყვავილების გამყიდველი ქალი, როგორც თვითმხილველი შეწუხებული ყვებოდა, თუ როგორ გადაურბინა მანქანის მძღოლს ბავშვმა, მძღოლმა მას აარიდა მანქანა, ბორდიურზე ახტა და ამ დროს საყვავილიდან გამოსული კაცი დაფრთხა, გაიქცა, წაიქცა და თავი ბორდიურს დაარტყა... შეწუხებულმა ქალმა დააყოლა, ძალიან ბედნიერი იყო და ეს არ უნდა მომხდარიყოო. მოთხრობის ეპილოგში ნაჩვენებია, ადამიანის ყოფის ყოველდღიური სატკივარი ხან როგორ აშორებს ერთმანეთს ადამიანებს და ხან როგორ აერთიანებს. ეპილოგში ასახული დაკრძალვის ეპიზოდი ცხოვრების მკაცრ გაკვეთილებზე მიუთითებს, იყო თეთრი ვარდებიც, წითელი ვარდებიც, გლოვაც, ცრემლიც, მაგრამ პერსონაჟის სულიერი ცხოვრების თვალის მიდევნებისას მკითხველს უთუოდ გაახსენდება ნიკო ლორთქიფანიძის ბრძნული გამონათქვამი: „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“, რომელიც ზუსტად მიესადაგება ტრაგიკულად დაღუპულ ადამიანს.

ზელიმხან მაღრაძის მოთხრობა **„სამცხის გოდება“** („არავი“, №25), რომელიც სარჩევში სხვა სახელწოდებითაა დასათაურებული, - **„დედის განაჩენი“**, მე პირადად პირველ ვარიანტს ვამჯობინებდი, - ისტორიულ მესხეთს აცოცხლებს და მკითხველი საუკუნეთა მიღმა გადაჰყავს. მას წინ უძღვის მწერლის მიერ მოთხრობილი ისტორია, რამ შთააგონა მწერალს ამ თხზულების შექმნა. მისი სიტყვით, ეს ამბავი მას პაპისაგან, ისააკ მაღრაძისაგან, მოუსმენია სიყმაწვილისას, როდესაც 13 წლისა იყო. მოხუცი ამ ამბავს უყვებოდა ცნობილ მწერალს, ისტორიული რომანების ავტორს, ლევან გოთუასა და გეოლოგს, სპელეოლოგს, მთარგმნელს, ჟურნალისტს, კოტე ჯავრიშვილს. გარდაცვალებამდე სამი თვით ადრე ლევან გოთუას ზელიმხან მაღრაძისათვის უთქვამს, რომ პაპამისის მონათხრობი თმოგვის ციხის ამბებზე არ იყო დასავიწყებელი, თავად ვეღარ მოასწრებდა თხზულების დაწერას და

უანდერძა, არ დაეკარგა ეს შთამბეჭდავი ისტორია და შთამომავ-ლობისთვის შემოენახა. მწერლის თქმით, სწორედ ამიტომ მოჰ-კიდა ხელი ამ თემას ხელი, რათა სამცხის გმირების ამბავი არ დაკარგულიყო და მომავალ თაობებს შემონახვოდა. ეს ერთგვარი წინასიტყვა თუ კომენტარი უკვე დამაინტერესებელი მუხტია მკითხველისათვის, რომლის წინაშე საქართველოს ისტორიის ერ-თი უმნიშვნელოვანესი ფურცელი გადაიშლება, სამცხე-ჯავახეთის საქართველოს საზღვრებში ყოფნისა და რჯულის ერთიანობის პერიოდის ბოლო ბრძოლები, ერთიანობისა და დამოუკიდებ-ლობისათვის ბრძოლის პერიოდი.

სამცხე-ჯავახეთის, როგორც საზღვრისპირა მხარის, მნიშვნე-ლობა ერთიანი საქართველოსთვის ყოველთვის განსაკუთრებული იყო, რადგან სწორედ აქედან შემოდიოდა უშჯულო მტერი და საფრთხეს უქმნიდა ჩვენს ქვეყანას, რომელსაც ღმერთმა გეო-პოლიტიკურად ურთულეს სივრცეში არსებობა არგუნა. მოთხრო-ბაში კონკრეტული დრო არაა მითითებული, არც კონკრეტული ისტორიული პირები ჩანან, მაგრამ სრულიად ნათლად შეინიშნება, რომ ოსმალთა ინტენსიური შემოსევების პერიოდია, მე-16-17 საუ-კუნეები, როდესაც სამხრეთ საქართველოს ტერიტორიებს ოსმან-თა იმპერია თანდათანობით იპყრობდა, ეუფლებოდა და ქართველი ერი სარწმუნოებრივი გადაგვარების საფრთხის წინაშეც აღმოჩნ-და. წინაპართაგან ნაანდერძევი „მამული, ენა, სარწმუნოება“ ირღვეოდა და მათგან ორს ერთდროულად კარგავდა: მამულსა და სარწმუნოებას, რაც მესამე კომპონენტის დაკარგვის რეალურ მძიმე პერსპექტივას ამზადებდა. ამ ომების გამოძახილია მოთხ-რობა. მასში ძირითადად ჯავახეთის ციხე-ქალაქების თავდაცვითი ომები და ოსმალთა წინააღმდეგ ქართველი გმირთა თავდადებული ბრძოლებია ასახული.

მოთხრობაში აღწერილ ეპოქაში სამცხე-ჯავახეთს მხოლოდ ოთხი ციხე-სიმაგრეღა შემორჩენოდა და ოსმალთა წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლას განაგრძობდა. მოსახლეობის ნაწილი ვარძიას, თმოგვის ციხეს, ვანის ქვაბებსა და ხერთვისს შეხიზვნოდა, ნაწილს საერთოდ დაეტოვებინა ეს მხარე და სხვაგან, შედარებით უფრო მშვიდობიან მხარეში, წასულიყო და იქ, მშობლიური კერიდან

შორს, მოეპოვებინა შედარებით მშვიდი ცხოვრება. ავტორი გვაწვდის ოთხივე ციხე-სიმაგრეში გამაგრებულთა მდგომარეობას, გვიამბობს ვანის ქვაბებში შეხიზნულთა შესახებ, რომლებიც საკმაოდ მრავალრიცხოვანნი იყვნენ, მათ შორის სასულიერო პირებიც. მათ უკვე საკვები შემოლეოდათ, ვერ მოესწროთ მეომართა საჭმლით უზრუნველყოფა, მეტიც, წყალიც აღარ ჰქონდათ. ამიტომ აქ მყოფნი ისე გაეხიზნათ, რომ მტერს ვერ შეენიშნა და ჰგონებოდა, რომ მცველები ისევ ბევრნი იყვნენ და მონასტერზე შეტევის განხორციელება ვერ გაებედათ; სასულიერონიც კი გახიზნულიყვნენ. ამ ამბავს საიდუმლოდ იმიტომ ინახავდნენ, რომ ერთი მხრივ, ვანის ქვაბებზე შეტევა არ განეხორციელებინათ, მეორე მხრივ, თვით ქართველებს საომარი პოზიციები არც ერთ ციხეში არ უნდა დაეთმოთ. ვანის ქვაბთა მისასვლელები კარგად იყო შენიღბული, რათა მტერს არ შეემჩნია ქართველთა საბრძოლო პოზიციები, ქართველებს მათი თავდასხმის თავიდან არიდება შესძლებოდათ. ძირითადი ლაშქარი თმოგვში იყო გამაგრებული, მთავარ დარტყმას თმოგვი იღებდა. აქ იყვნენ გამაგრებულნი ძლიერი მეომრები, რომელთაც ყველაზე მეტად უწევდათ მტრის მოგერიება. თმოგველმა მეომრებმა შენიშნეს, რომ მათი განზრახვა, გეგმა მტრისთვის ცნობილი ხდებოდა და დაეჭვდნენ, რომ ქართველ მებრძოლთა შორის გამცემი, მტერთან სიტყვის მიმტანი იმყოფებოდა. მიუხედავად დიდი სიფრთხილისა და დაკვირვებისა, დიდხანს ვერ გაირკვა გამცემის ვინაობა.

თმოგვის მეციხოვნეთა შორის იმყოფებოდა მჭედლის ვაჟი, შესანიშნავი მოისარი და მებრძოლი ბაქარი//ბაქაარი, რომელიც თავის ოსტატობას მოისრობაში ყველას აჩვენებდა და სხვებთან გაჯიბრებაც არაერთხელ სცადა. გამოჩენილი ვაჟკაცობის გამო მეფისგანაც კი დაუმსახურებია ჯილდო, ოქრო-ვერცხლით მოვარაყებული მშვილდი. ბაქაარს გაეჯიბრა ვანის ქვაბებიდან გადმოსული ობოლი, დედისერთა ცისკარა, შთამბეჭდავი გარეგნობის ვაჟკაცი, რომელიც არავის ტოლს არ უდებდა და ძლიერ მებრძოლად ითვლებოდა. ბაქაარისა და ცისკარას ორთაბრძოლა, რომელშიც ბაქაარმა გაიმარჯვა, გახდა მათი დაპირისპირების საფუძველი და ცისკარა ორთაბრძოლის წაგების შემდეგ გადაიკარგა. ისე გადაიკარგა, რომ მეომართა შორის ეჭვიც აღიძრა იმის თაობაზე,

გამცემი ცისკარა ხომ არ იყო. მაგრამ მტკიცებულება ხელთ არ ჰქონდათ, მით უფრო, რომ ცისკარა ბაქაართან შებმის შემდეგ თმოგვში საერთოდ არც გამოჩენილა. იგი არც ვანის ქვაბებში უნახავთ, არც ოჯახმა იცოდა მისი ასავალ-დასავალი. მწერალი დეტალურად აღწერს ომის სურათებს, ოსმალთა შემოსევებს, ქართველთა თავდაუზოგავ ბრძოლებს სამშობლოს დასაცავად, რომელი ციხე-სიმაგრის მიდამოებში რამდენკაციანი რაზმი იდგა, როგორ იყო განლაგებული და რა ხერხით წარმართავდნენ ბრძოლას. მეომრებს დახვეწილი ჰქონდათ თვალთვალისა და კონტროლის წესები და ხერხები, რაც საინტერესოდაა აღწერილი თხზულებაში. მწერალი ბატალური სცენების ხატვის ოსტატია, ისე წარმოსახავს ყოველივეს, თითქოს მკითხველის თვალწინ ცოცხლდებოდეს ბრძოლის სურათების ამსახველი მხატვრული ტილოები.

თმოგვის ციხე-სიმაგრეში გამაგრებულ მეომრებს სათავეში უდგას გამოცდილი რაინდი, ერთ-ერთი ბრძოლის შედეგად ცალთვალად დარჩენილი რატი, სამოცი წლის კაცი, მხედართმთავრული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება. მისი გეგმა, ბრძანება შეუვალია, გამცემის პრობლემა ძლიერ აწუხებს, თავადაც ფრთხილობს და სხვებსაც სიფრთხილეს ურჩევს, ყველასგან ყურადღებით ყოფნას მოითხოვს. ჯავახეთის ბედი მის ხელთ აღმოჩნდა, იგი იდგა ქვეყნის იმედად, დარაჯად, როგორც წაქცეული ლომი, რომელსაც ჯერ კიდევ ბასრი კბილი და ძლიერი ტორი აქვს. რატის საკუთარი შვილივით უყვარდა ჩინებული მოისარი ბაქაარი. მწერალი ისრის დამზადების ტექნოლოგიასაც გვაცნობს, რათა მკითხველს წარმოდგენა შეუქმნას, როგორი ისრებით იბრძოდნენ ქართველები.

თმოგვში გაჩენილი ეჭვის გამო, რომლის შესახებ ცისკარას დედამაც შეიტყო, ქალი შეაშფოთა და აღაშფოთა კიდეც; ქალი სოფლის ხალხმა თმოგველ მეომრებთან მიიყვანა. დედისეულ დახასიათებაში უმამოდ გაზრდილი ვაჟიშვილის ვაჟკაცობაც ჩანს და მარცხისადმი შეუგუებლობაც. მის სიტყვებში გამოსჭვივის მისი ხასიათი, სანამ არ გადახარშავს მარცხის სიმწარეს, მანამ არც გამოჩნდებაო, ხოლო თმოგვში იგი ფეხს არასოდეს დადგამს, რადგან მიაჩნია, რომ ორი ყოჩი ერთ გალავანში ვერ მოთავსდება.

ცისკარას შინ ელოდება ფეხმძიმე ცოლი, რომელიც ქმრის მსგავსად, მძიმედ განიცდის მის მარცხს და მოთქვამს. ცხოვრებისეულ ბრძმედში გამოდნობილ-გამოწვრთნილი ციხისთავი რატი უსაყვედურებს ბაქაარსაც იმის გამო, თუ რა სავალალო შედეგი მოიტანა ნაძლევზე ისრების ტყორცნამ, ციხეს მეომარი დააკლდა, ხოლო ერს შეიძლება შვილი, და ხალხსაც, ამ გაგანია ბრძოლების დროს რა დროის სანახაობები და ნაძლევის დადება მოუნდა, მით უმეტეს, ნამუსზე კაცის აგდება, თუ რატომ წააგო. ახლა კი არავინ იცის, როდის და როგორ გადმოხეთქავს მეომარი კაცის წყენა და ბოღმამ, რამაც ცოდვაც კი შეიძლება ჩაადენინოს, არ შეიძლებოდა სოფლის ღირსების ერთი ადამიანისთვის მინდობა და აკიდება.

მოთხრობაში დეტალურადაა აღწერილი თმოგვის ციხის სიახლოვეს ან ვანის ქვაბებთან გამართული ბრძოლები, რომელსაც მხედართმთავრობდა რატი, როგორ გაგზავნა ცხენოსანთა რაზმი, რომელიც ოსმალთა ბანაკს დაესხა თავს და გაანადგურა, ან კიდევ მოისართა რაზმი, რათა მტრისთვის არცერთი ციხე არ დაეთმოთ. მიუხედავად ამისა, ვერა და ვერ შეძლეს ვანის ქვაბებში თუნდაც ასი მეომრის შეყვანა. რატის არცთუ სასიამოვნო ამბები მოსდიოდა, ოსმალები ძალებს იკრებდნენ და ციხეებზე შესატევად ემზადებოდნენ. რატი ცდილობდა, რომ არ დაეშვა მტრის მცირე-მცირე რაზმების გაერთიანება და დიდ ძალად ქცევა, რაც ქართველებისათვის მძიმე შედეგს მოიტანდა. რატის ალაგურიდან მოტანილი ნახევრადდამწვარი წერილი გადასცეს, რომელიც ჯოლდაში დაბანაკებული ოსმალთა ფაშის კარვიდან წამოეღოთ, მისი დაწვა ვერ მოესწროთ. წერილში კი ეწერა, რომ თმოგვში ოსმალებს თავიანთი კაცი ჰყავდათ და ყოველთვის ეცოდინებოდათ ქართველთა ბანაკებში მიმდინარე მოვლენები, საომარი გეგმები და ურთიერთშეთანხმებით ადვილად შეძლებდნენ ქართველების დამარცხებას. ქართველებს თავზარი დასცა ამ ამბავმა - ციხეში ჯაშუშის ყოლამ, რაც უთუოდ გამოუსწორებელ შედეგს მოიტანდა. სწორედ ამ რთულ ვითარებაში ერთმანეთს შეხვდნენ რატი და ცისკარას დედა, რადგან მთელმა თმოგვმა ცისკარაზე მიიტანა ეჭვი. შთამბეჭდავია დედის სახე, ტრადიციული ქართველი ქალის სახე, რომლისთვისაც შვილის სახელი და სამშობლოს სახელი შეუვალია, შეუბილწავია, სამშობლო მისთვის წმინდათა

წმინდაა, ამიტომ თუ შვილი გამცემი, მოღალატე აღმოჩნდება, ცხადია, მისი თვალთახედვით, იგი სიცოცხლის ღირსი არ იქნება. მოითხოვა, რომ გაეშვათ, რათა თავადვე გამოეტანა განაჩენი. რატისა და კუმურდოელ ეპისკოპოსს გამართულ საუბარში ჩანს, რა მძიმე დრო დასდგომიათ ქართველებს და მოღალატეც შეპარვიათ, მისი ვინაობა მალე გაირკვა, იგი სომეხთა რაზმიდან აღმოჩნდა, რაც სომხებმა ითაკილეს და თავიანთი რაზმის გაშვება ითხოვეს. ამის პარალელურად ცისკარას დედა სოფელ-სოფელ დადიოდა და შვილის გზა-კვალს დაეძებდა. მოთხრობის დასასრულს ასახულია დედა-შვილის შეხვედრა, რაც დედის მიერ შვილის მოკვლით დასრულდა, რადგან დედამ სიმართლე ჯერ არ იცოდა, რომ მისი შვილი არ იყო გამცემი, რის შემდეგაც მისი ცხოვრება ტრაგედიად გადაიქცა. ერთადერთი შვება ახლადდაბადებული შვილიშვილია, თუმცა, თვითონ შეიშალა. ბაქაარმა პასუხისმგებლობა ცისკარას ოჯახზე თავად იკისრა. მისი შთამომავლები ცსიკარაძეებად იწოდებიანო, გვამცნობს მწერალი. ამგვარი შემზარავი სურათებითაა წარმოდგენილი ქართველთა ბრძოლები დამოუკიდებლობისათვის, ერთიანობისათვის, მიწაწყლის შესანარჩუნებლად, რამაც ვერ გამოიღო სასურველი შედეგი, სამცხე-ჯავახეთის ციხე-სიმაგრეებს მტრები, ოსმალები დაეუფლნენ, რასაც გამაჰმადიანების პროცესიც მოჰყვა. საქართველოს ამჟამინდელი ვითარების კვალობაზე შეიძლება ვთქვათ, რომ ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი მაშინ დაიწყო, სხვა მხარეში, ძირძველ, ისტორიულ მესხეთში.

ზელიმხან მაღრაძის მოთხრობა ბევრ საფიქრალს აღძრავს და დიდ ტკივილს უტოვებს მკითხველს. დაისმის კითხვაც: რამ გამოიწვია სამხრეთ საქართველოს მხარეების, კლარჯეთის, ტაოს, შავშეთის, ერუშეთის, კოლას, არტაანისა და სხვა მხარეების დაკარგვა? ცხადია, პასუხი მოთხრობაში ნაწილობრივაა გაცემული: ქართველთა სიმცირე, დანაწევრებულობა, ღალატი, სახელმწიფოებრივი მოვალეობის შეგნების სინაკლულე, წინა პლანზე „მე“ და არა „ჩვენ“..., რაც ქართული ეთნოსის თვითაღქმის მეტაფორითაა მკითხველისათვის მიწოდებული.

მკითხველისათვის კარგად ცნობილი პროზაიკოსის, ისტორიკოსის, გიორგი სოსიაშვილის თხზულებებმა, ტკივილიანი თემატიკის, იდეის, მიზანდასახულობის გამო, დიდი ხანია მიიქცია მკითხველის ყურადღება. მისი მხატვრული მემკვიდრეობის ძირითადი თემა სამაჩაბლოსთან დაკავშირებული პრობლემებია, რაზეც განსაკუთრებული გულისტკივილით, სისათუთითა და სიყვარულით საუბრობს და მკითხველსაც იმასვე აზიარებს, რასაც თვითონ განიცდის. გიორგი სოსიაშვილი თანამედროვე ქართული პროზის საუკეთესო წარმომადგენელია, რომელმაც თავისი ორიგინალური სიტყვიერი ნიმუშებით ქართულ მწერლობას უკვე ტომები შესძინა და ქართულ ლიტერატურაში მკვიდრი ადგილიც მოიპოვა. მის მოთხრობებსა და რომანებში მხატვრულადაა ასახული ქართული ეთნოსის თვითაღქმის მეტაფორა, რომელიც თავისი დადებითი და უარყოფითი კონოტაციით თვალსაჩინოვდება. „არავში“ (№27) გამოქვეყნებული მისი მოთხრობა **„ბოთე“** წარმოაჩენს კოლონიური მდგომარეობისაგან დაჩაგრული და მთელი დანარჩენი სამყაროს წინაშე სრულიად მარტოკა დარჩენილი ჩვენი თანამემამულეების უმძიმეს მდგომარეობას, ფსიქოლოგიურ ტრავმას და კერძო ტკივილიდან საზოგადომდე აყვანილ ტრაგედიას ერთი ოჯახისა და მისი თანასოფლელების ცხოვრების კვალდაკვალ. საზოგადოდ, გიორგი სოსიაშვილის მოთხრობები და რომანები თანამედროვე ცხოვრების მხატვრული მატიანეა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ლიახვის ხეობაში, სოფელ დიცში დაბადებულ-გაზრდილი ავტორის მიერ დანახული და აღქმული გარემო უფრო მძიმე და ტკივილიანია, ვიდრე გარეშეს თვალით დანახული. ეს მოთხრობა, როგორც მწერლის სხვა თხზულებები, აჩვენებს უდიდეს ნაციონალურ ტკივილებს, ეროვნული თავმოყვარეობის შელახვის მწვავე სურათებს და მათ კვალს პერსონაჟის ცნობიერებაზე.

„ბოთე“ დიცის ერთი მკვიდრის ოჯახის ისტორიას ასახავს, რაც განზოგადებულად მთელი სამაჩაბლოს სავალალო და ტრაგიკულ ხვედრს, და არამხოლოდ სამაჩაბლოს, არამედ საქართველოს დაკარგული ტერიტორიების ტრაგედიას და იქ მცხოვრებთა ხვედრს გვაცნობს. ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიების, საკუთარი მიწა-წყლის, სახლ-კარის ძალადობრივად წართმევა

„უცხოს“ მიერ „ჩემის“ მითვისების ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრავმა არსენასა და მისი ოჯახის, მისი მეზობლების ფონზე რეალისტურად, თითქმის დოკუმენტურადაა აღწერილი. მოთხრობაში ნაჩვენებია ქართულ-ოსურ-რუსული ურთიერთობები და დაპირისპირებები, რუსული უხეში დამპყრობელი ძალის გამოვლინება ე.წ. ბორდერიზაციით, რაც უსახლკაროდ ტოვებს ე.წ. სასაზღვრო ზოლად ქცეული სოფლის მცხოვრებ მოსახლეობას. აქ ოსმალთა ე.წ. ბორდერიზაცია შეცვლილია რუსულ-ოსურით. აგრესორის მიზანმიმართულმა ნეგატიურმა ზემოქმედებამ, მის მიერ მძიმე ფიზიკური ძალის გამოყენებამ პოსტსაბჭოთა სივრცეში სრული ძალაუფლების შესანარჩუნებლად, უმძიმესი დაღი დაასვა ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციულ ყოფას. ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად რთულ ვითარებაში მყოფი პერსონაჟის ტრაგედიას ოჯახური ტრაგედიაც დაემატა.

„ბოთეს“ თხრობა პირველ პირში წარიმართება, მისი პერსონაჟი, არსენა, თვითონ გვიამბობს თავისი ოჯახის ისტორიას, როგორ გაიზარდა თავის ორ ძმასთან ერთად ქოხში უმამოდ, ობლობაში, გაჭირვებაში; მამა კარგად არც ახსოვდა, ომში წავიდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. როგორც თავად ამბობს, ქოხიდან გამოსულმა კაცმა თავისი ოფლით ისეთი უზარმაზარი სახლი წამოჭიმა, რომ შორიდან ანათებდა და მთელ სოფელში გამოირჩეოდა. სახლი საგანგებოდ შერჩეული აგურით ააგებინა თავისი საქმის მცოდნეს, სომეხ სარქისას. გაზაფხულზე გადახურა კიდეც. მოაწყო, გაალამაზა. დაოჯახდა, ვაჟიშვილიც შეეძინა და კარგადაც აღზარდა, მაგრამ ქალაქელი ქალი შეირთო და ახალგაზრდებმა სოფელში ცხოვრება აღარ ინდომეს. არსენა როგორ არ შეეცადა მის გადაბირებას, რომ დაებრუნებინა სოფელში, მაგრამ ამაოდ. ნაწარმოების დასაწყისში მონიშნულია მიტოვებული სახლკარის ხვედრი, კლიტედადებული სახლები, რომელთა დანახვა გულს უწუხებდა. ენიშნებოდა, თავადაც ხომ იგივე არ ელოდა და განიცდიდა. მისი ეს განცდები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მწვავე სატკივარი და ტრაგედია სხვა მხრიდან დაატყდა თავს. ჯერ მეუღლე ლოგინად ჩავარდა, წნევამ ორჯერ დაარტყა, ცალი მხარე წაართვა, ვითარება სავალალო იყო. მოსავლელი გახდა, ენას ვერ იმორჩილებდა და ვერ

ლაპარაკობდა. დედა შვილმა წაიყვანა ქალაქში. დარჩა არსენა მარტოკა, სხვა რამდენიმე მეზობელთან ერთად. მწერალმა აჩვენა ის ტრაგედია, რაც სოფლის მცხოვრებთა ცხოვრებაში დამკვიდრდა, სოფელში სულ ხუთიოდე კაცი დარჩა და მთელი სოფლის ძროხებს უვლიდნენ, ბალახს უთიბავდნენ, უპატრონოდ არ ტოვებდნენ. მაგრამ განა ეს დიდხანს შეიძლებოდა გაგრძელებულიყო? ოსებმა მეზობლის სახლი გადაბუგეს, რაც ოსებმა დააკლეს, რუსებმა შეუთავეს. სადაა სამართალი! გასდით და რა უნდა ქნა! მსჯელობს არსენა და თავისი სოფლის ზეცას გაჰყურებს, რომლის ტავზე ღრუბლები გროვდება. ფიქრობს უპატრონოდ მიტოვებულ სახლებზე, სოფელზე, დარჩენილ მეზობლებზე. ყველაზე ახლო ჭირისუფალი მისი ძაღლი იყო, რომელიც შვილმა მოუყვანა და სახელიც მანვე უწოდა, ბოთე დაარქვა. მხოლოდ ეს ძაღლი იყო არსენას მესაიდუმლე, დარდის მონაწილე და გამზიარებელი. 2008 წლის ომი კი, მართალია, რამდენიმე დღეში დამთავრდა, მაგრამ მერე დაიწყო, რაც დაიწყო. თავდაპირველად რომ ე.წ. საზღვრები გაავლეს, რუსები მას ყოველდღე ცვლიდნენ, დადგა ე.წ. ბორდერიზაციის ეპოქა! ერთ დღესაც ეკლიანი მავთულხალრთები ხელახლა გაავლეს რუსებმა და მთელი მინდვრები, ბაღ-ვენახები მავთუხლართებს მიღმა დარჩა. გაღმა დარჩა არსენას ჩაყრილი და მოვლილი ბაღები, ვენახები, რომელთაც შეჰხაროდა, უვლიდა, ეამაყებოდა. დროდადრო ადიოდა „საზღვართან“ და თავის ბაღებს გულმოკლული გასცქეროდა, სიცოცხლე აღარაფრად უღირდა. ბაღე-ვენახს დარდობდა და ყველაზე დიდი უბედურება წინ იყო, მთავარი სადარდელი წინ ელოდებოდა. მეუღლე უარესად გახდა და სოფელში ჩამოიყვანეს, აღარაფერი ესმოდა, ლოგინს მიჯაჭვულს აღარც ენა და აღარც თვალები ემორჩილებოდა. სიკვდილი კარს იყო მომდგარი, როდესაც ამაზე დიდი ტრაგედია დაატყდა თავს. მავთულხლართების ღობეს რუსები მოადგნენ რუკებით, დაიწყეს მიწის ზომვა და ბოლოს არსენა ფაქტის წინაშე დააყენეს: თქვენი სახლი ჩვენს ტერიტორიაზეა მოხვედრილი, დაშალეთ და სამ დღეში დაცალეთ მიწა-წყალიო. ეს ამბავი მეხის გავარდნას ჰგავდა მისთვისაც და მეზობლებისთვისაც. როგორ შეიძლებოდა უზარმაზარი სახლი დაეშალა და გადაეტანა! ან კი რამედ უღირდა სახლის დაშლა-გადატანა, როდესაც

ფეხქვეშ ყველაფერი ერთბაშად გამოეშალა! ეს უბედურებაც უნდა გადაეტანა.

მართალია, მწერალმა არსენას პირადი, ოჯახური ტრაგედია წარმოაჩინა, მაგრამ ეს იყო მთელი იმ სოფლის სატკივარი და სადარდელი, იგი მთელი საქართველოს ე.წ. ბორდერიზაციის სურათს ასახავს. ე.წ. ბორდერიზაცია ტერიტორიის ფიზიკურ გაყოფასთან ერთად ადგილზე მცხოვრები მოსახლეობის, მათ შორის, ოჯახის წევრებისა და ნათესავების დაშორებასაც იწვევს. პროცესი განსაკუთრებით მტკივნეულია ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რადგან მათ სახლ-კარისა და სახნავ-სათესი მიწების დატოვება უწევთ. მაგრამ მწერლის მიზანი მხოლოდ ეს არაა. ამას სხვა ტკივილი და უსამართლობა ახლავს. ახლად გავლებული მავთულხლართების შესახებ ქართული საზოგადოება, ძირითადად, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით იგებს. ეს პროცესი ქართულ საზოგადოებაში დაუცველობის, გაურკვევლობისა და უიმედობის განცდებს წარმოშობს, რაც მთელი ერის ტრაგედიას გვითვალისწინებს. ამ ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მოსახლეობამ არ იცის, ე.წ. საზღვრის მონიშვნას და შემოსაზღვრას რუსული სამხედროები შემდეგში კიდევ როდის გადაწყვეტენ, კიდევ როგორ და როდის გაგრძელდება ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი.

ე.წ. ბორდერიზაცია კონფლიქტის ერთ-ერთი გამოვლინებაა და დაპირისპირებული მხარის სტრატეგიის ნაწილად აღიქმება. მოთხრობაში არაა დასმული კითხვა, - ვერც იქნებოდა, - თუ რა ფაქტორებთან არის დაკავშირებული ე.წ. ბორდერიზაციის სიხშირე და გააქტიურება. მაგრამ ჩანს, თუ ვის ინტერესებშია ქართული საზოგადოების არასტაბილურ, დაუცველ მდგომარეობაში ყოფნა, რაც აშკარა ემოციურ ფონს ქმნის ნაწარმოებში, რაც უზუსტესად არის ასახული არსენას მაგალითზე, მის განზოგადებულ სახეზე, და კონფლიქტის მეორე მხარის, - ეს დაკონკრეტებულია მოთხრობაში და ისედაც არ იყო ძნელი მისახვედრი, ესაა რუსეთი, - საინფორმაციო ომის ნაწილი.

მოთხრობაში ის კითხვაც შეიძლება ამოვიცნოთ, შეუძლია თუ არა მასმედიას, თავისი ქმედებით ე.წ. ბორდერიზაციით დაზარალებული მოსახლეობის პრობლემები გააშუქოს და რა დოზითაა

იგი შესაძლებელი. მოთხრობაში იმაზეც მახვილდება ყურადღება, რომ დასავლურ საჯარო სივრცეში საკუთრივ ქართულ თუ კავკასიურ პრობლემასთან მიმართებით დამკვიდრებულია არაობიექტური შეხედულებებიც, თუმცა, კონფლიქტთან დაკავშირებული მრავალმხრივი სირთულეების გამო ამგვარ რეალობაში ჟურნალისტური საქმიანობა რთულიცაა და საპასუხისმგებლოც, მეტიც შეიძლება ითქვას, უცხოელი და ქართველი ჟურნალისტების მიერ კონფლიქტურ რეგიონში უსულგულო დამოკიდებულებით, მხოლოდ მოჩვენებითი დამკვირვებლის სტატუსით რეპორტაჟების მომზადება სიცოცხლისათვის სარისკოცაა. მათი მიზანი ისაა, რომ მსოფლიოს აუწყონ იმ უსამართლობის შესახებ, რაც სამაჩაბლოში ხდება. საამისოდ შეიძლება დავიმოწმოთ ჟურნალისტების საოცრად გამაღიზიანებელი საუბარი არსენასთან. სახლკარის დაკარგვა არ აკმარეს და ეკითხებიან, ორიოდე სიტყვით გვითხარით, თქვენი სახლიც იქით რჩება და რას ფიქრობთო. არის ვითარება, როდესაც კითხვის დასმა არ ეგების! სავალალოა, რომ მასმედიის წარმომადგენლებმა ეს არ იციან! არც ეთიკური ნორმები, არც ადამიანისადმი თანაგრძნობის სურვილი!

ერთადერთი, რაც არსენამ ითხოვა, ის იყო, რომ მძიმე ავადმყოფი ცოლისთვის სიკვდილი მაინც ეცლიათ. ესეც არ შეუსრულეს, იძულებულნი გახდნენ, ავადმყოფი ქალი არსენას ბიძაშვილის სახლში გადაეყვანათ, იქ გარდაიცვალა, სხვისი სახლიდან გაასვენეს, ბიძაშვილის ცოლმა დაატირა კიდეც, რა იქნებოდა, რომ საკუთარი სახლში დაეტირებინე უკანასკნელად შენს ქმარშვილსო. და სოფელში ახალი სასაფლაოც გაჩნდა, პირველი არსენას ცოლი დაიკრძალა იმ სასაფლაოზე, სადაც დაქვრივებული არსენა ხშირად მიდიოდა და გარდაცვლილს ფიქრში ესაუბრებოდა. ის ტკივილიც განიცადეს, როგორ გაჰქონდათ მისი სახლიდან უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს სხვადასხვა ნივთი, თუმცა ამს ვინღა დაეძებდა!

პრობლემა, რომელიც გიორგი სოსიაშვილმა დასვა მოთხრობაში, საქართველოს ეროვნული ტრაგედიაა, რაც შეიძლება განისაზღვროს, როგორც თანამედროვე კოლონიური ძალაუფლების დამანგრეველი შედეგი ქვეყნის განაპირას მდებარე კუთხისათვის,

პერიფერიისათვის. ამიტომ, როგორც ვნახეთ, მოთხრობის პერსონაჟიც საკუთარ თავს დასავლური სამყაროსაგან გამიჯნულად მიიჩნევს, რადგან მისი სატკივარი და ტრაგედია რეპორტიორს თუ ჟურნალისტს მხოლოდ საინფორმაციოდ სჭირდება, მისი თანაგრძნობა ადგილობრივი მცხოვრებლების მიმართ არ შეინიშნება, ე.ი. მათი სიტყვა და საქმე სხვადასხვაა; ეს ისტორიულად ცნობილი „საქმე სიტყვიანი და სიტყვა საქმიანი“ რომ არაა, დიცის მკვიდრმა, რომელიც რუსის მესაზღვრეებმა მომაკვდავ ცოლთან ერთად საკუთარი სახლიდან გამოაძევეს, ძალიან კარგად იცის. ამ ფაქტის კონსტატაციით მწერალი შეეცადა მკითხველისათვის ეჩვენებინა ძლიერი, მდიდარი და ეგოცენტრული სამყაროს ცდომილება, რასაც ქართული ანდაზა ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს: „სხვისი ჭირი - ღობეს ჩხირი“. ე.წ. ბორდერიზაცია და გამყოფ ხაზებთან საქართველოში კონფლიქტების გაშუქება ერთმანეთს დაცილებულია, მხოლოდ რეპორტაჟის მომზადება არ არის საკმარისი, მოქმედებაა საჭირო, რაც ჟურნალისტებს, რა თქმა უნდა, არ ხელეწიფებათ, მაგრამ არც თავიანთი მომზადებული მასალის გადაცემის შედეგი აინტერესებთ. ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ თანაგრძნობა და დახმარების სურვილი არ უჩნდებათ, დიცის დაქვრივებული სივრცე, ადამიანური ფაქტორი მათ ნაკლებად აღელვებთ, რობოტულ რუტინას არიან მიჩვეულთათვის მთავარი მოვალეობის შესრულებაა. ან კი რა შეუძლიათ, აქვთ კი რაიმე საქმეში ჩარევის უფლება, მისცემენ მეტროპოლიის წარმომადგენლები რაიმეს გადაწყვეტის საშუალებას, თუნდაც საამისო სურვილი ჰქონდეთ? რა თქმა უნდა, არა. ამას პერსონაჟები ძალიან კარგად აცნობიერებენ.

მწერალმა არსენას კიდევ ერთი სადარდელი გვამცნო, რასაც სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება. მომავალ წელს ის მერცხლები, რომლებსაც მისი სახლის სხვენში ჰქონდათ ბუდე, - მოთხრობაში ეს ბუდე სიმბოლურ ფუნქციას თვალსაჩინოდ იძენს, - სად მიფრინდებოდნენ. შვილი, ირაკლი, ამშვიდებდა, რომ მერცხლები თავიანთ კერას არ მიატოვებდნენ, მაგრამ სადღა იყო კერა! არსენასა და მის მეზობლებს აღარ ჰქონდათ კერა! მერცხლებს საიდანღა ექნებოდათ? ამას ძაღლის დაკარგვაც დაემატა, ბოთე დაიკარგა! ხან სად ეძებდა მამა-შვილი, ხან სად, მაგრამ ახლომახლო ვერ

იპოვეს. არსენამ ე.წ. ბორდერიზაციის შედეგად გაღმა დარჩენილი სახლისკენ გაიხედა და იქითკენ გაეშურა. მავთულებს მიღმა სახლთან ძაღლი შენიშნეს, თავით სახლისკენ, რის გამოც ვერ დაინახეს მისი გამომეტყველება. დაძახებაზე არ გამოეპასუხა, არც ინძრეოდა. კენჭი ესროელს, მაგრამ ბოთეს არც მამა-შვილის ხმა გაუგია და არც კენჭის სროლა უგრძვნია. მოთხრობის ბოლოს ვრწმუნდებით, როგორი კონტრასტულია ძაღლის სახელი თვით ძაღლის ბუნებასთან, რომელმაც სიცოცხლე პატრონის ნაამაგარ სახლთან დაასრულა. ესეც ალეგორიული მისიის მატარებელია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „არავმა“ თანამედროვე საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება ასახა, შეეხმიანა ჩვენი ქვეყნის სატკივარს, ადამიანის არსისა და დანიშნულების პრობლემას, სამყაროში ქართველი ერისა და გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვანეს ადგილას მდებარე საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილი ადგილის დამკვიდრების ურთულეს პროცესს. როგორც ეს მცირე განხილვაც მოწმობს, ჟურნალმა თავისი ადგილი დაიმკვიდრა, რადგან მასში გამოქვეყნებული თხზულებები, უმეტესობა მაინც, ქართული ლიტერატურის ისტორიის კუთვნილება გახდება და მოლოდ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში არ ჩარჩება.

ვახტანგ ინაური

„არავის“ პოეზია

ჟურნალი „არავი“ სისტემატურად უთმობს ადგილს პოეზიას, თითოეულ ნომერში სამი - ოთხი ავტორის შემოქმედება იბეჭდება. ხოლო ხუთ ნომერში (ნომერში - 23-27) 18 პოეტის ლექსები გამოქვეყნდა. „არავში“ შეიძლება დაიბეჭდოს ლიტერატურული საზოგადოებისთვის ცნობილი პოეტები და ნაკლებ ცნობილი ან უცნობი ახალგაზრდა ავტორები. იბეჭდება პროფესორების შემოქმედებაც და სტუდენტების ლექსებიც. ბევრ დამწყებ პოეტს პირველად გაეცნობით „არავის“ ფურცლებზე.

ჟურნალ „არავში“ დასაბეჭდი მასალის მიღება და შერჩევა ემყარება პრინციპს, რომლის მიხედვითაც სტამბას „არავისთვის“ გადაეცემა მაღალმხატვრული პოეტური პროდუქცია. რედაქცია კოლეგიალურად იხილავს უამრავ შემოსულ ფოსტას, თითოეული ლექსის ღია მოსმენის, წაკითხვისა და მსჯელობის შედეგად არჩევს „არავის“ მომდევნო ნომრისთვის დასაბეჭდ ლექსებს. რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ჟურნალში დაბეჭდის მთავარი კრიტერიუმი არის მხატვრული, პოეტური დონე. მკაფიო მეტაფორული და სიმბოლური სახეები, ავტორის ნათელი და ლოგიკური აზროვნება. ანუ პოეტური მედიტაციები, ნაფიქრი და ნააზრევი,

განცდილი და შეცნობილი მოვლენები შესაბამისი მხატვრული სალექსო ფორმებითა და თანმიმდევრული მწყობრი ლიტერატურული ესთეტიკური სტრიქონებით უნდა იყოს გადმოცემული.

აღნიშნულ პრინციპს ჟურნალ „არავის“ რედკოლიგია ნებისმიერი ავტორის შემოქმედების შეფასებისას იცავს. ამასთანავე, წარმოდგენილი ლექსები გამოქვეყნებული არ უნდა იყოს. ხოლო ამჯერად,ჩვენი განხილვის ობიექტი 23-27 ნომრებში დაბეჭდილი პოეტური შემოქმედებაა.

„არავის“ 23-ე ნომერში **ივდო ოტობარის** ლექსები დაიბეჭდა, რომლებიც საინტერესოა თავისი თემატიკითა და პრობლემატიკით, პოეტიკითა და ლირიკული ხედვით. ერთმანეთს ავსებს ქალური სინაზე და პოეტური წარმოსახვა. ერთად ქმნის ეს ორი ძირითადი კომპონენტი ი. ოტობარის შემოქმედების მთლიან სახეს. ლირიზმი უფრო ნათლად წარმოაჩენს პოეტის პირადულ „მეს“ შინაგან სამყაროს. ეს მნიშვნელოვანი პროცესი ლამაზი მეტაფორებითა და შედარებებით არის ასახული. მისი ყოველი ლექსი მდიდარია პოეტიკითა და მხატვრული აზროვნებით. „ვარ მატარებლის დაჟანგული ძველი ვაგონი, ზოგჯერ უბრალოდ უფუნქციო სურათის ჩარჩო. შეთავსებით კი უფლის თიხას ვასახიერებ“.

ასე ერწყმის პოეტის პირადული განცდები ბიბლიურ პასაჟსა და ადამიანის ფუნქციის საკითხს.

უფალს ხშირად ახსენებს ავტორი, მიმართავს მას, ესაუბრება და ამ საუბარში რთული ფილოსოფიური აზრებია ასახული. „ღმერთო, ჩემ შემდეგ რა დარჩება, მტვერი მარტოდენ? თვითონ ვისწავლი, როგორ უნდა მოგიახლოვდე“.

ი. ოტობარი ეროვნულ პრობლემებსაც ეხება. მისთვის მშობლიური მიწა დიდი სიწმინდეა, რომლისადმი უგულოდ და დაუდევრად მოპყრობა დიდი დანაშაულია ერის და უფლის წინაშე: „და ქართველობას არ აქვს უფლება მტკაველი მიწა რომ ვინმეს მისცეს“. ამ სტრიქონებს მოსდევს ბრძნული მეტაფორული აფორიზმი – „ზეცა წვიმისგან არ გახუნდება, თუმცა ღრუბლები ცაზე რჩებიან“. „ბავშობა, როგორც უეკლო ვარდი, გონებამ მაინც შემოინახა.“

ივდო ოტობარის პოეზია სხვა მრავალ თანამედროვე პრობლემებსაც ასახავს, მაგრამ მთავარი მის შემოქმედებაში ლირიკული

წარმოსახვისა და პოეტური აზროვნების ინდივიდუალიზმი და შემოქმედებითი ხედვაა, რომლითაც იგი გამოირჩევა სხვა პოეტი ავტორებისაგან.

შუშანა კალანდაძე უმღერის სამშობლოს, ქართულ ჯარს, „რომელიც სიცოცხლით სიცოცხლეს იცავს“, (ქართულ ჯარს) იგი ტრადიციული პოეტური ეპითეტებით ამკობს მას. მაგრამ განიცდის ქართველი მეომრის, ქართველი ახალგაზრდა კაცის სიკვდილს: „ისევ დაიფლითა ვაჟკაცის სხეული, სისხლი შეიწოვა მიწამ.“

ომი, სისხლის ღვრა ტრაგედიაა მისთვის, თუმცა ჰუმანურ დამოკიდებულებას მტრისადმი აფიქსირებს: „ურჩხული დავამარცხეთ, ურჩხული გავაქციეთ, მაინც ვერიდები წყენას“. (კაცთა გრძნობებს შორის).

8 აგვისტოს ომს, საბრძოლო პროცესებს შ. კალანდაძე განსხვავებულად გაიაზრებს, შეიძლება ითქვას, ზოგადად ქართულ აზრს გამოხატავს: „თქვენი მიწები არ გყოფნით? თვალუწვდენელი მინდვრები? მამულისათვის იცოდეთ ასჯერ ვიცოცხლებთ, მოვკვდებით. გადმოიარეთ ოსეთი, აფხაზეთი და გორია, ნუთუ გგონიათ მოგვკალით ან დაგვიმონეთ გგონიათ?“ (აგვისტოს ომი).

ავთანდილ ბერიძის ლექსები 24-ე ნომერშია დაბეჭდილი. ეს ნომერი უფრო მასშტაბურად წარმოაჩენს ქართულ პოეზიას. აქ ხუთი ავტორის შემოქმედებაა თავმოყრილი.

ა. ბერიძე ცნობილი პოეტია ღვაწლმოსილი მწიგნობარი, პუბლიცისტი და დამსახურებული, ავტოტიტეტული რედაქტორი გაზეთისა „ლიტერატორული მესხეთი“. აქ წარმოდგენილი მისი ლექსები ბოლო პერიოდშია შექმნილი, ანუ ეს არის ავტორის ახალი პოეტური ნააზრევისა და განცდილის მხატვრული ასახვა.

მას ჟანრობრივად გარკვეული სიახლეები აქვს. აზრობრივი კომპონენტები ამარტივებენ ლექსის სტილს, მსუბუქი მხატვრული სტრიქონები დიდ ეფექტს იწვევს მკითხველში. ამის დასტურია ლექსი „სონეტი“, ის ვთესე, რაც გულმა მირჩია“, „თეთრი დღეები“ და სხვა.

შემოქმედის ინტიმური სივრცე განზოგადებულია და საყოველთაოდ გასაგები და ნათელია მკითხველისათვის. სიყვარული ადამიანის პირადი სამყაროს ყველაზე სუფთა და ესთეტიკური

თანამგზავრია. ამ გრძნობით ეზიარება იგი ბედნიერებასა და სულიერ ნეტარებას. მისადმი ერთგულება განაპირობებს აწყმოსა და მომავალს. ამ აზრს ავტორი ტრადიციული მეტაფორის ორგულობის საპირისპიროდ რეალისტურად გამოხატავს - „გული ერთი მაქვს, ორგულობა რატომ დამწამე“... „რომ არ მიყვარდე ამ სიცოცხლეს რა გაათავებს“ („სონეტი“).

სიყვარულს თან სდევს ეჭვი, დროთა სვლა მასზე უარყოფით გავლენას ახდენს. „რაც რომ დრო გადის, ეჭვები რად გაგიათკეცდა,“ თუ სიყვარული წლებთან ერთად ასე გაცვდება, მითხარი მაინც, რა დავარქვათ ამას სახელად“.

სიყვარულის ინტიმს ა. ბერიძის პოეზიაში ენაცვლება მშობლიური ბუნების რომანტიკული აღქმა ზამთრისა და გაზაფხულის შეპირისპირება. ზამთრის ხანგრძლივობა მესხეთში აძლიერებს გაზაფხულის ნოსტალგიას. მას ენატრება თეთრი დღეები, რომელშიც „ველურ სიშმაგით აწყვეტილი მიდის და მიდის ღამის წყვდიადში. თეთრი დღეები პოეტისათვის იმედია, იმედია ხვალინდელი დღის, სინათლისა და სიკეთის მანიშნებელი თეთრი - წმინდა ფერია.

„თეთრო დღეებო,
მომენატრეთ,
თეთრო დღეებო.
უმზეოდ როგორ ჩაიარა ამ დღემაც
დღესაც...
თეთრო დღეებო
იმედების თეთრო დღეებო.
გამიცისკროვნეთ საქართველოს
უძირო ზეცა“ (თეთრო დღეებო“)

ასე ბუნებრივად და საინტერესოდ გადადის ავტორი ინტიმური პოეტური აღმაფრენიდან მამულისა და სამშობლოს სიყვარულზე. იგი მხატვრულ სიმბოლიკას მშობლიური ქვეყნის სიკეთისა და ნათელი მომავლის წარმოსაჩენად იყენებს ლექსში „აქ მინდა მოვკვდე და დავიმარხო“. ა. ბერიძე ტრადიციულ თემას აგრძელებს. მშობელ მიწაზე სიკვდილი და დამარხვაც ერთგვარი ბედნიერებაა ადამიანისათვის. ავტორი რაფიელ ერისთავის ლექსში „სამშობლო ხევსურისა“ ასახულ მეტაფორულ სახეს „მე მირჩევნია სალი

კლდე თოვლიან-ყინულიანი“ ცვლის მკვეთრი რეალური შედარებით: „მე მისი ტალახი მირჩევნია სხვის ედემს მწველსა და საარაკოს“.

ადამიანისათვის სიკეთით და სიმართლით გავლილი წლები სიბერეში უფრო მეტ ღირებულებას იძენს, „რამდენი გავლილი შიში და უკან არც მოხედვა მაშინებს“. ეს დიდი სულიერი შვებაა, როდესაც წარსული არ გამძიმებს და ცოდვები არ გაწუხებს. ამავდროულად, რაც სურდა იმას აკეთებდა და ისე განვლო წლები. „ის ვთესე, რაც გულმა მირჩია, მოვიმკე, რასაც რომ ვთესავდი.“

ა. ბერიძის ლირიკული გმირი კმაყოფილია თავისი გავლილი ცხოვრებით. არც ის აწუხებს, რომ ვერ მიაღწია მიზანს, რადგან მას აუხდენელი არ დარჩენია ოცნებები და საქმიანი ჩანაფიქრები. ამდენად, მის ლექსებში ნათლად ჩანს გზა, რომლითაც უნდა იაროს ადამიანმა, და როგორ უნდა იაროს, რომ სიბერეში სულიერად თავისუფალი იყო და საკუთარი წარსულით ამაყობდე.

მერაბ დადეშარი თავის პოეზიაში მრავალ რთულ ცხოვრებისეულ პრობლემას ეხება. ეს არის შემოქმედების, რწმენის, წარსულის ზნეობის და სხვა.

პოეტი ორიგინალურ მეთოდს ირჩევს აღნიშნული პრობლემების ასასახად.

პირველ რიგში სალექსო ფორმა, რომლითაც უფრო თავისუფლად, უფრო მეტი დამაჯერებლობით ხატავს ლირიკულ სიტუაციებსა და პოეტურ პასაჟებს, ამავდროულად იგი უფრო მარტივად გადმოგვცემს თავის სათქმელს. როდესაც ტრადიციული რითმი არ გბოჭავს და რითმასაც თავისუფლად ეპყრობი და მისი მხატვრული კომპონენტებით გამდიდრება, შედარებით იოლია, მაგრამ ამისთვის საჭიროა პოეტის შემოქმედებითი გამოცდილება და პოეტური აზროვნება. რაც პოეტ მერაბ დადეშარს უდავოდ მოჭარბებული აქვს.

მის ლექსებში იმდენად მაღალ დონეზეა თანხმოვან ბგერათა ჰარმონია, რომ თუ საგანგებოდ არ დაუკვირდი ურითმობას ვერ შეამჩნევ. ეს არის პოეტის გამარჯვება შემოქმედებით ჭიდილში.

მ. დადეშარი ისე ბუნებრივად, ისე თავისთავადი თანმიმდევრობით იცავს შინაგან რიტმს ლექსში, რომ შეუძლებელია, არ

მოიხიბლოს მკითხველი. ამ მხატვრულ ფონზე უფრო მეტი ექსპრესიით ჩანს ლექსში ასახული თემატიკა და პრობლემატიკა.

„მუზა კვდება, გაუმარჯოს კოსმოსს!“ ამ ლექსში ლირიკული გმირისთვის ცხოვრება პროზაულია. თანამედროვეობა კრიტიკულად გაიაზრება. სადაც მუზა კვდება, სადაც პრაგმატიზმი სუფევს, სადაც „განზე გადგა ღმერთი“, ამიტომ უარყოფს ამ რეალურ სივრცეს და სასურველი სამყაროს კოსმოსში ძიება წინა პლანზე მოდის, რადგან ამ პროზაულ ცხოვრებაში, რომელსაც სიყვარულს არქმევენ, ამ რუტინაში პოეტის ყოფნა რთულია და გაუსაძლისი.

პოეტი უღმერთობასა და ტრაგიკულ წარსულს ეხება ლექსში „ქილდა“ რითაც ჯავახური კოლორიტი შემოაქვს თავის პოეზიაში.

„გინახავთ ნატყვიარი ეკლესიისა?
ეს არის ქილდა!
გინახავთ ნატყვიარი საფლავის ქვები?
ესეც ქილდაა!

ქრისტიანული სიწმინდეების ხელყოფა ერწყმის ისტორიულ რეალობასა და წინაპართა ტრაგიკულ ყოფას, რაც ერთგვარად არღვევს კავშირს აწმყოსა და წარსულს შორის.

ურწმუნოების სავალალო შედეგია ასახული ლექსში „დათმო დაუთმობელი“. მესხეთის თემა ფიგურირებს აგრეთვე მ. დადეშარის „არავის“ 25-ე ნომერში დაბეჭდილ საინტერესო და ორიგინალურ ლექსებში „ტაძარი ერუშეთში“, „ვივსები ენერგიით“ და სხვა.

წარსულის რეალობა, მისი სიმბოლური ძეგლები აინტერესებს ლირიკულ გმირს. ბუზმარეთი - უძველესი ტაძარი და მის კედლებზე უძველესი წარწერა, რომელიც „დგას სიმბოლოდ ყოფნის.... და მტკიცებად აზრის“. „ოთხიოდე ასო ჩვენი ანბანის აქ არის და გვდარაჯობს.“

უფრო მეტი პრობლემატური და მეტი შემართებაა ლექსში „ვივსები ენერგიით“. ლირიკულ გმირს ძალას ჰმატებს მთები, მდინარეები, ტაძრები, ისტორიული მხარეები „ველოდები ენერგიას ძველი და ახალი საქართველოსი, ველოდები და ვარ ძლიერი“.

მ. დადეშარი ერთ-ერთი საინტერესო ავტორია თავისებური სტილით, თავისებური შინაგანი პოეტური ენერგიითა და ხედვით, რომელიც მის სულიერ სიღრმეებს წარმოაჩენს.

რელიგიურ საკითხს კოსმიურ ასპექტში იხილავს **გოჩა ნათენაძე**. იგი ორიგინალურად ასათაურებს ლექსებს - მხოლოდ თარიღი აწერია სათაურად, რაც შეიძლება გარკვეულ განცდათა და ნააზრევთა დღიურის ფორმას აძლევდეს. რა თქმა უნდა, ესეც ერთგვარი სიახლეა პოეზიაში.

ლექსი რომელიც 2019 01 06 სათაურით ფიქსირდება სამყაროს ცოდვათა პრობლემას წარმოსახავს. უფლისადმი მიმართვაში იგი ახასიათებს ადამიანის გაჩენას რომელიც უცოდველია პირველ ცოდვამდე, მაგრამ ვერ დარჩება ასეთად. ცოდვა გარდაუვალია, ილიას განდეგილივით გზას ვერ აუქცევ ცოდვას. ამიტომაც უმძიმდება სული ლირიკულ გმირს და ასკვნის „იქ აღარ მინდა, მანდ კი, არ ვიცი“.

ღამის ფილოსოფიური ხედვაა ასახული ლექსში 2019 30 06. ღამე კოშმარებისა და მოჩვენებების ლანდების დროა. ეს რეალურიც არის და წარმოსახვითიც. ლექსი მდიდარია მეტაფორებით და მასში მხატვრული აზროვნების მაღალი დონე აშკარაა.

„მკვდარი დღის შემდეგ
ღამის სიშლეგე ....
და ჯოჯოხეთის მოციქულები
თვითონ სიკვდილზე დასრიალებენ“....

მთვარე ღამეული მეგზური და იმედი ადამიანისა ერთგვარად ანეიტრალებს ღამეულ ჩვენებათა შიშს.

ღამე საინტერესოდ და პოეტურად აისახება გ. ნათენაძის ლექსებში. იგი ერთგვარი სიმბოლოა მრავალმხრივი გააზრებით.

სამშობლო, მშობლიური მხარე ტრადიციული ფერებითა და განცდებითაა ასახული ლექსში 2019 27 08. ეს ყოველი ქართველი პოეტის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი და მარადიული თემაა. გ. ნათენაძეც გულწრფელი სიყვარულით ეხმიანება ამ თემას.

გ. ნათენაძის პოეზიაში ერთ - ერთი საინტერესო მხატვრული სახეა ცხენები. იგი ლექსში 2019 05 30 გვხვდება და გარკვეულ ყურადღებას იქცევს თავისი შინაარსობრივი და ალეგორიული მნიშვნელობით. შეიძლება აქ გავიაზროთ მისი შემოქმედებითი

გაქანება, როგორც „ლურჯა ცხენებში“, მაგრამ პოეტი სხვა მიმართულებას აძლევს ამ სახე სიმბოლოს.

„არ დაიღალნენ ჩემი ცხენები
ფლოქვების ცემით,
დასაბამიდან გაფრენა უნდათ.....
მე კი მიჭირავს მათი აღვირი....
და ძლივსღა ვიჭერ.“

ავტორის აზრით მოვიდა ის დრო, როცა უნდა მიუშვას ცხენები, გადაჭრას აღვირი და შეუძახოს, „დიდი ხანია თქვენი დროა, მიდით, გაფრინდით“...

გოჩა ნარიმანიძის ლექსები უდავოდ ძლიერია მხატვრული და პოეტიკური თვალსაზრისით, მისი ორიგინალური ლექსწყობა, თითქოს მორგებულია მის მუზას. ამ ფორმით წარმოაჩენს იგი თავის ნააზრევს, რომელიც თავის ადგილს დაიკავებს ქართული პოეზიის ისტორიაში.

გიორგი ხორბალაძე რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია. მისი ლექსები ერთი მთლიანი პოეტური შემოქმედებაა. ყოველი ლექსი თავისებური პოეტური სტილითა და ლექსწყობითაა დაწერილი. სიყვარულის ლირიკული წარმოსახვა და მისი მხატვრული გააზრება გ. ხორბალაძის ლექსების ძირითადი საკითხია. მის შემოქმედებაში სიყვარული წმინდა, ნათელი გრძნობაა, მისი გამოვლინების თავისებურებას, შეყვარებულთა ინდივიდუალურ განცდებს პოეტი სანტერესო მეტაფორებითა და შედარებებით გადმოგვცემს. ლექსში „ზამთრის სიუჟეტი ყინული, სიცივე გაიაზრება როგორც სიყვარულში გულცივობის გამოვლინება და განშორების მწვავე სულიერი განცდის პერიოდი.

აქ ფიგურირებს ბაიკალის ტბა, როგორც სიმბოლური სახე, როგორც მეტაფორა გაყინული ტბისა, რაც გაცივებული გულის მხატვრული სიმბოლოა.

„ალბათ ყინულებად იქცა ბაიკალი.....
გახსოვს? ჩემი გული ხელში ჩაიკალი“....

ბრწყინვალე რითმებია, ამ მსოფლიოში ყველაზე ღრმა და დიდი ტბის გაყინვა შეიძლება ასოცირდებოდეს სიყვარულით ყველაზე მგზნებარე გულის ადამიანისადმი საყვარელი ქალის მხრიდან სიყვარულის გაყინვასთან. ამიტომაცაა „პირთამდე დარდის

საბარგული, დარდის ჩემოდანიც“. ავტორი აკონკრეტებს თავისი წუხილის ძირითად მიზეზს: „ჩემი სიყვარულის დიდი ბიუჯეტი ერთი ხელის მოსმით ისე გამიფლანგე.“

ლირიკული გმირისთვის ეს არის ტრაგედია, მას კვლავაც ენატრება სატრფო და ერთობ თავდაბლობით და დიდი სითბოთი უხმობს მას, რასაც მოაყოლებს მაღალმხატვრულ სტრიქონებს.

„თავზე ჩამომექცა შუქთა ილუზია,
დილა ფანჯარაში როდის დამიჯდება?
შენზე გაგიჟება მართლაც ვირუსია,
მართლა ვირუსია შენით გაგიჟება“.....

გ. ხორბალაძის პოეზიაში ერთ - ერთი საინტერესო და ძლიერი ლექსია უსათაურო, რომელშიც ავტორი სიყვარულის აპოთეოზს აღწევს, აქ ნათლად ჩანს ლირიკული გმირის წრფელი გრძნობა, აბობოქრებული სწრაფვა შეყვარებულის გულისაკენ. „მე უკვე მიყვარხარ საზღვრამდე სიგიჟის“ და ამიტომაც ეძებს ის სატრფოს გულში ერთ კუთხეს.

სიყვარულის პირადული ინტიმი ტრაგედიამდე მიდის, ეს კოშმარული სასოწარკვეთაც მკვეთრი ფერებით აისახება ლექსში, რაც ძალუმად მოქმედებს მკითხველზე, რომელიც ბუნებრივად გადადის ლირიკული გმირის სულიერ სივრცეში და მისი თანაზიარი ხდება.

„ღრუბლებს ჩამოსცვივდა ცრემლთა ნიაღვარი,
ირგვლივ ყველაფერი მუქად ჩანაცრისფრდა,
ცივი უშენობის სივრცეს მივეხალე,
თითქმის თვითმკვლელობის ვდგავარ ჩანაფიქრთან.“

ავტორი პირადული, კონკრეტული განცდებიდან ერთბაშად გადადის კოსმიურ საკითხებზე. მას უნდა, რომ მისი სატრფო მთვარის ნაცვლად ენთოს ცაზე, რომ საყვარელი არსება სამყაროს ძირითად ნაწილად იქცეს, რომლის სხივები მას გაათბობენ. უმისოდ მისთვის ქვეყნიერება არაფერს წარმოადგენს:

„კრიალა ზეცაზე ვარსკვლავთა ჭორფლია ...
იქნებ მთვარის ნაცვლად თავადვე აენთო ...
ვის რაში სჭირდება უშენო მსოფლიო?
უშენოდ რად გვინდა სამყარო საერთოდ?“

სიყვარულის სხვადასხვა განზომილებებს ასახავს პოეტი სხვა ლექსებშიც, ყოველ ლექსში მძაფრი გრძნობათა ღელვაა გადმოცემული და მაღალი მხატვრული ფერებითაა წარმოჩენილი. ეს არის ჭეშმარიტად ძლიერი მამაკაცური პოეზია. დახვეწილი და რაფინირებული რითმებითა და მხატვრული ნააზრევით გამდიდრებული ჭეშმარიტი შემოქმედება.

ანასტასია შიშინაშვილი „არავის“ 24 - ე ნომერში მკითხველს სთავაზობს თავისი პოეზიის თანამედროვე ნიმუშებს, რომლებიც ასახავენ ლირიკული გმირის განწყობილებებს, სადაც ნათლად ჩანს ქალური ხედვა, ინტიმური სამყაროს აღქმისა და წარმოსახვის მრავალფეროვნება, ფორმათა და პრობლემათა სხვადასხვაობა, რომლებიც ერთმანეთს შეესაბამებიან და ქმნიან ჰარმონიულ სტრიქონთა წყობას, როგორც შინაარსით, ისე პოეტური სახეებით.

ა. შიშინაშვილის ლექსების ნაწილი უსათაუროა და შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში ავტორი უფლებამოსილია ერთი თემით, ან ერთი სიუჟეტით არ შემოიზღუდოს და მრავალი აზრი და საკითხი ასახოს, მაგრამ იგი პირველ რიგში ქალის ინტიმურ სივრცეს ეხება და თანაბარი ემოციებით ასახავს როგორც ხორციელ, ისე სულიერ მხარეებს. როგორც ავტორი, ისე ლირიკული გმირი თავისუფალია შინაგანი თუ გარეგანი დოგმებისაგან, ის ღიად მიმართავს თავის ნანდაურს: მას უნდა, რომ მოვიდეს ის და თუნდაც ბოლოჯერ ნახოს და თავისი ალერსის კვალი დატოვოს მის სხეულზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მას უარყოფს:

„წავალ ....აღარ იეჭვებ
არც ჩემ ქმარზე.... ქარზე,
დღეს თუ აღარ მოხვედი,
გიღალატებ „ხვალე“.

ქარში, ხშირ შემთხვევაში, მამაკაცური ენერგია იგულისხმება და აქაც, ამ ლექსში ზოგადად მამაკაცად ჩანს ქარი და არა კონკრეტულ ქმრად.

ა. შიშინაშვილის ლირიკულ გმირს უფრო ლირიკული ნოსტალგია აწუხებს, სიყვარულის დეფიციტის გრძნობს და ეს მისთვის მიუღებელია, ცდილობს ეძიოს, მოითხოვოს, რადგან დრო მიდის აპრილი ვნებები მისთვის არ არის ფაქიზი, რადგან მან ის „ხასას დაამსგავსა“.

„ვითხოვ სიყვარულს, მეტ ვნებას და უფრო მეტ გრძნობებს.
ხელისგულიდან გამქცევია სიცოცხლის ხაზი“.

მშვენიერი მეტაფორაა სიცოცხლის წარმავლობის, სიყმაწვილის დასასრულისა და სიბერის დადგომის შესახებ აზრის გადმოსაცემად.

ასევე ძლიერი ლექსია უსათაურო, რომელიც ქარისა და წვიმის სიმბოლიკას სრულიად განსხვავებულად, მარტივ ფერებში ასახავს და ამავდროულად მაღალი პოეტური აზროვნება და რითმის ძლიერი შეგძნება ჩანს. ლექსი ისე, როგორც სხვა ლექსები, მდიდარია მხატვრული მეტაფორებითა და ლამაზი პოეტიკური კომპონენტებით.

„ქარმა მოხვეტა ფოთლები,
ზეცას ეწყინა
წვიმს...
ქუჩა აივსო ქოლგებით
წვიმას უფრთხიან
მწყინს
სიყვარულს ასე ვშორდებით
ან თუნდაც ვუფრთხით...
ცრის!...
გრძნობებს თუ დავემონებით,
გადავრჩებით და
ღირს!..

ა. შიშინაშვილის ყველა ლექსი დამოუკიდებული თავისუფალი შემოქმედებით განცდისა და ფიქრის შედეგია. აქ ერთმანეთს ერწყმის ზოგადი და კონკრეტული, პირადული და საყოველთაო, სატრფიალო და შემოქმედებითი მოტივები, რომლებიც ამდიდრებენ და ამაღლებენ მის პოეზიას.

ლალი ახალკაცი („არავი“ N24) ყოველდღიურობაშიც და თავის შემოქმედებით ნააზრევშიც ნახულობს პოეტისათვის საინტერესო პრობლემებს და მათ გულწრფელი სიტყვებითა და მხატვრული ემოციებით გადმოგვცემს, რითიც მკითხველის ყურადღებას იპყრობს,

„გადამხვიე ხელი და გავყვეთ ბილიკს ცხოვრების,
თარიღებს რა გამოლევს, ვარსკვლავებზე მეტია,

სიცოცხლის და სიკვდილის მარადიულ მიჯნაზე
გასავლელი ხიდები საზიარო ბედია.“

ბედი გარკვეულ ადგილს იკავებს ლ. ახალკაცის შემოქმედებაში, ბედის ნაბიჯების თვლა ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია. ეს ნაბიჯები აახლოვებენ ადამიანს ბოლო გზასთან:

„მთელი ცხოვრება ვმარცვლავთ თითზე ნაბიჯებს ბედის...
როცა განგება ბოლო გზაზე გაგვიყოლიებს“.

ეს საკითხი კვლავ ფიქსირდება სხვა ლექსებშიც:

„გაივლის დრო და ყავარჯნებით გავყვებით ბილიკს“ ...

ბედის და ცხოვრების პრობლემიდან ავტორი გადადის სიყვარულის განცდასა და სიყვარულისთვის საბრძოლო შემართებაზე, რაც მეტაფორული სახეებითაა გადმოცემული:

„ყივჩაღის მუხლებზე ავლესე ხანჯლები,
მგლის ხახას მოჰგავდა უფსკრული შენამდე“...

ასეთი საბრძოლო შემართება რომანტიკული შეხვედრით მთავრდება:

„ერთი ღიმილით დამაყრევინე
ჩემი ხანჯლებიც, ვეფხვის ტორებიც“.

ლ. ახალკაცის პოეზია, მისი პოეტური შემოქმედება გამოირჩევა ლირიკული გმირის ქალური შემართებითა და გაქანებით. ზოგადი პოეტური სახეები უდავოდ ამშვენებს მის ლექსებს და მაღალ ღირებულებებს ჰმატებს.

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის პროფესორის ლერი ნოზაძის ლექსები „არავის“ 25-ე ნომერშია შეტანილი. იგი ცნობილი პოეტია და ხშირად იბეჭდება რესპუბლიკურ პრესაში. მისი პოეზია პოეტური მსჯელობაა ამქვეყნიურ პრობლემებზე, ზნეობაზე, ხალხის განწყობილებასა და სხვა თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე.

აქ წარმოდგენილი პოეზია ჭეშმარიტებაზე ფიქრით იწყება. „სიმართლეს მუდამ შვენის დაცვა, ვით რჯულს სიმტკიცე“. „მწამს საღი აზრი იარსებებს მარადიულად, ჭეშმარიტებას თაობათა უნარი იხსნის“.

რელიგიური საკითხი, ადამიანური ურთიერთობები, მამაშვილური პრობლემები და სხვა. ლ. ნოზაძეს ჭეშმარიტების რაკურ-

სით აქვს ასახული. ამდენად კეთილი საწყისი, რომელიც მის პოეტურ მედიტაციებშია განფენილი ჭეშმარიტებასთან ერთად და მასთან მიმართებაშია წარმოჩენილი და თავისებური თვალით დანახული.

სერგო მელიქიძე აწ გარდაცვლილი პროფესორი, რომელიც სამცხე-ჯავახეთის, უნივერსიტეტის დაარსების დღიდან სიკვდილამდე მუშაობდა ცნობილი მეცნიერი და ცნობილი პოეტია. მას იცნობს როგორც სამეცნიერო, ისე ლიტერატურული საზოგადოება.

„არავის“ 26-ე ნომერი გვთავაზობს ს. მელიქიძის ლექსებს: „სამშობლო“, „წყაროსთავის მონასტრის მოთქმა“, „ჯავახეთში“, „ქარელი“, „შვილს, რომელიც არ მყავს“, „მეგობარს“, „ლაპარაკობენ მკვდრები“ და სხვა უსათაურო ლექსებს.

სამშობლო ს. მელიქიძისათვის მესხეთიდან დანახული საქართველოა. ეს მისი მშობლიური მხარეა და რა თქმა უნდა, ლექსშიც დაფიქსირდებოდა. „აქ უყურებდნენ დაისს, მზის ჩასვლას, ბექა და ბეშქენ ოპიზარები. აქ დაისაჯა სიყვარულისთვის მეფე პატრონი ბერის ბრძანებით, აქ რეკდნენ ქვეყნის გადარჩენისთვის ოპიზისა და ხანძთის ზარები!“

ქვეყნის ერთგულება და სიყვარული ტრადიციული გულწრფელობით ნათელი ფერებითაა ასახული, „ლოცვად მიიღე მცირე ნობათი, შენს სიყვარულში რაც მოვასწარი!“

წყაროსთავის მონასტერი ახლა თურქეთის იურისდიქციაში, ის პირველი ტაძარია მესხეთიდან თურქეთში გადასასვლელთან. მას ეძღვნება ლექსი წყაროსთავის მონასტრის მოთქმა“.

„წასულა ყველა
ყველა წასულა,
წასულა ყველა წინაპართაგან...
ვდგავარ დარაჯი ათასწლოვანი
საქართველოის მისავალ კართან!“

ხალხური მოტივები და ზეპირსიტყვიერება მოხდენილად აქვს გამოყენებული ლექსში „დილისკას“... თავისი წყობით, რითმებით და საერთოდ წარმოსახვის ფორმით ამ ლექსს ძნელად გაარჩევ კლასიკური ფოლკლორი ლექსისაგან, თემატიკაც და პრობლემატიკაც ხალხურია.

„დილისკას სიტყვა მოსულა,
ქილდას წალეკა ყანაო,
აფინას, ქარცვეფს, მირაშხანს,
ოდოჟღერ დააყარაო....
ისე გახადა მინდვრები,
სოხახებს დაამგვანაო....
რაღა უშველის ჯავახეთს,
რა რიგად გაამწარაო“.

მის ლექსებში უხვად არის ჯავახური კოლორიტი, თავფარავანა, აბული, ვარძია. აქედან ხედავს იგი არმაზს, გელათს, იყალთოს, პალესტინას, საინტერესო პარალელებია ამ წმინდა ტაძართა შორის გავლებული: „პალესტინა, კუმურდო, პეტრიწონი, ხერთვისი“.

„შვილს, რომელიც ჯერ არ მყავს“ და „ქალიშვილს, რომელიც არ მყავს“. ოჯახურ - გენეტიკური პრობლემის თავისებური ინტერპრეტაცია. ამ ლექსებში პირადული, ოჯახური და ეროვნული საწყისები ერთმანეთს ერწყმის.

„ლაპარაკობენ მკვდრები“ ერთ - ერთი ფილოსოფიური ხასიათის ლექსია. ავტორის აზრით, მკვდრებს ველარ აშინებს ვერაფერი, ვერც ვერავითარი ძალა ვერ ზღუდავს.

„ამაოების გზაჯვარედინზე მამაცთა სული ბორგავს,
არარაობის სამეუფოდან კაცობრიობის მოდგმას,
დაუგდეთ ყური უკუნეთიდან
ოხვრას, ტირილს და მოთქმას,
მათ ვისაც უკვე ვერავითარი
სიკვდილი ველარ მოკლავს.“ („ლაპარაკობენ მკვდრები“).

შეიძლება ითქვას ს. მელიქიძის ლექსები ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი, ისტორიული თემატიკა, სიკვდილ - სიცოცხლის პრობლემა, სამოქალაქო პათოსი თუ პატრიოტიზმი მარტივი ფრაზებით მსუბუქი სტრიქონებით აისახება მის პოეზიაში. ამ სიმარტივესა და უბრალოებაშია მისი ლექსების პოეტური ღირებულებანი.

ნინო ბერიძე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სპეციალობის III კურსის სტუდენტია. მისი ლექსები

„არავის“ 26-ე ნომერში დაიბეჭდა. ეს მისი ნათლობა იყო - პირველი ნაბიჯი პოეზიის გზაზე. იგი ფრიადოსანი სტუდენტია, კარგად იცის ლიტერატურა, იცის ქართველი პოეტებისა და მწერლების შემოქმედება. მის ლექსებს აშკარად ემჩნება პოეტური ნიჭიცა და ლექსის თეორიული ცოდნაც. მას უმეტესად უსათაურო ლექსები აქვს, რომლებშიც პირადული პრობლემები ლირიკულ ასპექტში აქვს ასახული. ხშირ შემთხვევაში მიმართავს ბიბლიურ და ფილოსოფიურ წიაღსვლებს.

„რისთვის მედავები ქარო? რისთვის გადამკიდე დილა?
გულში ჩაჭმუჭნულო ყვავილო, ისევ გაიშალე, მცივა ....
განა გაგახუნებ ალერსით, განა შემოგაცლი ფოთლებს? ...
მინდა მოგეფერო შორით, თორემ თიხის კანი მცვივა“.

ბედის საკითხი არაერთგან გვხვდება „არავის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ლექსებში. ნ. ბერიძეც ეხება ამ თემას. „იმდენად დავეცი, ნამსხვრევები ვერ შევიბნიე, შეკოწიწება ვერ გავბედე ბედის სარკისა“.

პირად ბედს მხოლოდ სიყვარული არ განსაზღვრავს, მასზე ბევრი ცხოვრებისეული ფაქტორი მოქმედებს. სიყვარულიც მრავალგანზომილებაშია ასახული ერთ უსათაურო ლექსში, „უშენობით გამოძერწილ მარტოობას, დავუხუჭე ფერფლისფერი თვალები, მაგ ხელებით ჩახუტებულ უჯრედებს შეესია ტკივილების ჭავლები. შენს ეზოში იასამნის ყლორტებად ამოვალ და სარკმელს გავერინდები“.

ეს ლექსი მდიდარია მხატვრული ფრაზეოლოგიზმითა და სახეებით. „ბედნიერი ვიღიმები სევდისფრად, მელანივით გამეთხლაპნა სამყარო“. „ჭიქავ მონატრებულო რუსთაველის სტროფივით“.

საინტერესოა ლექსი ჯავახეთს, სრულყოფილი მაღალმხატვრული სახეებითა და მეტაფორებით ხატავს ავტორი ჯავახეთის ეთნოგრაფიას, ტრადიციებს, ლაღ ურთიერთობებს. მაგრამ როგორც სხვა მესხეთის პოეტები, ისე ნ. ბერიძე, ჯავახეთის პარალელურად სხვა მხარეებსაც სითბოთი და ინტერესით მოიხსენიებს. რიონი, ალაზანი, ცხენისწყალი, ენგური ეს მდინარეები

ბუნებრივად ისახება მკითხველის ცნობიერებაში და ქმნის ერთიანი საქართველოს კოლორიტულ გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ სურათს.

ავტორი მიმართავს აკროსტიხის ტრადიციულ ფორმას. სიახლე ისაა, რომ აქ მთელ წინადადებას ქმნის სტრიქონთა წინა ასოებით, ამ ფორმაშიც პოეტი აღწევს მხატვრულ სრულყოფილ სახეებს.

ერთ-ერთი ვრცელი ლექსია „ფარავანას ტბიდან ანასხლეტო მზეო თიბათვის“. ამ სტრიქონებით იწყებს ავტორი, რომელშიც ფილოსოფიური საკითხი ყოფითი ცხოვრება, მისი პოეტური აღქმა და წარმოსახვა შემოქმედებითი გამონაგონითა და მეტაფორული სტრიქონებით არის გადმოცემული.

მრავალფეროვანია ნ. ბერიძის ლექსები, მათი თემატიკა და პრობლემატიკა თანამედროვე მხატვრულ აზროვნებასთან მიმართებაშია გადაწყვეტილი. მისი პოეტური მრწამსი, გულწრფელობა, საკითხისა და წერის ობიექტისადმი უშუალო მიდგომა, რომელიც შეიძლება ითქვას, გამოცდილი პოეტისათვის დამახასიათებელი მხატვრული ფორმებითაა შეზავებული, ქმნიან ლამაზ პოეტურ სახეთა და ნააზრევთა ჰარმონიას.

ქრისტინე არქანია კიდევ ერთი დებიუტანტია ნინო ბერიძესთან ერთად, რომელსაც ბეჭდავს „არავი“ 27-ე ნომერში. მისი წარდგენისა და უკეთ გაცნობის მიზნით მოვიშველიებ ჩვენი კოლეგისა და მეგობრის პროფესორ ბატონ რევაზ შეროზიას ლამაზ პოეტურ სიტყვებს: „შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის უნივერსიტეტის სტუდენტი, საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში ცხოვრობს, მუჯავაში, მერცხლის ბუდესავით რომ შეფენილა ენგურის მარჯვენა სანაპიროს მთებში და პირდაპირ გაჰყურებს სამურზაყანოს. როგორც ჩანს, ბუნების საოცარმა ფერებმა მოასურვეს პოეტობა. მართალია, ქრისტინე ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე თავისებურად შეჰყურებს მის გარშემო შემოქარგულ სამყაროს, მშობლიურ კუთხეს, მთლიანი სამშობლოს ნაწილს.

პოეტობა მძიმე ტვირთია და დაუღალავ, მოუწყინარ შრომას მოითხოვს. აქ წარმოდგენილი ლექსები ქრისტინეს ერთგვარი განაცხადია.

იმედი მაქვს, ავტორი პოეზიის რთულ გზაზე წარმატებით ივლის. ყოველთვის ემახსოვრება, რომ ყვავილის გასაზრდელად აუცილებელია შრომა, მოთმინება და სიყვარული. სიკეთით ევლოს ამ გზაზე და მკითხველი ფერადი ფრაზა-სურათებით გაეხარებინოს!“

ქრისტინე არქანია თავის პოეზიაში სამშობლოს-საქართველოს, მშობლიურ ბუნებას უმღერის. იგი ლირიკული სიფაქიზით ასახავს ინტიმურ თუ პატრიოტულ განწყობილებას, ეს არის გულწრფელი ნააზრევი და განცდილი, თავისუფალი პათეტიზმისა და ხმამაღალი ფრაზებისაგან. საყურადღებოა ქრისტინეს ლექსი „ჩემი საქართველო“. ამ ლექსში ავტორი ერთგვარად აგრძელებს დუტუ მეგრელის პატრიოტული ხედვის პოეტურად ასახვის ტრადიციებს და მეორე მხრივ,ავსებს მას პირადი, ლირიკული და პოეტიკური ფორმებით.

ლექსში ფიგურირებს სიტყვა „მიყვარს“, რომლის რიტმული გამეორებით პოეტი აძლიერებს ემოციურ მუხტს მკითხველში და ქმნის ამაღლებულ გნწყობილებას:

„მიყვარს, მიყვარს სანაქებო,
ენგური და რიონი.
მიყვარს ჩემი საქართველო,
მიყვარს კავკასიონი.
მიყვარს მთები, მიყვარს ზღვები,
მიყვარს დედულ-მამული,
მიყვარს ჩემი ბაღ-ვენახი,
დილით გადანამული.
მიყვარს ჩვენი დედა ენა,
მიყვარს, მიყვარს ჩვენი ერი,
მისი სადღეგრძელო იყოს,
მისი მრავალჟამიერი“.

ქ. არქანია პოეტურად აღიქვამს ბუნებრივ მოვლენებს. ქარი, სიცივე მისთვის რთული ასატანია. იგი წუხს ცივი და ბნელი ღამის გამო:

„ვლოცულობ ნეტა გათენდეს დილა,
კიდევ ერთი დღით სუნთქვა განვაგრძო“.

ღამეს უსიამოვნო განწყობა მოაქვს ლირიკული გმირისთვის სხვა ლექსშიც: „ჩუმად მოაბიჯებს ღამე, დილას გამოჰყვება დარი“.

დიდებული და ამაღლებული ემოციითაა დახატული ენგური, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, წყალუხვი და ჩქარი მდინარე:

მთის ახლოს, სოფლად ძველ ამბებს ჰყვება,
ენგურის მღვრიე, ლურჯი ტალღები,
ვინ იცის ცაზე ვარსკვლავთა კრება,
ვისთვის ყოფილა ფიქრთა წამღები?
ნაპირთან ახლოს მთები აშლილან,
ხეებს ფრინველთა ბუდე ამშვენებს,
მოჩანს, ლოდები ტალღის ნაბიჯად,
ბულბული სტვენით სოფელს ამხნევებს.

ქ. არქანიას ლექსებიდან განსაკუთრებული პოეტური ემოციურობა ლირიკულ-ინტიმური განცდილისა და ნააზრევის მხრივ გამოსარჩევია უსათაურო ლექსი, რომელშიც ლირიკული გმირი თავმდაბლური პათოსით, მყუდრო იდილიას მონატრებული ასახავს პირად სურვილებს, რომელშიც შეიძლება განზოგადებულად გაიაზრებოდეს და მრავალი ადამიანისათვის იყოს მისაღები და თანაგრძნობის გამომხატველი.

„როგორ მინდა სადმე სახლი გვქონდეს,
მთის ძირში და ამ კლდეების მიღმა,
ღამ-ღამობით ცივი ქარი ქროდეს,
შენ კი თბილად მიხუტებდე მინდა.
სახლს გარედან ხის ტოტები რთავდეს,
ყვავილები გვიფარავდეს ეზოს,
ფრინველები დარაჯებად გვყავდეს,
ჩვენი გრძნობა სულ ყველას რომ ეყოს“.

ქ. არქანიას ეს წარმატებული დებიუტი გვაძლევს იმედს, რომ იგი კვლავ განავითარებს თავის პოეზიას და უფრო და უფრო მეტი ლამაზი ლექსებით გაახარებს მკითხველს.

ლევან ალავერდაშვილი „არავის“ 27-ე ნომერშია დაბეჭდილი. მისი ლექსები თანამედროვეობას ასახავენ. „ჩანატირი ერთი ღამის ანუ მიწისქვეშა გადასასვლელი“. თბილისის ყოველდღიურ ცხოვრებას, გაჭირვებულ ადამიანთა პრობლემას ეხება, რომელშიც

ლირიკული გმირი თავად მონაწილეობს. რთული რეალობა შერბილებული და შემსუბუქებული ფერებითაა დახატული.

„ფატუმი“ ლირიკულად მოგვითხრობს ცხოვრების გზაზე. ძნელი სავალია ეს გზა, „სავალად მრჩება ხიდი ბეწვის, დრო ფრთებს მშვიდად კეცავს, თვალზე უფრო გული მეწვის, როცა ვუმზერ ზეცას“. („ფატუმი“)

საინტერესო ლექსი „ასეა როცა“, რომელსაც მონტანის სტრიქონები აქვს ეპიგრაფად: „ნიჭით აღმატებულნი უსაქმობით იღუპებიან“. რაც მიგვანიშნებს ლექსის მელანქოლიურ და მოწყენილ განწყობილებაზე:

„დრომ მწუხრისფერი მოგხვია ხელი, სულს დაგფენია სიყვითლე ობის“.

„დღეს ძარღვებს გივსებს მძიმე ქაოსი,
ასეა, როცა ხარ მწუხრის ლანდი.“

გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ინტიმურ საკითხს, რომელიც ქეიფთან და ღვინოსთან პარალელურად აისახება.

„მიყვარს ბახუსის ხელადა
მაგ ტუჩებივით ცვრიანი,
მკერდის ზღვაურად ღელვა და
ზედ კაბა იისფრიანი“.

ორიგინალური სიტყვათწარმოებაა იისფრიანი, დანაგვიანი და სხვა.

გალაქტიონის სტრიქონების ლამაზი ალუზიაა, რთული ფილოსოფიური ლექსის „კორიდას“ სიუჟეტში.

მძაფრია ლ. ალავერდაშვილის სტრიქონებში ინტიმური განცდა: „შენი სუნთქვით რა ახლოა ზეცა“, ...„უშენობით მელოდება ბნელი, მესაფლავე, საფლავი და კუში“ (გაზაფხული“).

ფილოსოფიური პასაჟები, ცხოვრებისეულ პრობლემებზე პოეტური ნააზრევი, ინტიმური განცდები, სიცოცხლის გზის სირთულე და სხვა მნიშვნელოვანი რეალური ნარატივი გვხდება ლ. ალავერდაშვილის პოეზიაში, რომლებიც გარკვეულ შთაბეჭდილებას ტოვებენ პოეზიის მოყვარულთა ცნობიერებაში.

„არავის“ 27-ე ნომერში ერთი **ნინო ბერიძე** კიდევ გვხვდება. ეს ემიგრანტი ქართველი ქალი, რომლის პოეზიის ძირითადი ნაწილი სამშობლოსა და მშობლიური კუთხის ნოსტალგიაა. ამავე

დროს ჯავახეთის კოლორიტი და ჯავახური ტრადიციული ყოფა ნათლად არის წარმოჩენილი. „თუთობის დროს ავირბინოთ ასპინ-ძაში, ჯეჯიმები დავაფაროთ მიწას, მერე ერთად დავარხიოთ თეთრი თუთა, ფიფქებივით მიწას რომ აცვივა“.

ასეთივე სიყვარულით იხსენიებს მამა-პაპათა მიერ ნასწავლ სიმღერებს, იგონებს ერკოტას, ხვილიშს, ჩიხორიშს და ამით ინე-ლებს პატრიოტულ ცეცხლს.

ნ. ბერიძე ყველა ემიგრანტის საწუხარზე წერს, ყველა მათ დარდსა და მონატრებაზე მსჯელობს, არ იშურებს მხატვრულ საღებავებსა და ლამაზ სევდიან სტრიქონებს.

ეკა ბაქრაძე იშვიათი შემოქმედია, რომელიც ლირიკულ-ფილო-სოფიურ ასპექტში ასახავს დედაშვილურ ურთიერთობასა და დე-დობრივ ზრუნვას შვილზე. მისი ლექსები „არავის“- 27-ე ნომერშია გამოქვეყნებული. იგი შვილს უძღვნის ერთ-ერთ საინტერესო ლექსს, სადაც პირადული ოჯახური პრობლემა განზოგადებულია საყოველთაო, საერთო მსოფლიო მნიშვნელობამდე. ტრადიციუ-ლად დედის რძეს ლოცავენ, ხოტბას ასხამენ დედას და მის ღვაწლს, მაგრამ ე. ბაქრაძე სულ სხვაგვარად წარმოაჩენს შვილის გაზრდის პროცესს:

„ვიდრე წვეთ-წვეთად ივსება საწდე,
გამითეთრდება თოვლით კაწიწი,
უფალს ვედრებას ზეცამდე ვაწვდენ
შენზე ლოცვით და სულის კაწკაწით...
სამყაროს ხსენი გასვი კერტებით
და ცალუღელად გზარდე ჩაუქად“.

პოეტი შვილის ზრდის პარალელურად პაპის მიერ დარგული ვაზის ლერწის დარგვას და მის ზრდას, ვაზად ქცევის პროცესს ასახავს.

ლექსში ლამაზი მეტაფორები და მხატვრული წიაღისვლები გვხვდება „ბევრის მომსწრე და ბევრის მნახველი, ბერიკაცივით დგას საწნახელი“. „ღვინობისთვეა ...დგას თავმომწონედ და დე-დამიწის ივსება ვარცლი“.

ავტორი ეხება ჭის დაშრობის რთულ პროცესს და მას სიმბო-ლურ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ ის ახლა პირქუში ორმოა და ლირიკულ გმირს წლებივით უღრენს“...

ასევე საინტერესოა ბიბლიური მათუსალას სახის მხატვრული ინტერპრეტაცია. ლეგენდალური მათუსალას სიცოცხლის ხანგრძლივობა ნებისმიერი წიგნიერი ადამიანისათვისაა ცნობილი და როდესაც ე. ბაქრაძე წერს „მე მათუსალას“ ასაკს გადავცდი, ზოგადად ქალის ევადან დაწყებული სახე-სიმბოლო შეიძლება გაიაზრებოდეს.

ეკა ბერიძის პოეზია მისი პოეტური ხედვა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს „არავის“ პოეზიაში.

ამავე ნომერში დაიბეჭდა **ციური მესხიშვილის** ლექსები „შავი მარგალიტი“, „მცხეთის ყაყაჩოები“, „იფნის წყაროვ დიოდე“, „მწვანე ოთახი“ და სხვა.

ლექსში „შავი მარგალიტი“ ავტორი ქეთევან დედოფლის ისტორიულ სახეს იხსენებს, მისი წამების ლირიკულ განცდებსა და მწუხარე განწყობილების მხატვრული ასახვით ქმნის წამებულის ნათელ სურათს, რომელსაც ბუნების სევდიანი განწყობილების ფონზე უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს.

„ისჯებოდა საქართველოს დედოფალი,
სიკვდილის წინ აღავლენდა ლოცვას,
საწნახელში თავს იკლავდა რქაწითელი
და ცრემლები მოსდიოდა მოცხარს.“

ჩვენი ისტორიის ეს გულის ტკივილი მარადიულად რჩება ყოველი ქართველის გულში. მის წამებაზე ბევრი დაიწერა და კიდევ ბევრი დაიწერება. მაგრამ სევდა კვლავ წარუშლელი და წარუდინებელია.

„გათენდა და რა გათენდა თუ გათენდა?!
ზეცას ჰქონდა ისევ ღამის ფერი“.
ცეცხლში იწვის საქართველოს დედოფალი
და ანათებს შავი მარგალიტი,“

ტრადიციული საშობაო იდილიაა ასახული ლექსში „მწვანე ოთახი“ პატარების ხალისიანი განწყობა. უფროსების ზეიმი, ოჯახის ლოცვა ეს ყოველივე მაღალი მხატვრული ემოციებითაა ასახული ლექსში.

„ჭერისაკენ ქუდს ისროდა მამა,
ლოცულობდა: დაილოცე ჭერო!
რქაწითელი ხითხითებდა ჯამში,

მთვრალი მთვარე მოსდგომოდა მზისკარს,
მეზობელი გაჩნდებოდა წამში
დიდედა რომ ამოჰყრიდა ხინკალს...“

სიუჟეტი ფართოვდება, სცილდება ოჯახურ ბედნიერებას და ზოგადეროვნულ ხასიათს იღებს: „ფსოუს პირას ჩამომჯდარა მზე და საქართველოს ლამაზ დროშას მიქსოვს“!

ლირიკული გმირის განწყობა, მისი ჩაცმულობის გამოვნება ატმის ჭრელი კაბიდან თეთრ კაბაზე გადადის, რომელიც შავი შაშვის კონტრასტით რიგულირდება და ჩნდება ფერთა ერთგვარი ჰარმონია.

„დამისკუპდი ხელის გულზე,
შენც მიირთვი არ გშია?
თეთრ კაბაზე შემომევლე
შავო შაშვო, არშიად“. („შაშვი“)

მდიდარია ც. მესხიშვილის პოეზია მხატვრული კომპონენტებით, საინტერესო ლირიკული სიუჟეტებით ტრადიციული პასაჟებითა და ქალური ხიბლით. რაც მის შემოქმედებას სათანადო ეთიკურ ღირებულებას ჰმატებს.

მარიამ რევიშვილის პოეზიაში რელიგიური და ცხოვრებისეული საკითხები ერთმანეთს ავსებს, ორივე პრობლემის ასახვისას იგი თავისუფალი და გულწრფელია. მისი პოეტური ექსტაზი მრავალმხრივი და ბუნებრივია. „მე დაჩოქილი ვეძებ იესოს“ საინტერესო პოეტურ განწყობას ასახავს, ლირიკული გმირი ეძებს გზას უკეთესი და ამაღლებული სულიერი სიდიადისაკენ, ეძებს რწმენას და ეძებს მშვიდობას, რადგან

„ყოფნა ომია ყოველდღიური“, ამიტომაც ნატრობს იგი მშვიდობას, რაც იესო ქრისტეს ძებნასთან ასოცირდება:

„მეც ადამივით ცრემლმორეული და დაჩოქილი ვეძებ იესოს“.

ლექსი „არადა“ პოეტური გაქანებისა და აღმაფრენის ფიქსირებაა შემოქმედებითი პროცესი, ლირიკული გმირის რწმენით, სულიდან უნდა მომდინარეობდეს ანუ სული და საკუთარი სამყარო უნდა გახსნა: „სულს გავიშიშვლებ დამირწიე გულის აკვანი, შემოვიმსხვრიე ჩაკეტილის ბნელი საკანი“ („არადა“). ამავე საკითხს ეხება ლექსი „ბედნიერებას არასოდეს უთხრა უარი“, „სახელს დატოვებ წაღებით კი ვერას წაიღებ“.

მ. რევიშვილის პოეზია ცხოვრებისა და ყოველდღიური ყოფის გალამაზებას, მასში საინტერესო და სულიერი სინათლისათვის საჭირო დეტალებს ნახულობს და მხატვრულად შეფერილი სტრიქონებით აწვდის მკითხველს. მისი ლექსები ცალ-ცალკე და ერთად ქმნიან მთლიან შემოქმედების სახეს.

ამდენად ჟურნალ „არავის“ 23-27 ნომრებში დაბეჭდილი პოეზიის ლიტერატურული წაკითხვისა და კრიტიკული ანალიზის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ „არავის“ აღნიშნულ ნომრებში დაბეჭდილი პოეტური შემოქმედება თავისი მხატვრული ღირებულებითა და პოეტური ნააზრევით მაღალ შეფასებას იმსახურებს, არც ერთი ავტორის არც ერთი ლექსი არ არის უგემოვნო მდარე მხატვრული სახეებითა და ყალბი ნაძალადევი სტრიქონებით დაწერილი. ყოველი მათგანი დამოკიდებული, ორიგინალური, ნიჭიერი და გამოცდილი პოეტია, ყოველ მათ სტრიქონში ჩანს პოეზიის სიყვარული, ჩანს მათ ცხოვრებაში პოეზიის ადგილი და მასთან სიცოცხლის თანაზიარობა.

ყოველი ლექსი მაღალმხატვრული ნაწარმოებია, რომელთა ავტორების მეტაფორული აზროვნება და პოეტური მედიტაციები გვიმტკიცებენ მათ ჭეშმარიტად პოეტურ სახეებს, რომელთა სახელები და გვარები შემორჩება ქართული პოეზიის ისტორიას.

მანანა გიუაშვილი

არწივი

ერთხელ დაჭრილი არწივი ჭაობში ჩავარდა. არწივი დაჭრილიც ხომ არწივია - გომბეშო ან თავკომბალა ხომ ვერ გახდება, რადგან ბედის ირონიით ჭაობში ჩავარდა. დაესივნენ ბაყაყები, საიდან უნდა სცოდნოდათ, ჩამყაყებული ჭაობის ბინადართ, რომ არწივი ცის მპყრობელი, ფრთოსანთა მეფეა, ისიც ვერ გაერკვიათ, რომ არწივი მათ არცა ჰგავდა. დაუწყეს ყიყინი და დამცირება... ამ ბუმბულიან ეშმაკს აქ რა უნდაო, ყიყინი არც კი იცის, ძაღლივით იყეფებაო, რას ინაზება, თუკი ჩვენ ჭაობით ვიკვებებით, ამას რას დაუმუწავს პირიო, ფრთებს რას ატლაშუნებს, ვიწუწებითო! არწივი, არაბუნებრივს ხომ არაფერს აკეთებდა, ფრინველად დაბადებულს ან როგორ უნდა ეყიყინა, ან როდის იყო არწივის საკვები თავკომბალა?...

რადგან ბედის უკუღმართობით ბაყაყებთან ჩავარდა, ბაყაყად ხომ ვერ იქცეოდა...

მორალი: თუ გარჩევა არა გაქვს, ბრიყვად გაჩნდი და შენზე ღირსეული ვერ შეგიმეცნია, ყიყინით ნუ გააბეზრებ და შენს ბაყაყობას ნუ გამოაჭენებ!...

ერთი მთა ოქრო

ტრიალ მინდორში, ერთი მთა ოქრო დაედგათ. მიიწვიეს მთის დაპყრობის მსურველნი და გამოუცხადეს:

- მთა იმ ერთს დარჩება, ვინც კონკურენტს არ დატოვებს, მეტოქის მოსაშორებლად ნებისმიერი ხერხი გამართლებულიაო.

მისცეს სტარტი...

ყველა თავგამოდებით გარბის. დგას ერთი ბუღი და გმინვა. ხალხი ერთმანეთს ქელავს, ჯეგავს. მინდორში სიკვდილის სარეწელი ტრიალებს. დიდი ბრძოლის შემდეგ, მთამდე გამარჯვებულმა მიაღწია. გამოუცხადეს - მთა შენია, როგორც გინდა ისე მოიხმარე, ოღონდ შენ და ოქროს მეტი, არავინ იქნებით არე-მარეზეო. კაცი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. ამდენ ხალხს აჯობა, ამდენი ოქრო მისია, არც შემდავებელი და მომპარავი ჰყავს ირგვლივ, მეტი ბედნიერება არსებობსო - ფიქრობდა კაცი.

ნაომარს ისე მოშიებოდა, გული ეპარებოდა. მიიხედ-მოიხედა, ერთი მთა ოქროს მეტი არემარეზე არაფერი, ბალახის ღერიც არ იხედებოდა. იფიქრა ბალახი რა ჯანდაბად მინდა, თვითონ ოქროს შევჭამო და ოქროს ხვრინჭა ჩაყლაპა. კუჭი კი დაუმძიმდა, მაგრამ როდი გაძღა. არა უშავსო, გადაწყვიტა - „ხვალ-ზეგ ოქროს მწკივებს შევჭამ, კუჭი მიეჩვევა და ძღომაც მოვაო, ერთი მთა ოქროს პატრონი შიმშილით როგორ უნდა მოვკვდეო?!

მოსაღამოვდა. კაცს ძილი მოერია, მთის ძირში მიწვა. შესცივდა, ვერაფერით თვალი ვერ მოხუჭა, ოქროს დავიფარებო, და ბლომად წამოიყარა ცივი, მძიმე მეტალი ტანზედ. ლამის გასრისა სიცივემ და სიმძიმემ.

რამდენიმე დღე გაახარა კაცმა სიხარბე, რომ შეხედა ოქრომ სიკეთე არ მოუტანა, სიხარბეს ლამის შეეწირა, მიატოვა იქაურობა და სოფელ-ქვეყანას მიაშურა. კაცს სინდისი უბურღავდა ტვინსა!

ამდენი ხალხი რომ ვიმსხვერპლე, მაცდური მთისათვის ღირდა?

სიმდიდრეს, რომელიც დამნაშავედ გაქცევს, ადამიანობას დამაკარგვინებს - მინდა?

სიხარბის მონად და მუშად თუ ვიქეცი, ხალხში როგორღა უნდა ვიცხოვრო? - ფიქრობდა კაცი.

რას ამ მისცემდა, ოღონდ სინდისი გაეჩუმებინა, მაგრამ თუ ვინმეს ამ ცისქვეშეთში სინდისის ქეჯნა მოუხერხებია გაგვაცანით...

შენთვის მომინდვია მკითხველო....

ჭკუის კოლოფი

კაცი პირქვე ფუნას ჩამხობოდა. თავს სხვა კაცი დასდგომოდა და გულს უწყალებდა. ერთსა და იმავე კითხვას დაოსებამდე უმეორებდა:

- კაცის ფორმის ნეხვის ჭიადა ქცეულხარ, მითხარი აბა, ვარდის სუნი სჯობია, თუ ემაგ ფუნისა, მაგას რომ ჩახუტებულხარ ნეხვის ფერს ცისარტყელის ფერები არა სჯობს?...

გზად მიმავალი მგზავრი შეესწრო უცნაურ სურათს, შეჩ- ერდა, კარგა ხანს უყურა კაცის საქციელსა და ჰკითხა:

- ეს კაცი რამდენი ხანია აქ არის ძმობლიო?

- რაც თავი მახსოვს ეგრეა ჩახუტებული ფუნასა - იყო პასუხი.

- რა პასუხს ელოდები შენს კითხვებზე?

- როგორ თუ რას ველოდები, არ უნდა იცოდეს, ვარდის სუნი, ნეხვის სუნს რომა სჯობია, რომ ცისარტყელას ყველა არსებული ფერი აქვს, რა სჯობს იმის შეხედვას? მგზავრმა კაცს შეგონება მისცა -

- ადამიანს თუ ფუნის მეტი ფერი არ უნახავს, ან ცისარტყელა საიდან ეცოდინება, ან მისი ფერები. ფუნის სუნის მეტი თუ არ უყნოსია, ვარდის სუნს როგორ ამჯობინებს ფუნისას. ჯერ უნდა ააყენო აქედან, ვარდი და ცისარტყელა აჩვენო და შედარება მერე მოსთხოვოო...

ესე არ არის, მკითხველო?!...

მდინარის პირას

მდინარის პირას, ერთ პატარა მინდორზე, რამდენიმე მომიჯნავე გლეხის ბაღის კარი გამოდიოდა. მწვანეზე ვიღაცის ვირი ბალახობდა. გამოვიდოდა ერთი ბაღიდან გლეხი, მდინარზე წყლის ასაღებად, გავლაზე სახრეს გადაუჭერდა სახედარსა, გამოვლაზე ისევ უათავაზებდა. დღის ბოლოს ცხოველი, კარგად გაროზგილ-გამათრახებული, სულს ძლივს ითქვამდა. მეორე დღეს არც სხვა გლეხი აკლებდა შოლტებს საქონელსა.

მეზობლების საქციელით გაბეზრებულმა მომიჯნავემ ვეღარ მოითმინა პირუტყვზე ძალადობა და მეზობლებსა ჰკითხა:

- მინდორი თქვენია, ბიჭებო?

- სტუმარი ხომ არა ხარ, რას გვეკითხები - იყო პასუხი

- სახედარი ვისია? - ჩაეკითხა ისევ მომიჯნავე - რამეს დაგიშავებდათ, რადგან სახრე არ დააკელით?

- რა უნდა დაეშავებინა ვირსა, ჩვენს ბალახს ხომ არა სძოვს? - მაშ თუ უდანაშაულოა, რატომ არ დაეხსნებით, ყოველ დღე გაროზგილ-მისავათებული გყავთ უბედური?...

- შენ რა ზურგი გიხურს, მეზობელო, ვირის საქმე როზგია, იტანს და ვროზგავთ - იყო პასუხი...

არაფერზე მიგანიშნებთ, ეს არაკი?!

ტვინით ვირი

მდინარის პირას, ცაცხვის ჩრდილში გლეხი წამოწოლილიყო, თავზე სახედარი დაეყენებინა გლეხსა, სახედრის საბელი მკლავზე შემოეხვია და გამწარებული უქაჩავებდა თავს საქონელსა, გაიარა კაცმა. უცნაური სანახაობა რომ დაინახა, შეჩერდა, უყურა კაცმა გლეხს და ჰკითხა.

- რას აკეთებ ძმობილო, რას ერჩი მაგ პირუტყვსა?

- როგორ რას ვერჩი, ჩრდილში დამიყენებია, ცივ წყაროსთან ვასვენებ და აღარც უნდა იმღეროსო?!...

- ჰაი, შე მართლა ვირო, შენა - შუცაცხანა უცნობმა - როდის იყო ვირი მღეროდა, ეგრე რომ იყოს შენისთანა ცალტვინას კი არ მოემსახურებოდაო, ღმერთმანი ეხლა ორივე ვირადა სჩანხართ, ნამდვილი ვირი-ვირია, ეგრე გაუჩენია დედა ბუნებასა და რას ვერჩი, აი. შენ კი ტანად კაცად გაჩენილხარ, მაგრამ ტვინი ვირისა დაგყოლია, შე ვირკაცავ შენა, ჩაილაპარაკა გამვლელმა და გზას უტია.

მორალი: აქაც შენი იმედი მაქვს მკითხველო

ძეხვი

- გამარჯობა ნოდარა
- ხმა მესმის და ვერ გხედავ ძამა...
- აკრიფე თუ ძმა ხარ ტოტი, თოკი, მავთული, ფიცრის ნაჭერი თუ აგდია სადმე
- სადა ხარ კაცო?
- აგერა ვარ ა... ხის უკან ფესვებთან ჩაკრუნჩხული
- ამხელა ყაზილარი, ფესვებთან რამ ჩაგკრუნჩხა?
- ძეხვი ვჭამე ჩინური, მთელი ღამე აქანე გავატარე!
- ჩინური ძეხვი?... ბიჭო სუსლიკის თუ იყო... ბევრი ჭამე?
- ასე 100-150 გრამი
- მაშვინ ნუ გეშინია, გაგსვლია ვადა, გამოდი, გამოდი
- შენ აშენდი და გაძლიერდი, რა იცი რომ გამსვლია?...
- ვიცი კაცო. ვადა საათებში გადის, აქლემის ხორცით დამზადებული ძეხვი გეახელით სიდედრებში ერთი თვის უკან
- აქლემის?... შემობრუნდი ერთი...
- კუზებს ეძეფ? კუზებს რა უჭირს, საიდან მიგროვდებოდა ამდენი ფურთხი, ორი დღე დოუფურთხავი არ გავატარე მოყვრები, განსაკუთრებით სიდედრი დავფურთხე. რაღა ვქნა ახლა, ძეხვს რაღა შემაჭმევს, მტრედისაც რომ იყოს, მარა... ოჯახი კიღამ დემენგრა
- აბა!... რას გეტყვი იცი, ვიფიქრე მე მაგ თემაზე.
- ჩემზე?
- შენზე კი არა ძეხვზე...

- და რა მეიფიქრე?...
- ჩემმა მატრონამ სპილოს ხორცის ძეხვი რომ შეჭამოს?...
- დედა ბიჭო, ამოგიჩრის ხორთუმში და რასაც უნდა იმას გიზამს.
- მაგას არ ვჩივი, ნოდარა, ბანანი რომ ვეგონო და გადამ-ყლაპოს.
- აბა... ანდა ვირის თუ შეხვდა, მთელი გულის ჯავრებს ტლინკებით ჩაგითეთქვავს.
- ისე, კამეჩის ძეხვი ცუდი არ უნდა იყოს. დაწექი და ცოხნე საჭმელი, ორი დღე ძვირფასად დეისვენებ...
- ცხენი, ცხენია ძვირფასი, გაჭენდი და გამოჭენდი, შენს ნებაზე, საცხა გინდა ორი დღე....
- „ცეხავიკებს“ ჰგონია, ჩვენ ფანტაზია არ გვაქვენ, გვენატრე-ბა კიდეც, მაგალითად, ნიანგის ძეხვი. რამდენ თაღლითს მოაშო-რებდი ხალხს ორ დღეში?!
- აბა, ყლაპავდი და ყლაპავდი მუქთახორებს, ისე მაინც ვე-რაფერს ვუხერხებთ და...
- ამხანაგო ძეხვის მწარმოებლებო, ნუ დამალავთ, რისი ხორცისაგანაა ძეხვი, პირიქით, დააწერეთ ბატონო, მოგვეცით არ-ჩევანის საშუალება. თქვენც მოიგებთ და ჩვენც. ამ ყოფაში სულ ადამიანად ყოფნა შეუძლებელია, ზოგჯერ გაცხოველება ჩვენც არ გვაწყენდა, ეს მაინც დატოვეთ ჩვენთვისაც ხელმისაწვდომი, ყველა „სიკეთე“ თქვენ გაგასუქებთ, ჩვენთვისაც ქენით მადლი...

ძველი შეგონება

ცხოვრობდა ერთი სოფელი ჭრელი ხალხითა და ჭრელი საქ-მეებით. ზოგი ჭკუათმყოფელი იყო, ზოგიც პატიოსანი და მუშა. არც გიჟი აკლდა სოფელსა და არც ბრძენი, როგორც წესად დაუდ-გენია დედა ბუნებას.

სოფელში ერთი ყველასაგან გამორჩეული ალალი, მშრომელი და კეთილი მეურნე ცხოვრობდა. მასთან ნიშანზე თუ სიტყვაზე მისული მათხოვარი, არც ხელცარიელი და არც გაუკულმართებუ-ლი რჩევით უკან არ ბრუნდებოდა. ესეთია ცხოვრება, სიკეთეს

სიკეთით შეგნებული და ზნიანი თუ გადაგიხდის, უმრავლესობა კი, როგორც მოგეხსენებათ, უზრდელი და მუტრუკია. სოფლის საზრუნავსა და ჭაპანწყვეტაში გალეულ გლეხს ცხოვრება ისე შემოდნობოდა, საკუთარი საზრუნავი და სამოღვაწეო გასჩენოდა. სახლი ისე მოგვერდილიყო, სადაცაა გადაწვებოდა. მოიმარაგა კაცმა, რაც საჭირო იყო და დაშლილი კედელი მოარღვია, როგორც საძირკვლის ამოყვანას მორჩა. ნახევრად ამოშენებულ კედელს, ორი საფანჯრე ჩარჩო დაუყენა და დაამაგრა, რომ ამოეშენებინა. გამოიარა მეზობელმა, კაცმა იფიქრა, სხვა თვალმაც შეხედოს ჩარჩო მრუდედ არ იდგესო. არ იუარა მეზობელმა სამსახური. ჯერ სახლს უარა გარშემო, მერე ახალი კედელი მტკაველ-მტკაველ გაზომა და აზომა, ხან ახლოდან შეხედა, ხან შორიდან, ბოლოს როგორც იქნა ამოშაქრა:

- ეს ყველაფერი კარგი მეზობელო, მაგრამ ორი ჩარჩო რა საჭიროა, თან კარგა დიდი ჩარჩოებია, ერთი დაგეყენებინა შუაში, მშვენიერი სინათლე იქნებოდა, ოთახი არც ისე ვრცელი სჩანს, ჩარჩოები კი კარგად მოზრდილებია, არა მგონია ოთახმა ორივე დაისაჭიროვოსო. მე კი ჩამპალი ჩარჩო ვერ შემიცვლია, ამ ერთს მე წავიღეფ, მადლიც გამოვა და მზეც მოგიდგებაო.

იწყინა ალალმა კაცმა, რაც მას მეზობლისათვის სიკეთე ჰქონდა ნაკეთები, ამგვარ უტიფრობას და გამოძალვას არ ელოდა, თქმით კი ისღა უთხრა

- თუ ესეთი ეშმაკი და მოძალადე იყავი, წლები ჩემთან ჭკუის საკითხავად, რიღასთვის დადიოდი, რა ბოროტებისათვის მაყაჩაღებო?

- მარტო მე კი არა, ვისთვისაც სიკეთე გაგიწევია, არც არავინ სიკეთით არ გადაგიხდის, რა ჩემი გაგიკვირდაო... გული ატკინა კეთილ კაცს, მეზობლის ავმა სიტყვამ, ტყვიასავით ჩაესო გონებაში - სხვა მეზობელსაც გამოვცდი, გული რომ არ გამისკდეს და მეც არ გავბოროტდეო

- იფიქრა. მეორე მეზობელს, რომელსაც სიტყვის გარდა, მარჯვენითაც ბევრჯერ, შესწეოდა, თვითონ დაუძახა.

- მეზობელო, კარი მინდა ამოვაშენო და იქნებ შემეშველო, ორიოდ წუთი უყურო, კარი აქეთ - იქით არ გაიბრიცოსო. თქმით უარი როდი უთხრა სახლიკაცმა, კარების დაჭერას რა უნდოდა,

შუა წელამდე ამოშენებული კედელი და კარი განგებ მარჯვნივ გადაბრიცა, ისე რომ, კედელი ჩამოანგრია.

- ეს რა მიქენი, ორმაგი სახათაბალო გამიხადე საქმე, თუ ბოლმა გახრჩობდა, შე კაი კაცო, კარმა რა დაგიშავა, ეს რა მიქენიო?

- რა ვიცი დავიღალე და ხელიდან გამიცურდა კარიო.

- ველარა სთქვი, ამხელა კარი როგორ გაგიცურდა, ლოლუა ხომ არ იყო, ბიჯგს მაინც შევუდგამდი, ამოშენებული კედელიც აღარ გამიფუჭდებოდა, კარიც არ დაიბრიცებოდაო.

მეზობელმა საყვედური იუკადრისა და მარტო მიატოვა ნანგრევებში ალალი კაცი.

მორალი: ბევრნაირი შეეფერება და თქმულა ამნაირ ხალხზე, მკითხველო, მე კი ესე ვიტყოდი ხალხი ჭრელია, ყველას კეთილი არშინით ნუ გაზომავ, გამოსცადე...

ნათელა მელიქიძე

ანაქალო

ბებიაჩემი პატარა გაუთხოვებიათ, თხუთმეტი წლისა. დიდთოვლობისას დადეშიდან ცხენებით გადმოვიდნენ ზველში, ნაბადში შემფუთეს და ისე წამიყვანესო, - იგონებდა, - იმ ყიამათ სიცივეში მგზავრობით დაღლილი და ერთიანად გათოშილი ოდასახლში მომალხვეს და ტკბილეული მომიტანეს, თვალმოუშორებლად უყურებდნენ ჩემს ჩიხტიკოპს და ოთხად გაყოფილ მაჯისიმსხო ნაწნავებსო.

ბაბო მაღალი, ლამაზი, ცისფერთვალა ქალი იყო, ვარდისფრად უღვიოდა ღაწვები. ძალიან გვიყვარდა შვილიშვილებს. არასდროს მინახავს გაჩერებული, სულ ქსოვდა და კერავდა. ოთხმოცდაექვსი წლის გარდაიცვალა, გონება არ დაუკარგავს, გვარიგებდა, გვლოცავდა, შეგვხაროდა. დაიძინა და იქით გადასახლდა. ბევრი რამ გვასწავლა - ადამიანების სიყვარული, წიგნის სიყვარული და საოჯახო საქმე.

პაპაც ძალიან ლამაზი გვყავდა, თბილი, ღიმილიანი, შრომისმოყვარე. ბაბოს და პაპას სამი შვილი დარჩათ: დედაჩემი და ორი ვაჟიშვილი. ბიძები დედაზე უფროსები იყვნენ. ბაბოს ანა ერქვა, პაპას - ილიკო. ერთმანეთი ისე უყვარდათ, როგორც ზღაპარში.

იექ დამიჯექი, გიცქირო, რაღა დღე დამრჩენიაო, - ეტყოდა საიმქვეყნო სარეცელს მინდობილი პაპა თავის გულისწორს და ბაბოც მორცხვად: დაბერდა ჩემი მოხუციო. მერე როგორ დაიტირა, სიყვარულის საგალობელი უმღერა, არც მანამდე და არც მის მერე რომ არ მსმენია.

ორი პერანგი რომ გქონდეს, ერთი სხვას მიეცი და სამი გაგიხდებაო, - ანა ბაბოს ეს შეგონება დღემდე მახსოვს. ეგ როგორი მათემატიკაა, ბაბო, სამი რანაირად? ერთი დამრჩება-მეთქი, - ვიცინოდი. აი, ნახავ, მასე თუ არ იქნებაო. მერე, გვიან, დავრწმუნდი - მართალს ამბობდა: ცხოვრების ანგარიში მათემატიკური სიზუსტეები კი არა, სითბოს განაწილების ანა-ბანაა.

ბაბოს ბევრი იცნობდა, მთელი რაიონი. სადღეგრძელოს გეტყოდა ლექსადაც და სიმღერითაც. მისი სახელი სავიზიტო ბარათივით იყო: ვინც გაიგებდა, რომ მისი შვილიშვილი ვიყავი, თავს მევლებოდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიოდნენ ბაბოსთან შიშის წამლის დასამზადებლად, გამოსალოცად: აფხაზეთიდან, იმერეთიდან, აჭარიდან, კახეთიდან, ქართლიდან და ჯავახეთიდან. ლოცვა კი, როგორც თავად იტყოდა, როკეთის წმინდა გიორგის ანგელოზმა ასწავლა, თეთრწვერა მოხუცმა, სამი ღამე რომ ეცხადებოდა.

ბაბოს ლექსიკონით დღემდე თავს ვიწონებთ შვილიშვილები, მისი ფრაზებით იკვებება ჩვენი შეხვედრა-მოკითხვები. არ მახსენდება დღე, ანა ბაბოს ლოცვით არ გავეცილებინეთ სკოლაში, უნივერსიტეტში, სამსახურში, ყანა-ჭალაში, ნახირ-ფარაში, ხბოკრავის რიგში, მეზობელ-ნათესავთან, მოკეთე-ახლობელთან. ანა-ქალოს ლოცვას სხვა ძალა ჰქონდა, ანგელოზების ფრთებით იყავი დაცული... „ღმერთო, დილავ-ბედნიერო, ცისკარ-მშვენიერო, ცისკრის კარის გამღების მადლო და ძალო, წყალობა არ მოუშალო ჩემს წვრიშვილსა, ჩემს მონაგარსა!“ - ჩიფჩიფებდა მოხუცი და უხილავი ძაფები იბმებოდა ჩვენსა და მამაზეციერს შორის. არსთამრიგე, მამაღმერთი, სამყაროს შემოქმედი...- მრავალნაირად მოიხსენიებენ ქვეყნიერების დამბადებელს, ანა ბაბოს შთამომავალთათვის „ის“ „ცისკრის კარის გამღებიცაა“, რადგან დღეს დღე უწოდა და ღამეს - ღამე, რადგან ყოველი დილა იმედთან დააკავშირა, გაგვიღო გულის კარი, სულის თვალი, ცისკრის კარი.

ბერუანთ ნინუა

სახუდაბელში ზაქაიძეებმა შეგვიპატიჟეს. მოხუცი თუ ჰყავდათ, დავინტერესდი. ნინა ბაბო ლოგინში დაგვხვდა, დაუძლურებული, რძალი და ვაჟიშვილი თავს დასტრიალებდნენ. საწოლთან სკამი მივაჩოჩე და ჩამოვჯექი. ახლაც თვალწინ მიდგას ნაოჭებშეპარული ლამაზი პირისახე, სხივმფენი თვალები, თბილზე თბილი ხმა და თეთრი თითები.

რა ლამაზია და ახალგაზრდობაში როგორიღა იქნებოდა, - გავიფიქრე.

გვარ-მოდგმაზე უნდა ჩამეწერა (წესითა და რიგით), ჩამოსახლებულთა შტოგვარებს ვამუშავებდი, მაგრამ ვისი გახდა, ვის მკლავს მიანდო თავი, ცხოვრების რა გზა გამოიარა, როგორ არ მეკითხა? ზაზა ამის თაობაზე სულ მეკამათებოდა: სადაც მივალთ, გაუბამ დაუსრულებლადო. მერე, იცოცხლე, თვითონაც გასუსული უგდებდა ყურს.

ქმარი გაიხსენა, ვასუა: რა თვალზე დამინახაო, ჩემს ძმასთან მოდიოდა, ისიც შოფერი იყოო. ჯერ ორგორაში კაცაანთ მივიდოდა მთიდან ჩამოსული, რძის პროდუქტებს მიუტანდა, მერე მოვიდოდა ბერუანთ კარებზე, თურმე ფიქრობს რაღაცასაო...

ერთხელ მოსულა ამბავი: ხერთვისის იქითო, თათრების გამოგზავნილ ხალხსაო ათი სული მეწველი საქონელი მოუპარია და გადაუყვანია იქითაო. ყოველ დღე-ღამ უნდა დაითვალოთ საქონელიო. რაკიღა ბუღალტრად მუშაობდა ნინა ბაბო, ჭორტლაანთ ილოსთან - აღმრიცხველთან - ერთად, დაუსვამთ მანქანაში და წაუყვანიათ. მანქანას კიდევა ვასუა მართავდა. ეხლაო, - დაუწყია ილოს, - ვასუაი ვერ გიბედავს, მოსწონხარო. - მე პასუხს ვერ გაგცემთ, დედას და მამას დაელაპარაკეთო, - უთქვამს ნინა ბაბოს. მთიდან ჩამოსულებს ქალი მშობლების სახლში მიუყვანიათ, თვითონ ლიტრა არაყი უყიდიათ და ბერუანთან მისულან, გაუმხელიათ სათქმელი.

მერე მამამთილი გადმოსულა მაჭანკლად ალექსი ნარიმანიძის ოჯახში: მოდი დავმძახლდეთო. ისიც შესთანხმებია, სამხედრო მაახდევინე შვილსა და ისე დავმძახლდეთო. ჩემი ვაჟიც თვრამეტი

წლისა დავნიშნე, მოვიხედე და ომში წაიყვანესო, რძალი სახლში დამრჩა შვილით ხელში დაღონებულიო. არ მინდა ეგრეო.

ჩასულა ნინა ბაბოს მამამთილი კომისარიატში: წაიყვანეთო ჩემი შვილი სამხედროშიო.

წაუყვანიათ.

მოუხდია სამხედრო სამსახური, ჩამოსულა და დაქორწინებულან...

მთიულეთს მამაპაპეულ სახლეულზეც მინდოდა ეთქვა და: ათი დედმამიშვილიდან რვა გავიზარდენითო. ჟოჟონში გვიან გახსნილა სკოლა, მლეთის სკოლაში უვლიათ და ომის დროს თავი დაუნებებინებიათ, ორჯონიკიძიდან ჭორი გადმოსულა, ჯარი მოდის და ერთიანად მოსპობს, ამოხოცავს ყველასაო.

ძლიერი კერა ჰქონიათ, რამდენიმე ჰექტარი მიწა. საკლავს დაკლავდა და სოფელს შეატყობინებდა, მუშა მყავსო. ყველა მოდიოდა უკლებლივ. ნინა ბაბოს დედა ფურნეს შეუნთებდა, ხაჭაპურისა და ქადის ცხობას დაიწყებდა, ხინკალსაც არ მოაკლებდა სოფლელებს. დილიდან დაღამებამდე გადაპარსავდნენ იმხელა ყანებს: მომკიდნენ, შეკონავდნენ. არც სიმღერას დაიკლებდნენ:

„- ყანასა ბარძალიანსა არ უნდა დახედულობა.

- გავლა უნდა და გამოვლა, ნაპირში გახედულობა.

- ოჰკი-ოჰკა!

- ოჰკი-ოჰკა!“

და ყანა თავდებოდა.

სამცხეში გადმოსახლებაზე უარი უთქვამს ნინა ბაბოს მამას, მამულებისა და საქონლის პატრონს, ხიზანიც მეხმარება, ბაღბოსტანს უვლიან, საქონელს მწყემსავენ და რა მიჭირს, რომ ავიბარგოო. მილიცია დამუქრებია: მაგ პურიან გოდრებს ხევში გადაგიყრით; ხალხი იმას გაიძახის, თუ ბერუანთ ალექსა წავა, ჩვენც წავალთო. დაუძალებიათ და სადაცა ხალხი, იქაც მეო. თვრამეტი მეწველი ძროხა ჩამოუყვანია მთიულეთიდან. მალე მისჩვევიან ამ ადგილებს, საქონელს კლდე-ღრეებზე ხეტიალი აღარ უწევდათ, ადგილზევე ძღებოდნენ, რძე ქვეყნისა მოჰქონდათ და - დედა, რა ქვეყანა ყოფილა აქაო!

ბერუანთ ნინუას მეძახოდნენო. ნარიმანიძეებს ასე უხმობდნენ თურმე.

კომლის სახელიაო, - მოხუცმა.

ქმარი ზაქაიძე ჰყოლია, მთიულეთის სოფელ წკერადან. ამათ კაცაანთ ეძახიანო. უხუცესი ჰყოლიათ ერთი, გიორგი პაპა, დაფასებული კაცი; მოყვარეს, ბერუანთ ალექსას, ეტყოდა თურმე: წკერას მე ვარ კაცაანთ გიორგიო და ჟოჟონში - შენა, ბერუანთ ალექსაო. ჰოდა, მერე კაცაანთ გიორგის შთამომავალს ბერუანთ გოგო უთხოვია ცოლად. ქორწილიც გადაუხდიათ, დიდი იყო თუ პატარა, კაი ქორწილი ჰქონიათ, ნათლიაცა ჰყოლიათ.

ასე იყო: დაფასებული, სახელიანი ოჯახები, გამრჯე სახლიკაცებით, ახარებდა უფალსაც და ადამიანებსაც.

ქუნცულა

ჟენო ბაბოს, ქუნცულას (ასე ეძახიან ჩვენში გათხოვილ ქალს წარმომავლობის მიხედვით), ენატკბილსა და დაუზარელ მოხუცს, ბევრი ემადლიერებოდა, ხელგაშლილი და ალალ-მართალი ქალი იყო, კარგი შვილების გამზრდელი, მასპინძლობითა და ხელსაქმით განთქმული, მესაიდუმლე და გამომსარჩლებელი. ამბავს მოგიყვებოდა, თვალწინ გაგიცოცხლებდა წასულ-წავიწყებულს, დამიწებულსა თუ გადაკარგულს. მახსენდება ფრაზა, ხშირად რომ ხმარობდა და თავადაც ესატყვისებოდა: „ნათელი გადასდის“ - კოპწიაა, უსუფთავესი, დაკრიალებული აქვს ეზო-კარი, სისუფთავით ბრწყინავს. ჟენო ბაბოსაც ნათელი გადასდიოდა. ნათელი დაადგეს მის სულს!

ჩემი დისერტაციის ერთი თავი მაჰმადიანი მესხების გვარსახელებს ეხება. რა თქმა უნდა, გვერდი ვერ ავუარეთ იმ ქარტეხილს, რაც მათ თავს დაატყდათ, მით უფრო, რომ ინფორმატორებმა ბევრი საინტერესო მასალა მოგვაწოდეს. ჟენო ბაბო პირველი გახლდათ, ვინც გაიხსენა ავბედითი წლები და ბავშვობაში გაგონილი თუ თავს გადახდენილი ორომტრიალი.

დღეს ზღაპრად გვეჩვენება პირველი ღამის უფლებაზე რომ საუბრობენ. როგორ აუბედურებდნენ მოსახლეობას, აბეჩავებდნენ, ხმის გამცემი კი იმიტომ ვერ მოიძებნა, რომ ფიზიკურად

ანადგურებდნენ წინააღმდეგობის გამწევთ. დანიშნულ ქალს მალულად თუ მოიყვანდნენ ოჯახში, რა მაყარი, რის მაყარი! ჟენო ბაბოს დედამთილიც, გალეული გოგო, სულ რაღაც ოცდათხუთმეტი კოლო რომ ყოფილა, განაყოფს, ვანო პაპას, ცხენზე შემოუსვამს, მუსხიდან ზველ-ჭობარეთზე გადმოუყვანია და საროს ამოუყვანია. გაუგია „თათარს“, ხიზაბავრიდან წამოუყვანია ვინმე პაპაი, „შენ დაუკრან და ჩვენ პატარძალთან ვიცეკვანთო“. სად უნდა გადაემალათ ახალი რძალი? ამდგარან და ოდა-ბოსელში ცხენის ბაგაში ჩაუწვენიათ, ზემოდან კურტანი დაუმხიათ. საწყალი გოგო „დილიდან საღამიენდი“ უხმოდ წოლილა, შიშით უფრო დაპატარავებული. „გებულონდა“ როგორ სცემდნენ ოჯახის წევრებს გამოტეხვის მიზნით. ყველაფერი დაუქოთავებიათ, ძირიკუთხე, ვერსად ვერ უშოვიათ. დარწმუნებულან, მართლაც არ არიო და წასულან...

ერთი „თათრის“ და მოუტაცია ვინმე ალექსას. მერე დის მომტაცებელი ვომარას ყველას თვალწინ მოუკლავს, არავის დარიდებია, ამოუღია ხანჯალი და შენობაზე დაურტყამს. სანამ სახლში აუყვანიათ, სისხლიდან დაცლილა საწყალი ბიჭი. ჟენო ბაბოს მამასაც დამუქრებია - ერთი ეგ დამრჩა მოსაკლავი, რატომ შეუწყო ხელიო. თავზეხელაღებული კაცი ყოფილა ვომარაი და ყველა ერიდებოდა, ამიტომ ოჩამჩირეში გადასახლებულან. იქ პურის გამყიდველად დაუწყია მუშაობა ჟენო ბაბოს მამას. მზა სახლები მიუციათ, ბოძებზე იდგა თურმე, ცემენტის ბოძებზე, ქათამი-რამე შედიოდა ქვემოდან. მათი ბიძაშვილობაც იქვე სახლობდა, საროდან გადასახლებული. ქუნციდან შვიდი კვამლი ვიყავითო. არ მოუსვენია ვომარას, კითხულობდა ამათ ასავალ-დასავალს, ოჩამჩირეშიც მოუძებნია და ღამე მისულა მოსაკლავად. დედამისს უყვირია და შემთხვევით გარეთ გამოსულ სარველ კაცს, იოკიმას, გაუგია, გაუღვიძებია მთელი ბიძაშვილობა, ფეხზე დაუყენებია. მათი სახლის უკან გვიმრა ყოფილა, მაღალი ლელები, მომხდურნი იქ დამალულან. რომ მიჩუმებულა ყველაფერი, წასულან მეზობლები, იოკაიც - თავის სახლში. ცოტა ხანში ამტყდარა ისევ ყვირილი. სამივე კარიდან ამოცვივდნენ და ამტვრევდნენ თურმე. დილამდე აღარ წასულან მოკეთეები. მერე გაუგიათ, რომ ასეთი

და ასეთი კაცი, ყაბალახიანი, შენ გკითხულობდაო. ვომარაი რომ იყო, მიმხვდარან. მერე ისევ დაბრუნებულან აქეთ...

ამ ამბის საპირწონედ ჟენო ბაბომ წიწილბო გაიხსენა, ღვთისნიერი კაცი, შრატის წამოსაღებად მისულ ბავშვებს რომ ხან ყველს ჩაუდებდა შრატში, ხან - კარაქს, წაიღეთ შვილო, მამა ომში გყავთო.

გასახლებამდე ორი თვე სოფლიდან არავის უშვებდნენ თურმე, იმ ღამესაც გარს შემორტყია სოფელს სამხედრო, ბუზიც ვერ ჩაფრინდებოდაო. კალოზე გამოუყვანიათ თავიანთი სახლებიდან გამორეკილი ხალხი, კარები გადაუზრიზავთ და დაულურსმავთ. ღია ცის ქვეშ გაუთენებიათ ორი დღე. მათი წიოკი, ტირილი ზეცაში ადიოდა. მანამდე დათქმულ დროში რაც მოასწრეს, ის გამოუტანიათ: ტანსაცმელი, პურის მარცვალი, ხილი. საქონლის პატრონებს ყაურმა გაუკეთებიათ ქვაბებით. ზოგს უკვე დაბინავებულ მოსავალზე ნავთიც კი გადაუსხამს: ვის უნდა დარჩესო... ავადმყოფი ბიჭი ჰყოლია ერთსა, ზოირაი, დედამისი ეხვეწებოდა აქ დამრჩენებს, შემინახეთ ეს ბავშვი, რა იქნება, იქამდე ვერ ჩააღწევსო. ვინ გაბედავდა?!

დანიშნული გოგოს ტირილი დღესაც არ ამომდის ყურებიდანო, კომისარს მიმართავდა (მათ ნიშნობაზეც რომ ყოფილა): თუ იცოდი ეს დღე გველოდა, მზე და მთვარე რაზე დამიბნელე, კარზე მაინც გამოვიდოდ-შევიდოდი, ან ჩემს ქმარს მაშინვე გავყვებოდი, სახლში რად გამოვიკეტეო...

წლების შემდეგ გასახლებული თოკელი აბაშიძე შეხვედრია ფერმის მუშაკებს ნობათით დამშვენებული, იქ გამოლაპარაკებია ჟენო ბაბოს, კარგი ცხოვრება გვააქო, კარგი სახლ-კარიცო, მაგრამ ჩვენი მიწა-წყალი გვირჩევნია, აქ გვინდა ისევაო. გაპარტახებული მამა-პაპის საფლავი რომ უნახავს, ქვაც კი აღარ ჩანდა, სულ ცხარე ცრემლით უტირია. აქაურობისთვის სულს ლევდაო...

.....

ვისთვის არ გაიღო ჩვენი ქვეყნის კარი, მათთვის კი, ვინც მოგვტირის, ვერა და ვერა!

დასანანია...

ზიარეთის მადლი

მერიკოს ოცდაათი წლის შვილი გამოუჩნდაო! - დედაჩემის საფლავიდან წამოდგომას უფრო დავიჯერებდი...

თანასოფლელის ორმოცზე მისულ მოსახლეობას ნიავივით შემოუბერა ამ ამბავმა და გაიშალა, გალაღდა.

ბავრის უბანში, სოფლის დასასრულს მიუწევდა გული ინტერესით სულგამძვრალ ქალ-ოლანს. მაინც შეიკავეს თავი.

ვის-ვის და კლასელ-მეგობრებს ისევ-ისე გააჟრჟოლათ, როგორც მერიკოს ორსულობის გაგებისას. სოფლის საბჭოში შეყრილი მოდავეები გაახსენდათ: აქოჩრილი ქვრივი და ქალიშვილის მუცელგაბერილობით შეწუხებული, ფერდაკარგული დედ-მამა.

- ჩემი შვილისგან არ არისო! სხვისი ნაბიჭვარი სახლში ვერ შემომივაო!!!

პატარას ჩასახვის მონაწილეს არც უცდია გამოსარჩლებოდა გოგოს.

დაიბანა ხელები ბიჭმა!

არაკაცზე არ მიოცნებიაო, შენისთანა ლაჩარს ცოლად როგორ გავყვებიო, რომც დამიჩოქო, შენკენ მომხედი არა ვარო და ...

არც მიუხედავს. სხვისკენაც არ მიუხედავს. ასეთი განაჩენი გამოუტანა თავს - უკაცობის განაჩენი.

აბორტი გაუკეთესო, გააჩენინეს და გაუყიდესო, ნერვიულობით მოეშალაო, - ერთხანს ვერ ისვენებდა სოფელი.

რამდენიმე წელი გავიდა და მიყუჩდა ეს ამბავი, როგორც ბევრი სხვა რამ.

...

ძალაგამოლეულს, დათეთქვილს, საწოლზე მისვენებულს ბავშვის ტირილი შემოესმა: ჩემი იქნებაო! წამოიწია, სვენებ-სვენებით მიაგნო, აიყვანა და ჩამოსრიალდა იატაკზე. ძუძუ მაინც მოაწოვა.

არ ახსოვს, როგორ აღმოჩნდა ცალკე პალატაში.

რადგან პატარა სხვისთვის ჰყავდათ შეგულებული, აღარ მიაკარეს.

შენ რომ ვერ გაგზრდი, შენ რომ ვერ მოგისიყვარულებ, შენ რომ ვერ მოგეფერები, არ მეღირსება სხვისი დედობაც, - შეჰფიცა და შეასრულა.

...

ყოველ ზაფხულს ზიარეთის ფერდობს შეუყვებოდა ალვისტანა ქალი. მოილოცავდა ღვთისმშობლის ტაძარს. გრძელი იყო გზა: ცრემლებით, ფიქრითა და ოხვრით სავსე. ვინ იცის, რას შესთხოვდა დედა მარიამს?...

...

- დედა არ იყავი, შვილი როგორ გაუშვილე, როგორ ვერ უპატრონე, რამ გაგაქვავა?! - უსაყვედურა დედამთილს მერიკოს რძალმა, რომელმაც წლების შემდეგ შეიტყო მულის უიღბლობის ამბავი.

სოფელ-ქვეყანაზე თავი არ გამოგვეყოფოდაო, ცხრა მტკაველი დედამიწის ქვეშ ჩავძვრებოდითო...

სამაგიეროდ ბაღ-ბოსტანში ბარვა-თესვა, მოსავლის აღება-დაბინავება, მთაში თიბვა და ბუნულების ზიდვა არ მოაკლეს.

უერთგულა მამისეულ ოჯახს, უპატრონა ავადმყოფ მშობლებს, დეიდ-მამიდობის მადლი არ გაუხუნა დიშვილ-ძმიშვილებს. ყველამ თავისი გზა მონახა და ისიც მარტო დარჩა, ფიქრებთან, აუხდენელ ოცნებებთან.

და ამ დროს

მერიკოს შვილი გამოუჩნდაო... ცოლ-შვილით ესტუმრაო, ჩაიხუტაო, მოეფერაო, არ მაინტერესებს - რა მოხდა, რატომ დამტოვე, მინდოდა მენახე და მოვედიო, გიპოვე და აღარ დაგკარგავო...

ბევრი ვერ მოესწრო ამ ამბავს, მერიკოს ცილისმწამებელი სადედამთილო -კი! თავსავსავა, კუზმისკუპული.

იმ დღეს ზიარეთს დიდი მზე ადგა, ღიმილიანი.

განცხადება დაწერა

ტელეფონის ზარია...

- გისმენთ.

- ქალბატონო, ეკა საბაშვილი ვარ, № სკოლიდან გირეკავთ, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრასთან დაკავშირებით. შეძლებთ, 14-ში რომ შემოგვიერთდეთ?

- დიახ, დიახ, შემიძლია. საათზე ხომ არ შეთანხმებულხართ?

- 3 საათზე ვიწყებთ.

- კარგი, ბატონო, წარმატებას გისურვებთ, 14-ში თქვენთან ვარ.

- ნახვამდიიიიიის!

- შეხვედრამდე!

მე ნომერი ჩავინიშნე და წიგნაკში სხვა სკოლების მსჯ შეხვედრების სიაში № სკოლაც მივუთითე. ახლა დირექტორთან შეხმიანების დროა.

ვრეკავ. გადის, არავინ მპასუხობს.

მეორე დღეა ვრეკავ. ისევ არავინ იღებს ტელეფონს. ე.ი. გაკვეთილზეა. ცოტა მერე დავრეკავ. ეს ცოტა ისევ უშედეგოა. და, როგორც იქნა, მიპასუხეს.

- გამარჯობა, ბატონო ავთანდილ! თქვენი სკოლის ლიდერი მასწავლებლების ტრენერი გაწუხებთ, USAID-ის პარტნიორი უნივერსიტეტიდან. გთხოვთ თიმსის პროგრამაში შემობრძანდეთ, რამდენიმე საკითხზე უნდა გესაუბროთ (ძლივს მიპასუხა და მეც პირდაპირ საქმეზე გადავედი).

- ერთი წუთით ქალბატონო, ახლავე მოვალ, - მითხრა და გავიგონე, როგორ გასძახა შორს მყოფს: შალვა, მალე დაგიძახებ. ახლა მე მომიბრუნდა ტელეფონში:

- მე ავთანდილის შვილი ვარ.

- სთხოვეთ, დაველოდები.

- ვერ დაელოდებით, ქალბატონო.

- რატომ?

- გარდაიცვალა.

- რრრროგორ? ახლა? ამ დღეებში? რას ამბობთ! ძალიან ვწუხვარ! - კიდევ კარგი ვიჯექი.

- არა, ახალა არა, დეკემბერში, კოვიდით.

ცხელი და ცივი წყალი ერთად გადამასხეს!!! (6 აპრილია უკვე). მერე ჩემი თავი შემეცოდა.

- არ ვიცოდი, მაპატიეთ, ვიზიარებ, ღმერთმა გაანათლოს!

- ახლა სხვა დირექტორი ჰყავთ, მურმანიშვილი.

- ბოდიში! ნახვამდის! დანატოვარი გაუძლიერდით!

- მადლობა, ქალბატონო!

- მაპატიეთ, ძალიან შეგაწუხეთ. კარგად იყავით!

- კარგად ბრძანდებოდეთ!

მოსაკლავი ვاااااااარ! მარიმ ხომ გვითხრა, შეიძლება ზოგიერთი სკოლის დირექტორი შეცვლილი იყოს, მაინც გადაამოწმეთო! მე კიდევ მივდექი და ვრეკე.

ეკას ნომერი მოვძებნე.

- ნათელა ვარ, ქალბატონო ეკა, ახალი დირექტორის ნომერს ხომ ვერ ჩამაწერინებთ?

- დირექტორი აღარ გვყავს.

- ვიცი, ავთანდილის შვილთან დავრეკე და მითხრა, მაგრამ მოვალეობის შემსრულებელი ხომ დაგინიშნეს.

- აღარც მოვალეობის შემსრულებელი გვყავს.

- რაა?...

- განცხადება დაწერა.

- რა განცხადება? (კინაღამ წამომცდა: ნამდვილი?). რა მოუვიდა?

- უარი თქვა.

- ااا... უი!

- არც დირექტორი გვყავს და არც მოვალეობის შემსრულებელი, მალე დაგვინიშნავენ, თქვენ არ ინერვიულოთ, ალბათ, ამ კვირაში.

- კი, კი, ალბათ. აბა რა!

- მერე დაურეკეთ, როცა დანიშნავენ.

- მასე ვიზამ. ნახვამდის, ეკა!

- ნახვამდის!

.....

დილას? დილას რა იყო? ქალბატონ მადონასთან ვრეკავდი და... მზია ვარო (ყოფილი დირექტორი). როგორ ხარ, რამდენი ხანია ველარ შევხვდით, საით ხარ, რას საქმიანობო? - მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი სტუდენტობის ნაცნობ-მეგობრებმა. მადონას ნომერი ჩამაწერინა და მერე ნამდვილ მადონასაც ველაპარაკე. ასე იყო დილას. მესიამოვნა კიდეც, ჩემი უნივერსიტეტელი რომ შემხვდა და მომეფერა. მაგრამ მერე, გული თუ არ გამიჩერდებოდა, არ ვიცოდი, საიქიოდან ვიხმე კაცი, თიმსში შეხვედრაც დავუნიშნე. მანამდე ვაიბერშიც ვძებნე და რას მოძებნი, თურმე...

სოლომონ ნერგაძე

მომენატრები ორპირიანი ზმნაა

ი.ჯ.-ს

შორს სადღაც ჰყვავიან ატმები,
ქარია - მომიტანს რამე ჭორს,
მე ვამბობ, არ მომენატრები,
შენ სდუმხარ, იცინი საეჭვოდ.
(ტარიელ ხარხელაური)

- როგორა ხარ?

- არა მიშავს.

- მაინც? როგორ არა გიშავს?! შენგან ხომ ვერასოდეს მიიღებ ნორმალურ პასუხს...

- კარგი, სერიოზულობის ყველაზე მაღალი ხარისხით გპასუხობ, არა მიშავს.

- გასაგებია. ანუ, არაფერიც არაა გასაგები.

- ვარ-მეთქი, ხომ გითხარი?!... ვარ. ღობეში გაკვეხებული ძაღლივით. აი, ახლაც, რა გითხრა, არ ვიცი... წელან ნანამ მომწერა, მე და ავთომ კოცნა გამოვატანეთ, მოგიტანსო. მხარზე მაინც მაკოცე ან შუბლზე... - კაცმა ნელა მოიზიდა ქალი, რომელიც

თითქოს უძალიანდებოდა კიდეც და არც უძალიანდებოდა. ოდნავ დაიხარა, დიდხანს უყურა ფართოდ გახელილ შავ თვალებში და ჯერ თვალის კუთხეში, შემდეგ კი ყურის ბიბილოსთან აკოცა. ქალს შეაჟრჟოლა. არც უცდია დაფარვა. წელანდელი, ფართოდ გახელილი თვალებით უცქერდა. სახეს სუსტი ღიმილი კიდევ უფრო ულამაზებდა. „მშვიდად ღელავო“, წლების წინ ნათქვამი გაახსენდა. რა ჰქონიაო, თურმე, მხედველობაში.

- ახლაც მშვიდად ვღელავ? - ქალს კაცის ხელებისგან განთავისუფლება არ უცდია. კაცს გაეცინა.

- რამ გაგახსენა?!

- არც დამვიწყებია.

- რომ გითხრა, უსასრულოდ მინდიხარ-მეთქი, დამიჯერებ?

- კი.

- უსასრულოდ მენატრებოდი-მეთქი, ამასაც?

- მაგას ძნელად.

- მენატრებოდი.

- რამდენ ხანს ვიდგეთ აქ ძეგლად? ნაცნობმა რომ დაგვინახოს და გოგას მიუტანოს ენა, დედაშენი ვიღაც კაცს ეხვეოდაო შუა რუსთაველზე, როგორ გგონია, გაეხარდება?

- წავიდეთ სადმე. მოდი, ძველი სატახტოსკენ წავიდეთ, კარგი?

- შენთან გაძალიანებას აზრი მაინც არა აქვს. წავიდეთ. ოღონდ, არ ვიჩხუბოთ. ამდენწლიანი პაუზის შემდეგ, ნუ ვიჩხუბებთ, რა! შერიგებას და საწოლში შემოძრომას არ გთხოვ. ეს დამთავრდა. წავიდეთ, როგორც კარგი მეგობრები, ისეთები, როგორიც სკაიპებში ვიყავით. მხოლოდ ამ პირობით წავიდეთ.

- რაღაცეების გახსენება მოგვიწევს. ვერ შეგპირდები, რომ არაფერს გავიხსენებ.

- კარგი გავიხსენოთ. ოღონდ, მხოლოდ კარგი.

- არის, უფროსო! - მხედრული სალამი აუღო კაცმა. - არის, მხოლოდ კარგები და კეთილები ვახსენოთ.

- არ იცვლები. ღმერთო!... - ცას ახედა ქალმა, - იქნებ არ წავიდეთ, ა?!

კაცმა არაფერი უპასუხა. ქალს ხელი პირველად შეუშვა. ქალმა იგრძნო, კაცი თითქოს სხვაგან გადავარდა. „საცოდავი ღიმილი“-ო, ახლა ეს გაახსენდა. კაცი თითქოს მხრებში მოიხარა. ცოტა ხანს მიწას დასცქეროდა. ასე, ნახევარ წუთამდე. მერე მძიმედ ასწია თავი.

- თუ არ გინდა, არ წავიდეთ. მიგაცილებ სახლამდე და სულ კარგად ვბრძანდებოდეთ...

- წავიდეთ.

კაცმა ტაქსი გააჩერა. კარი გამოაღო, ქალი შეუშვა, თვითონ მეორე მხრიდან მოუარა და ქალს გვერდით მიუჯდა.

ხუთიოდე კილომეტრი ჩუმად ისხდნენ.

- მეჩვენებოდა, რომ უნამუსოდ მექცეოდი მთელი ცხოვრება. მეჩვენებოდა, რომ ხშირად მღალატობდი. ისე მღალატობდი და ისეთი წინდახედული იყავი, ეჭვიანობის საბაბსაც არ მაძლევდი. - მოულოდნელად ალაპარაკდა ქალი.

- მოდი, ერთი რამე მაინც გაიხსენე კარგი ჩვენი საერთო ცხოვრებიდან. ეცადე, კარგი გაიხსენო. ისე გაიხსენო, რომ ცუდი არ მოაყოლო, კარგი?

- კარგი რა გავიხსენო?!...

- ქალო, ცხრა წელიწადი რამ გაგაჩერა ჩემს გვერდით?! მითხარი, წადიო. მეც ავდექი და წავედი. ეს მაინც გაიხსენე. ხომ დაგიჯერე და წავედი?

- კი, წახვედი. ქორს აფრენა უნდოდა და ხელის აქნევას უცდიდაო. გაქცევა გინდოდა. ნაჩხუბარზე გულგასიებულმა გითხარი, წადიო. შენც ამას ელოდი. გაიქეცი.

- ბოზობ?

- რაა?!... - ქალს სახე დაემანჭა. ტუჩები მოკუმა. თვალები დახუჭა და გაახილა. მერე ისევ დახუჭა და ისევ გაახილა. საფირმო პერანგს ღილი ასწყდა და წინა სავარძელზე გადავარდა. მძღოლს საჭე აერია. მანქანამ რამდენიმე ზიგ-ზაგი გააკეთა და გასწორდა. ქალმა მარჯვენა ხელით პერანგი გაისწორა, მკერდი დაიფარა.

- ზრდილობიანად ვერ გკითხე, საყვარელი ან საყვარლები გყავდა თუ არა. უბრალო პასუხი მიიღება - კი ან არა, მეტი კი არაა საჭი...

- მართლა რამ გამაჩერა ათი წელი შენს გვერდით....

- ნუ მაწყვეტინებ. არ დამიმთავრებია.

- გადაწყვიტე, მიწასთან გამასწორო?! მიდი, კარგად გამოგდის.

- გითხარი, ნუ მაწყვეტინებ-მეთქი. ნუ მაწყვეტინებ! შენს შვილსაც კი ვერ შეაზარებ ჩემს თავს. წარმომიდგენია, ცოფებს ყრი, მე რომ მახსენებს გოგა.

- შენი ყოფილი ცოლის მესმის. ო, ღმერთო, როგორ მესმის!... იმან ჩემზე მეტი, მთელი თორმეტი წელიწადი გაგიძლო. ისე როგორ მოახერხე, რომ შვილიც კი არ ინდომა შენგან ჩასახული?! ისე როგორ შეაზიზღე თავი რომ საკუთარ შვილზე, შენ სისხლზე და ხორცზე ათქმევინე უარი?! მეგონა, კაცი მყავდა გვერდით ათი წელიწადი...

- კითხვას მაინც არ უპასუხე.

- რომელ კითხვას?

- საყვარელი გყავს თუ არა? ანუ, გყავდა თუ არა?

- მეზიზღები!

- მე კი მიყვარხარ. ათი წლის წინ რომ მიყვარდი იმაზე უფრო მეტად მიყვარხარ. შენ კი...

- რა, მე კი?

- რა და, მარტივად შეგეძლო გეთქვა არაო. არც ტაქსის მძღოლს გადავრევდით და არც ნერვებს მოიბდღვნიდი. შენა, ძმაო, - მძღოლის მხარს შეეხო კაცი, - ნუ ინერვიულებ, რა! ფარსაგი არ დაგვმართო. ეს ქალი, ფაქტობრივად, ჩემი ცოლია. არც ჯვარი გვაქვს დაწერილი და არც ხელი მოგვიწერია. მგონი, საქმე ისე მიდის, ამასაც ყოფილი გაუძღვება წინ. ახლა მეტს ვერაფერს გეტყვი. ამის გასაგონად ვერ გეტყვი. თუ უკან წამოსაყვანად ჩამოგვაკითხავ მცხეთაში, გპირდები, მოგიყვები.

- ბედნიერი კაცი ვარო, შენ უნდა თქვა, ძმაო. - მძღოლმა სარკეში გაუღიმა მგზავრებს. - ასეთი ლამაზი ქალი წელიწადში ერთი თუ ჩაგიჯდება მანქანაში.

- ვითომ ახალი შეყვარებულები ვართ. - კაცს ტაქსის მძღოლის არსებობა გადაავიწყდა. - სალობიეში შევიდეთ. მაშინდელივით, ცოტა ლობიო ვჭამოთ და ბევრი ვუცქიროთ ერთმანეთს...

- მივდივართ და ესაა. ეს რა მითხარი, ბოზობო?!... ხო კინაღამ გადავედი ჭკუიდან?

- რა შეიძლებოდა მეტი მენატრა?! ულამაზეს ქალს შემახვედრა დალოცვილმა. იმფერს, შემახვედრა, ვერც რომ წარმოიდგენ...

- არასოდეს მითქვამს შენთვის, ნანასთან რომ ვიყავით საახალწლო სუფრაზე, ზურგზე ხელი რომ მომხვიე საცეკვაოდ, რა დამემართა, ვერ აგიწერ. ეს რომ გაიგო... ახლა არა, მერე გეტყვი. - მოსხიპა ქალმა.

- აი, ჩვენი სალობიეც. ცოტა დავლიოთ კიდეც, კარგი?!

ქალს ხმა არ ამოუღია. სალობიეში შევიდნენ. კაცი დაუფარავი გაკვირვებით ათვალიერებდა სალობიეს.

- ვიცოდი, ვერ იცნობდი აქაურობას. „მე ის ძველი სალობიე აღარ ვარო“, - წაიმღერა ქალმა, - მუსიკაც უკრავს საღამოობით, - ქალი შემაღლებულ ადგილზე მდგარ „იამაჰასთან“ შეჩერდა. ინსტრუმენტზე ფერადი წერტილები ციმციმებდა.

- პირველად თიკოსთან სტუმრობისას გნახე. ტბაზე წაგვიყვანე გოგონები. გზაში ცოტას ლაპარაკობდი. ნანა რომ ახსენე, გადავირიეთ. რა პატარააო ქვეყანა, გვითხარი და ხელი გადმოსწიე. ჩემს ხელს მოხვდა შენი ხელი. რამ დამიარა ვერ აგიწერ. მერე ვიხსენებდი და მრცხვენოდა - განათხოვარ ქალს, უბრალო ხელის შეხებამ რა დამმართა. ღმერთო!... ვნატრობდი, კიდევ მობრუნებულიყავი და უკანა სავარძლის ჯიბეში ისევ მოგეძებნა წყალი.

კაცი „იამაჰას“ დასცქეროდა. გეგონებოდათ, პირველად უყურებსო მოციმციმე წერტილებს.

- რატომ არაფერს ამბობ? გგონია, მაშინვე ვერ შეგამჩნიე, ძალიან რომ მოგეწონე?!... მხოლოდ მე კი არა, თიკომ და ლიკამაც შეგამჩნიეს. ადრეც გითხარი, მაგრამ შენ მხოლოდ სასარგებლო ინფორმაციას იტოვებ. ტბის ნაპირას მისულები, მანქანიდან რომ გადმოვდიოდი, „შემთხვევით“ ჩემს მხარეს მოუარე და ხელი გამომიწოდე დასახმარებლად. ვიუარე, გადმოვედი, ზურგზე შემეხო შენი ხელი. როგორ შემეხო, იცი?! აი ასე! - ქალმა მეორე ოქტავის ლა აიღო. ინსტრუმენტმა, მართლია როიალივით ვერა, თუმცა მაინც ძალიან სასიამოვნოდ გაიჟღერა. კაცმა არც ახლა უპასუხა. ქალის ხმა ძალიან რბილი გახდა. ეტყობა იქ, კომოს ტბის ნაპირას იყო გადავარდნილი და წყალში არეკლილ მოციმციმე შუქებს უღიმოდა. - გესმის? აი ასე გაიარა თხემიდან ფეხის წვერამდე. ღმერთო!... რომ გეთქვა, მოდი მუხლებზე დაჯექიო, მოვიდოდი და

დავჯდებოდი. ორივე ხელს კისერზე მოგხვევდი და მთელი ცხოვრება რომ ვნატრობდი, ისე გაკოცებდი. არავისი და არაფრის არ მომერიდებოდა. ისე მიღიმი, ნამდვილად სულელი და აფრაკი, ან ჩვიდმეტი წლის გოგოს ჭკუის გგონივარ. მეც ასე ვიტყოდი, ტბის ნაპირას კაცის მუხლებზე მჯდარი ქალი რომ დამენახა... ან, არ ვიცი, შეიძლება არც მეთქვა. ისევ ვერ ვთქვი ის, რისი თქმაც მინდოდა. როგორ აგიხსნა, რომ პირველი, სუფთა სიყვარულის კვირტმა ამოხეთქა იქ, შორი ტბის ნაპირას.... შენ ისევ ჩუმად ხარ. მითხარი ოხხერრო, გსიამოვნებს გახსენება თუ პირიქით, ყველაფრის დავიწყება გინდა?! გგონია, შეგეხვეწები?! ალბათ, შეგეხვეწები კიდეც, ოღონდ დიდხანს არა. და, რატომ იცი? იქ, ტბაზე მოსმენილი თუ განცდილი ლა-ს გამო.

ქალმა ისევ აიღო ნოტი.

- აი, ესაა ჩემი გამოსათხოვარი სიტყვა. ჩვენ ერთად აღარასოდეს ვიქნებით. უბრალოდ, მინდოდა გცოდნოდა, რომ ... - კაცმა ტუჩზე თითი მიადო და ისე შეაწყვეტინა ლაპარაკი. ქალის გაკვირვებულ თვალებს გაუღიმა, ხელი წელზე შემოხვია და ყველაზე შორი მაგიდისაკენ წაიყვანა. მეორე, თავისუფალი ხელით სკამი გამოსწია, ქალი დასვა და ოფიციანტს ანიშნა მოგვიახლოვდიო.

- ძალიან დიდი ხანია აქ არა ვყოფილვარ. რასაც ქალბატონი ინებებს, ის მოგვიტანეთ.

ქალმა სწრაფად შეუკვეთა. თუმცა რა სისწრაფე უნდოდა ლობიოს, მჭადის, ყველის და ერთი ბოთლი შავი ცქრიალა ღვინის შეკვეთას?!

ერთი თეფში ღომიც მოგვიტანეთ და სულგუნიცო, უკვე შებრუნებულ ოფიციანტს დააწია ქალმა.

- ისევ გიყვარს ღომში დარბილებული სულგუნი? არასოდეს ღომს არ ჭამდი, მხოლოდ სულგუნს.

- არ იცვლები. ისევ ისეთი ხარ. სამი ხუთწლედის წინანდელი.

- სიყვარულის ახსნები არაო, ხომ შევთანხმდით? - ქალის ხმას ტაქსში ჩაჯდომამდელი კატეგორიულობა და სიმშრალე გაქრობოდა.

- გეთანხმები, სიყვარულის ახსნებს არ ვართ. - კაცმა ქალს გაულიმა. ასე ძალიან პატარა შვილებს, „მე უკვე დიიდი გოგო ვარო“, სერიოზული სახით ნათქვამის საპასუხოდ რომ ულიმიან მამები.

ოფიციანტმა შეკვეთა მოიტანა. ქალმა ცხელ ღომში სულგუნის ნაჭრები ჩაფლა და თეფში მაგიდაზე კაცის მხარეს მისწია.

კაცმა ღვინის ბოთლი აიღო და მაღალფეხიან ლამაზ ჭიქებში ჩამოასხა. ღვინო შხეფებს ისროდა. ჭიქებში მომსხო, ფერადი წერტილები აციმციმდნენ.

- ახლა უნდა დავსერიოზულდე და გითხრა ის, რისი მოსმენა გინდა და არც გინდა, ელი და არ ელი, გაგეხარდება და შეგეზიზღება. არ შემაწყვეტინო! არც იფიქრო, გამაწყვეტინო. გაფრთხილებ - თუ გამაწყვეტინებ, წავალ და აღარასოდეს, ვეღარასოდეს ვეღარ მნახავ. გავქრები შენი ცხოვრებიდან.

ქალმა თავი დაუქნია, სამარე ვარ, სანამ ლაპარაკობო.

- რა მეორე ოქტავის ლა და რისი „დედა,... შევჩენკო!“?!... რა ჟრუანტელი და რა გადარევა?!... ბედნიერია ყველა, ვისზეც რამენაირად თბილად გაგიფიქრებია თუ მოგწონებია. შეყვარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია - შენი სიყვარულის ღირსი დედალოსზე თუ იკაროსზე ათასჯერ მაგარი და ძლიერია.

აი, ახლაც, ზიხარ და ჩემგან ისმენ ათას სირობას, ათას საზიზღრობას, დამცირებას. იტან ფეხქვეშ გაგებას, სხვა დროს ამაყი და სიცოცხლის დამთმობიც კი. ბოზობდი-მეთქი, გკითხე. უნამუსოდ გკითხე. არადა, მე ვბოზობდი. ეს მე გადავხანი ზომიერად ევროგაერთიანების, ასევე, ერთი მოძმე რესპუბლიკის და მეორე, ყოფილი დიდი ძმების კალთამადლიანი ქალები. ამასაც ბოზობა ჰქვია, თუმცა, მე უფრო ონანიზმს დავარქმევდი. არასოდეს გამიყიდიხარ, არასოდეს მიღალატებია შენთვის. ეს სიყვარულის ღალატი იქნებოდა. შენ ბევრი აუტანელი რამეები აიტანე ჩემგან. ოდესმე, თუ შევძელი მთელ მინირომანს დავწერ, შეყვარებული ძუს სიდიადეზე. აუცილებლად დავწერ. ოღონდ, ვერ შეგპირდები, გადმოვცემ თუ არა ყველაფერს და ისე, როგორც იმსახურებ. ამდენი ხანია, მისმენ და იცი, რომ შენ ხარ ის, ვისაც სული ჩავაბარე. ღმერთამდე, განკითხვამდე რომ შეენახა, იმიტომ მივაბარე. საკუთარი თავის იმედი არ მქონდა - გავაჭუჭყიანებდი,

დავალაქავებდი, წავწყმედდი... შენ კი სული არ წამიბილწე, შეურ-ყვნელი შემინახე. შენს წინ მუხლებზე დაცემული, გულს უნდა გიხსნიდე, აღსარებას გეუბნებოდე, რაოდენი და რამხელა იყავი ჩემთვის, მაგრამ ვერ ვახერხებ. იმიტომ კი არა, რომ ვერ თუ არ შემიძლია, ან დუტარი ვარ. არა, ვერ ვახერხებ, რადგან შენ არ ხარ ჩვეულებრივი. შენ არ ხარ ის, ვისაც მიატოვებ და ხვალ ან ზეგ, ან თუნდაც ათასი წლის შემდეგ მის მაგიერს იპოვნი. არა!... ახლა ცოტა მეტი რომანტიკა უნდა გავურიო. შენი სადარი რომან-ტიკა ძნელი საპოვნელია. თვით ჩვენშიც კი, რომანტიკოსების ქვეყანაშიც კი არაა ადვილი საპოვნელი. შენ ის ხარ, ვისაც ათასი წელია, ცხენიანად გადაჩეხილი ყივჩაღი ელის. შენ ის ხარ, ვინც ყივჩაღთან არაოდეს მივა, რათა მისი ჭრილობა მოარჩინოს. შენ, უბრალოდ და გასაგებად რომ ვთქვა, შენ ხარ და არავინ სხვა. მეორე ოქტავის ლა თუ ვინმეა, ეს შენ ხარ - ყველაზე ლამაზი შიგნიდან და გარედან - სწორედ ასეთი ხართ შენ და მეორე ოქტავის ლა. მადლობელი ვარ. შენი კი არა, შენი გაჩენის მად-ლობელი ვარ. იმ კაცის მადლობელი ვარ, ვინც მიატოვე თუ მიგატოვა. ასე რომ არა, ვერასოდეს გავიგებდი, მეორე ოქტავის ლა-ს სილამაზეს და მშვენიერებას. ხუთი წუთის მერე რომ მოვკვ-დე, ბედნიერი მოვკვდები. ვიტყვი, რომ ვიცხოვრე. ვიტყვი, რომ ღირდა ცხოვრება. თუ შევძელი, მსოფლიოს გასაგონად ვიბღავ-ლებ, ყველაფერს შეეშვით და ღმერთს მიჰყევით-მეთქი. ღმერთს! არ თქვათ, ვერ ვხედავთ და ვერ ვგრძნობთო. - სიყვარულია ღმერთი!... შენ იმაზე მეტი მოისმინე, ვიდრე თქმას ვაპირებდი. და, მე მადლობელი ვარ გამჩენის... და, მე მადლობელი ვარ შენი. მე მადლობელი ვარ ყველასი და ყველაფრის, რაც შენთან ერთად მქონდა და რაც შენთან ერთად არ მქონდა. მადლობელი ვარ მისი, ვინც შენთან ერთად ყოფნის წლები მომისაჯა. დღეს კი, ვერდიქ-ტივით გამომიცხადე, რომ დამთავრდა... რომ... რომ...

- გაგიმარჯოთ, ძმაო! დღეს ბედობის დღეა. დიდი ბედნიერება დაგებედოთ! არ გეწყინოთ და, უკანა გზაზე თქვენგან კაპიკს აღარ ავიღებ. ერთი სული მაქვს, სახლში როდის მივალ. ეგ სიტყვები უნდა ვუთხრა ჩემ ცოლს. ხშირად ვეჩხუბები... დღეს შენს სიტყ-ვებს ვეტყვი. იმედია მაპატიებ, თუ სიტყვა-სიტყვით ვერ გავი-მეორებ. შენ გაგიმარჯოს, ძმაო. შენს გულს გაუმარჯოს! შენთვის

კი, დაო, ღმერთს მხოლოდ ამხელა სილამაზე კი არ მოუცია, ასეთი კაცის ასე ალაპარაკების უნარი უჩუქებია. ბედნიერები ხართ! თეთრი შურით მშურს თქვენი. სახლში რომ მივალ, ზუსტად ასე ვეტყვი ცოლს. ისიც იმსახურებს. ჩემნაირის ატანა ძნელია. გაგიმარჯოთ! ამ ჭიქას დავლევ, თუნდაც „პრავა“ წამართვას პატრულმა. - კაცი გაფართოებული თვალებით შესცქეროდა ციდან ჩამოვარდნილ ტაქსის მძღოლს, რომლის არც შემოსვლა გაუგია და არც მაგიდასთან მოპატიჟება.

ქალმა მძღოლს გაუღიმა. ჭიქა შეაგება მისაჭახუნებლად. აცალა დალევა. გმადლობთო, თვითონაც მოსვა.

- კომოდან ვიწყებთ?! - მზერა მის პირდაპირ მჯდარ კაცზე გადაიტანა. კითხვის ნიშნად თავი ოდნავ ცერად დახარა და თვალები დახუჭა.

იანვრის 1, 2021

შენიშვნა

„დედა,... შევჩენკო!“, „დინამოს“ სტადიონზე უკრაინის ნაკრებთან მატჩზე მისული ერთი მორცხვი გოგონას ამოძახილი შევჩენკოს დანახვისას.

ნინო ბერიძე

მესხური მოტივებიდან

- მარალჯან, რაღაც ნა გითხრა და ჩვენში დარჩეს..
- რა არი ევა ძალო, სამარე ვაარ.
- ჩვენი ქიტეს გოგო, თალიკოი გათხოვილა.
- უი, მიწა დამეყაროს რას ამონ?
- ჰო, დადეშის ფერმიდან გაჰკიდებია თოკელ მახარეს.

იდგნენ ქალები და თალიკოს გათხოვების ამბავს ყვებოდნენ. ხუთი წლის სოფიოს არაფერი არ გაეგებოდა მახარეს და თალიკოს ამბავის, მაგრამ გულში მაინც სიხარული ჩაუდგა - რაღაც ახალი და კარგი ამბავი ხდებაო, გაიფიქრა.

კიდე დიდხანს არ გაჩერდა სოფელი: უერდო და უბანო სახლი ქონებიათო, ღარიბ-ღატაკები ყოფილანოო....იეგ რა არი, საღამოობით შემოისვამს ცხენზე ცოლ და ტყე-ტყე დაატარებსო - ყველა რაღაცას ამბობდა მათ ქორწინებაზე... დუმდნენ ნეფე-პატარძალი... გავიდა დრო და მახარემ ერდო-ბანიანი სახლი ააშენაო, ცოტა მერე: სახლსაო, შუშაბანდებიც გაუკეთაო...არც თალიკოი დარჩა ვალშიო...სამი ბიჭი და ერთი გიშრის თვალება გოგო გაუჩინაო.

- ე რა სცოდნიაო სიყვარულს, ძალოო... იმ ფუხარა ბიჭმა, პურიდან რო ნახშირ ვერ გამოიღენდა, როგორ იმარჯვა და როგორ დასახლდაო... ცოლიც რა მარჯვე გამოადგა,

ქვაზე დასახლდნენ და ტოლი არავის დაუდესო. სოფო უკვე დიდი გოგო იყო და გაეგებოდა, რას ამბობდნენ სოფლის ქალები, ეღიმილებოდა და ცხენს ჭალებში დააგელვებდა. პაპას ქურანა ცხენს ყველა საიდუმლოს უმხელდა და ადამიანების თვალებს ემალებოდა... იცოდა...მალე მისი სიყვარულის ამბავს გამოიტანდნენ ერდო-ბანზე გასარჩევად.

***

- შენ ხო იცი როგორ მიმაჩნიხარ, საქმე მააქ შენთან და არ გაბრაზდე. თვალებს ვახელ და ლოგინზე ჩამომჯდარ პაპას ვუყურებ.

- რა გინდა? - ამოვიზმუვლე ნახევრად მძინარემ.

- დაიცა ეგრე გაბრაზებული რათ მელაპარაკები?

- იმიტომ რომ გამაღვიძე.

- კარგი საქმე მააქ შენთან სათქმელი.

- კაი რა, პაპა, კაი, აღარ დაგელია ჩემი დასაქმება-ვიღრინები მე.

- მოიცა კაცო, მე რო გაგზარდე დაგავიწყდაა? შკოლის დაწყებამდე რო ერკოტაში გამოგაგდეს და მე და ბებერაშენმა თხის რძით გამოგზარდეთ?

- არ მახსოვს-ვეუბნები საბოლოოდ გამოფხიზლებული. უკვე ისიც კარგად ვიცი, პაპას რაღაც ძაან სერიოზული საქმე აქვს ჩემთან. ლოგინზე წამომჯდარს, თბილ ტანსაცმელს მილაგებს და ულვაშებში იღიმის.

- არ მოგეშვა არაა? - მეუბნება ბებო და თმებს მვარცხნის.

- კაი ოხრები ხართ ორივე, პირი შეკარით და რაღაცას მიწყობთ.

- ჰოო აპა, პაპაი დაგედოს წამლად, ლოლოონთ ქიტესასთან ნა წახვიდე.

- ვაი, რათა?

- რათა და ქიტეს უთხარი, პაპამ შემოგითვალა ხვალ ჩვენთან ნა გადმოხვიდე შენი დანებიანადაო.

- ჩვენი თეთრაი ნა დაკლაათ? - ავზლუქუნდი მე.

- ჯერ ერთი, ღორი იმისაა, რო შობას ნა დაიკლას, მერე კიდემა, ტაფას რო მიუჯდები და წვადებ მიირთმეევ, საიდან მოდის?

- მე არც მწვადი მინდა, არც ღორის დაკვლა და თინა ბაბოი რო კორკოტს ამოგვიტანს ისიც მეყოფა. ასე რო, მაგ საქმიდან არაფერი არ გამოვა- ხმამაღლა ჩავძახი ყურში, მერე რომ არ დამაბრალოს, ყრუ ვარ და ვერ გავიგე რა მითხარიო.

- იეხლა წყობილებიდან არ გამამიყვანო, ანიჩკას ბუფეტში რო ზიხარ ყოველ დღე და ჩემ ოცკაპიკიანებ ხარჯამ? არაფერსაც აღარ გაღირსან, შე მეიმუნო ბავშვო. დავფიქრდი. ცუდ დღეში ვარ, სხვა გზა არაა - ჩავიცვი ნაბდები და წავედი ქიტესთან.

- დათვივით დიდი და საყვარელი კაცია ქიტესა, თეთრი წვერებით და ცისფერი თვალებით, როგორც კი დამინახა თოვლის საწმენდი დიდი ნიჩაბი სახლის კედელს მიაყუდა და გამომძახა, ბაიკუტა, აპა ხვალ მწვადები ნა ვჭამოოთ?

- თქვენ ჭამეთ ცეცხლი, ჩავილაპარაკე ჩემთვის.

- ხოო ჩვენებმა ხვალ დილაუთენია გადმოდი დანებიანადოოგავძახე ქიტეს.

- მოდი, ნინოჯან, სახში შემო, შენთვინ თუთი ტყლაპი აქ ძალოაშენს.

- ძრიენ დიდი მადლობელი ვაარ, თქვენი არაფერი არ მინდაგავძახე და გამოვტრიალდი.

- შობის დილას ღორის ჭყვიტინმა გამაღვიძა, თეთრ თოვლზე წამოეწვინათ ჩემი თეთრა, გარშემო მთელი ოჯახი მოგროვილიყვნენ და გობებს ამზადებდნენ.

- პაპამ ალმაცერად გამომხედა, სახლში შედი,შენ აქ არაფერი გესაქმებაო და კარებიც გამომიხურა. რას ვიზამდი, შობა მოდიოდა და ყველგან ღორი იკვლებოდა.

დედას

შენი თოვლივით თეთრი პერანგი გამომყვა საგზლად, პატარა ცისფერი წინწკლებით. პირველ ხანებში ხშირად ვიცმევდი, მიჭირდა ემიგრაცია და ბევრს ვტიროდი...ამ ღამის პერანგს ერთი საოცრება ჰქონდა, როცა მეცვა სულ ჩემთან იყავი.

მერე შემეშინდა - არ დაილოს, არ გაცვდეს და დედა არ დამეკარგოს - მეთქი და გულში ვიხუტებდი! ეხლაც ბალიშის ქვეშ მიდევს და ისე ვიძინებ... განა რა თილისმა დამიტოვე ამ ერთი პერანგით - როცა გამიჭირდება სულ ჩემთან ჩნდები. იციი, მე რომ შენთან წამოვალ, ამ პერანგს ჩავიცმევ, დე, და შენ მიცანი... ეხლა ბევრი თეთრი თმა და ბევრი ნაოჭები მაქვს, ეხლა შენ ძალიან გგევარ, მაგრამ შენ სულ ახალგაზრდა გემახსოვრები... ხოო და შენი თოვლივით თეთრი პერანგით მიპოვნი აქაც და იქაც... შენი სიკეთე რომ დამყვება დეე...

დამშვიდოგება

დღეს დაიცადე, ჯერ ისევ ზამთარია. უნდა ვიტირო გულის გახეთქვამდე. მე არავინ მიყურებს, ჯერ ისევ შენ მოგშტერებიან. ისეთი თეთრი ხარ, ისეთი ფაფუკი და მიმზიდველი, შენ ვინ შეგწვდება ან შეგეჯიბრება. ეს ერთი დღეც დაიცადე და ტირილით გული მაჯერებინე... აი ხვალიდან კი, გაზაფხული მოვა და ისე გაგაქრობს დედამიწიდან, ვითომც საერთოდ არ ყოფილხარ... თქმა იციან შენზე - გადაიკარგაო... ხო და, ერთი დღე-ღა დაგრჩა შენი მეტიჩრობისათვის, შენი გიჟობებისათვის... ხვალ მეც შევიცვლები, გულზე დარდს გადავიყრი და თითქოს მთელი ზამთარი არც ყოფილხარ, ისე ავხმაურდები. მიყვარს გაზაფხული, ყველაზე მეტად ამ დროს ველი დედამიწაზე. აი შენ კი, გემშვიდობები, გაისად შენ რომ მოხვალ და მეც თუ დაგხვდი, ხომ კაი და თუ არა - ისეთი ლამაზი ხარ, ისეთი ფაფუკი და ისეთი თავხედი, არც მომისაკლისებ ალბათ. მე გაზაფხული მენატრება, კიდევ ერთი დღე და ზამთრამდე გემშვიდობები თოვლის სითეთრევ...

***

შუადღე იყო მომდგარი ფურცლოვანი ხაჭაპურებით რომ გაივსო „საჭეჭავი.“ - დედამ გვერდულად გამომხედა და თვალებით მკითხა რატომ არ იღებო.

- დე ჩემო ტკბილო დედიკო... დავიწყე სიტყვების ძებნა

- ხო ვიცი, რაც არ გასვენებს. ტასოს გინდა ხაჭაპური წაულოო?

- ხო, დე, ძაან შიათ. თუ გინდა, მე არასოდეს შევჭამ, ოღონდ ეხლა მათთან რამე გამატანე, ვუთხარი ცრემლიანი თვალებით დედას.

- ბევრნი არიან შვილო, სომინიც და ერთი სამლიტრიანი ატმის კომპოტიც გაიძღვანეო.

იმ დღის მერე თუ რამეს მოვიგდებდი ხელში - საჭმელს თუ ჩასაცმელს, ტასოსთან გავრბოდი. ისეთი გოგო დადგა, ისეთი ჭკვიანი და ისეთი ლამაზი, ავ თვალს არ დაენახებოდა. დამთავრდა ჩემი ბავშობა და ტასოსთან ურთიერთობაც მინელდა. დრო და დრო, გზა და გზა მახსენდებოდა სამხრეთისათვის უჩვეულოდ თეთრი, ბამბის ქულასავით გოგო ცისფერი თვალებით.

გუშინ ავსტრიაში ვიყავით მე და ჩემი დიასახლისი, აფთიაქში შევედით ბედად, დავიჟინე თავის ტკივილი. არავის არ დავუჯერებდი დედამიწაზე ამ გრძნობას, რაც მე განვიცადე, ჩემს წინ თეთრ ხალათში ტასო იდგა ისეთივე ლამაზი, როგორც ბავშობაში. ორმოცი წელი არ მყავდა ნანახი, მიცნო - ვაი დედაო, ქართულად წამოიძახა და ჩამეხუტა... ორი შვილი მყავსო ქალ - ვაჟიო, გოგოს ნინელა ქვია და გიცნობსო. ეს ჩემი ავსტრიელი მეუღლეაო, ეს ჩვენი ოჯახის აფთიქიაო. წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა... ჩემი იტალიელი დიასახლისი მთელი გზა ტიროდა და გზადაგზა ამოისლუკუნებდა... რა ცოტა და რა ბევრნი ხართ ქართველებიო.

***

ბევრი დიდი ადამიანი შემხვედრია და გამიცვნია. ვიცნობდი ოტიას, დუმბაძეს, მურმანს. კიდევ ბევრს, მაგრამ ეს სამი ბუმბერაზი ჩემს მეხსიერებას ღრმად ჩარჩა. - აბასთუმანში, ზაფხუ-

ლიიყო-მიხოს წყაროზე ვიყავი მარტოდ ასული, უშველებელ ნაძვის ხეს მიყრდნობოდა მურმანი. მე ოცის ვარ, ის ალბათ სამოცის ან მეტის. მე წითელი სარაფანი მაცვია თეთრი კოპლებით, ბატონ მურმანს, ლურჯი ზოლიანი სპორტულები, ზემოდან შავი ტყავის ქურთუკი და ხელში მოკეცილი ჟურნალი. გავუღიმე შინაურულად.

გაკვირვებული მიყურებს - მიცანიი? მეკითხება. თქვენ ცნობას რა უნდა ბატონო მურმან... თან მთელი ზეკარი თქვენზე ლაპარაკობს, რომ აქ ხართ.

გაიღიმა, და მერე შეშფოთებით მკითხა, ასე ახალგაზრდას აქ რა გინდა? - მე მესხეთის მკვიდრი ვარ, ვუპასუხე და თითქოს შემრცხვა, მის ფილტვებს ჭლექი ხრავდა, მე ჯანმრთელი და ახალგაზრდა მას მივჩერებოდი და ვდუმდი.

- მას ჩემი წლები შურდა-მე მისი ლექსები. მივედი უფრო ახლოს ვაკოცე და ვუჩურჩულე, სიამოვნებით გაგიცვლით ჩემს ახალგაზრდობას თქვენს ლექსებში... მადლობა შვილო, ირემივით ხარ მე ქვა-მარილი ვინ მომაშავა... თქვა და შებრუნდა... იყო ზაფხული... ყველგან ცხელოდა. მე გაყინული ვიდექი მიხოს წყაროსთან და ცოცხალ მურმანს, ზურგს ვუხვრიტავდი თვალებით... მას შემდეგ ხშირად ვხვდებოდი... ერთი ორჯერ თუთის არაყიც მოვუკითხე და მამას დავაბრალე... ბოლომდე ვერ ვუთხარი რაც მინდოდა. იქნებ კიდეც ეთქვა ამ ჯადო ლექსებს ვინ აწერინებდა.?

***

- პაპა!

- წევს და ვითომ ძინავს, წამწამებს აშკარად ახამხამებს, მივდივარ ფეხაკრეფით და გულზე ყურს ვადებ... გატრუნულია. ყურს აკლია და ხმამაღლა ჩავძახი: - პაპა გძინაავს? ბებო მეუბნება-არა, შვილო, არა, მახსუს შვრება, შენ რო შეგეშინდეს...

- აქედან მამცილდი, ჯანი მტკივა - მეუბნება პაპა და ოხრავს.

- მე ვიცი მაგის სატკივარი - არ ჩერდება ბაბო...

- რა მოხდა?

- მიხეილაი რო მოკვდა ეშინია. მიხეილი - მისი კბილა მოხუცი, გუშინ დაკრძალეს.

- რას ბუტბუტემს ბებერაშენი, საბოლოოდ ფხიზლდება პაპა.

- შენზე ამბობს სიკვდილის ეშინიაო.

- ვისა, კაცო, მეე?

- ჰოო შენა შენა... არ ეპუება ბაბო...

- დაიცა, და სადაა ეგ ამოსაწყვეტი, რო მეშინოდეს.

- რავი, გუშინ მიხეილაანთ კარზე წაუჩოქია... ისე გაჰკვირდი, ვითომ არაფერი შენ არ გაგიგია...

- მერე, სანამ ჩვენ სახლამდე მოვა, ქვეყნის ბებრები ნა გამოიაროს და მაშინვე ხო არ მეცემა? - ჩაჰკითხა პაპამ, თან შეშინებული თვალებით ამომხედა.

- გინდა გაგათბოო? ვეუბნები მე და ლოგინში ვუგორდები. ხელები შემოვხვიე და გაყინული სხეულიც ჩაუთბა. კაი ხანს ვიწექი მასთან. მეგონა ჩაეძინა, მაგრამ თმებზე სისველე ვიგრძენი, ქვემოდან ავხედე პაპას... ცრემლებით უხმოდ ტიროდა და თან ბუტბუტებდა... რა მამკლავს, პაპაი დეგედოს წამლად, შენ რო ხაარ ჩემ სისხლად და ხორცად...

წუხელ მესიზმრა, ისევ ისეთი, როგორიც ბავშვობაში... ისევ ცრემლი ედგა თვალში:

- შენი დარდი მააქ შვილოო, გულზე მიხუტებდა და თბებოდ ა- ჩემგან განსხვავებით მას აღარაფრის არ ეშინოდა... შიში უკვე ჩემთან მეფობდა.

ბეთანია

- ათი წლის შემდეგ ან თორმეტის, აქ დრო გაჩერებულია- ყველა დღე, კვირა, თვე, წელიწადი ერთნაირია.

- კიდევ ერთხელ ჩავალაგე ჩემოდანი და ჩრდილოეთ იტალიაში წავედი... მანამდე ის ათი თუ თორმეტი წელი სამხრეთში ვიყავი... არ ვიცი, ვინ როგორ იცნობთ საქართველოს, მაგრამ ეს ის გრძნობაა, ჯავახი კაცი თავს რომ გურიაში ამოყოფ.. ერთი განსხვავებით, მე გურიიდან ჯავახეთში მოვხვდი. იმ იტალიას, სადაც ამდენი წელი გავატარე, ზღვა ეკრა ყველა მხარეს, ეს იტალია კი, ტბებით და მთებითაა გარშემორტყმული...იმ იტალიაში შავგვრემანი ჩია ტანისა და ბობოქარი სულის ხალხი ცხოვრობს, აქ კი უფრო თეთრი პირისახის, მაღლები და საოცრად

სერიოზულები... იქ ხელის აწევით და ჩაოს ძახილით გესალმებიან, აქ - „ბონდიი!“ თუ გითხრეს, დასაფასებელია! სიტყვა გამიგრძელდა და ავსტრიის მეზობლად, სოფელ ბეთანიაში ამოვყე თავი. ვცხოვრობ მარიანას (მთას ქვია) ძირში, ძალიან ლამაზ სახლში... მე, ბებო და მისი ერთადერთი ქალიშვილი, მარინა. მარინაზე ბევრი მაქ სათქმელი, მაგრამ უბრალოდ ვიტყვი, რომ კარგ დას რომ მოინატრებ, ავიც რომაა, კარგიც და სამართლიანიც, ისეთია... აი ბებო კი - ჩემი ლუჩია - საუკუნეს ათი წელი უკლია, მაგრამ დღეს მკითხა - ათის ვაროო? - კი, ხარ მეთქი და გაეხარდა. თხუთმეტი წლის ყოფილა ლუჩია დედა აგატა რომ გარდაეცვალა. დედამისი პარტიზანი ყოფილა, ომის დროს და დღეს მისი სახელობის ქუჩაზე ვცხოვრობთ... რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ჩემ ლუჩიას დედა სულ ახსოვს და ყოველ დილას გვეკითხება... დედა იყოო მოსული? დედასთან წამიყვაანთ? ჩემი დედა რომ ღომს აკეთებდა თქვენ ეს არავის არ გამოგდითო. დღესაც გაეღვიძა და მეუბნება... ჩემო კარგო ნინა, წუხელ დედა იყო ჩემთან და იციი, რა კარგად მეძინა...

მიყვარს ჩემი ჩურჩუტა გოგო, ათის რომ ჰგონია თავი, სამოცდათხუტმეტი წელია დედა აღარ ყავს და დედის იმედად ცოცხლობს... ეხლაც წამომჯდარია ლოგინში და ლოცულობს, რაო, ლუჩი, რა გინდა - ვეკითხები მე, ღმერთს ვეხვეწები, დედა ხშირად მოვიდეს ჩემთან, მეუბნება ცრემლიანი თვალებით და მე ვფიქრობ სამყაროზე, სადაც დედები სულ ცოცხლები არიან, სადაც დედამიწა ორად იყოფა დედებად და დანარჩენ ქვეყნებად.

ჩრდილოეთ იტალიაში, სოფელია ერთი- ბეთანია... აქ ალპების ძირში ცხოვრობს განსხვავებულად ცივი ხალხი. მე რომ დინჯი ჯავახნი მგონიან... და აქ „ბონდიი!“ - გამარჯობა - თუ გითხრეს, ბევრის მიმანიშნებელია.

ცხოვრებას

როდესაც ასჯერ მომატყუე და მაინც მჯერავს, თვალდახუჭული მივუყვები შენს ლაბირინთებს, ამ შემთხვევაში მე ვარ სულელი, შენ კი ნამდვილი ჭკუის კოლოფი.

როცა ტირილით გულს ვიჯერებ, ვასველებ ბალიშს, არ მეგულება ცრემლის მომწმენდი დედამიწაზე, შენ მაინც ცრუობ და მახარებ ბევრი ტყუილით. წარმოიდგინე, მე გისმენ და ისევ გიჯერებ. როდესაც გარეთ საშინელი ქარიშხლებია, და მე წკვარამში ბილიკს ვეძებ, ვერ გამიგნია. შენ მატყუებ, რომ ყველაფერი იქნება კარგად და მეც იმედით არ მეშინია. სადამდე გინდა გამიწეწო ცხოვრების წლები, სადამდე უნდა დამიმტვრიო გაშლილი ფრთები, სადამდე უნდა მომაწვდინო ტყუილი ხმები, სადამდე უნდა წამიშალო სავალი გზები. როდესაც ასჯერ მომატყუე და ასმეერთედ კვლავ თავს დაგიხრი-უსინდისო ხარ ცხოვრებავ ჩემო,

მე კი სულელი.

არაფერა...

- სულელი იყო, არაფერი არ ეხერხებოდა, ხელში რომ თეფში მიგეწოდებინა, ისიც უვარდებოდა ძირს. ვერაფერს გულს ვერ უდებდა, არც ქსოვა იცოდა და არც კერვა.

ერთადერთი, რაც ხელში ეკავა და მათთან ერთად იძინებდა... აკრძალული წიგნები იყო. არაფრის მაქნისი, იძახდნენ მასზე... სკოლაში არ სწავლობს, სახლში უმაქნისია... მაგისგან რა ქალი დადგება... დრო გადიოდა... არაფერაც წამოიზარდა, არც დიდად ეპიტნავებოდა სიკოხტავე... ქერა დალალებს ურჩად აიყრიდა ხოლმე შუბლზე და ნინოწმინდელი დოხობურივით შუბლზე შემოირტყავდა ნაწნავის გორგალს. ხშირად ჩამივლია მის სახლთან, მისი თმების დასანახად, ის კი ვითომც აქ არაფერიო, ხან ჰამაკში მხვდებოდა თავისი სქელყდიანი წიგნებით, ხან ბლის ხეზე, ხან მდინარის ნაპირას და არაფერა არაფერსაც არ აკეთებდა... ალბათ როგორც ხშირად ხდება, ცხოვრებამ თავისი დინებით გვატარა მეც და ისიც... ნახევარ საუკუნეს გავცდით სხვა და სხვა ყოფით, სხვა და სხვა ქარიშხლებით... ხო და, ვნახე ჩვენი ყოფის შემოდგომაზე არაფერა...

- მიცანიი? გადამიდგა სიმპატიური, ტანთხელი და ქერა კულულებიანი ქალბატონი მუზეუმის შესასვლელთან. სულელივით გაუღიმე და გაცლა ვამჯობინე.

- როგორ? - მე ხომ ლიზი ვარ, შენი მეზობელი.

- არაფერაა?

- კი, გადაიკისკისა მან და ხელი მაჯაში ჩამავლო... სად ხარ, როგორ ხარ, რა ცხოვრებით ცხოვრობ? - მივაყარე ათასი კითხვა არაფერას.

- ექიმი ვარ, სამი შვილის და ექვსი შვილიშვილის ბებია... მეუღლეც ჩემსავით ექიმია, გამიღიმა და ისევ გულში ჩამიკრა... ჩემი არაფერა, ჩემი ყველაფერა...

დრო

- ასპინძის შესასვლელში რობერტი ბერიძის ნახატი ხომ გახსოვთ, ისიც ხომ დაგამახსოვრდათ, რა ეწერა ბუხარში ჩამოკიდებულ ქვაბს?

- ფეხი არ გაადგათ არსად და მამა პაპის სახლკარი, უპატრონოდ არ დააგდოთო. ხო და, სულ მახსოვდა: კისერი მომეღრიცებოდა მის ყურებაში, ასვლის დროსაც და წამოსვლის დროსაც. „დარანს“ გავცდებოდი და ჩვენი უსასრულოდ გრძელი ქუჩა იწყებოდა. ვარძიის პირველი, აუუ სადაცაა დედამდე მივალ, არ ადგებოდა საშველი მახრო ძიას ავტობუსს. ავტობუსი გაჩერებული არ იყო, ჭიშკართან მდგარი გრძელი მერხიდან შალმოხვეული ბებო და წინდის ჩხირებმომარჯვებული დედა წამოდგებოდნენ.

- მახროჯან, გაგვახარო ნა?- გასძახებდა დედა.

- მოგიყვანეთ თქვენი ქალაქელი გოგო, მოგიყვანეეთ... აი, მაშინ უნდა გენახათ სიხარულის ჟრიამული. დედა მოგიკვდეს, ე რა უფერული ხაარ, ბაბომ გენაცვალოს, ე რა დაწუხებული მეჩვენები... არა და ფერ-ხორცი არასოდეს მაკლდა. ჩიხორიშის ეკლესია მიყვარდა ძალიან, ხვილიშას გვერდს აუვლიდი და იმ ნანგრევებისკენ მივდიოდი, ლოცვად დავდგებოდი, მარტო ერთ რამეს ვეეედრებოდი გამჩენს - დედა მყოლებოდა სულ. დრომ თავისი წაიღო, ყველა სასაფლაოზე აიყვანა... მიკვირდა ადრე, როცა

ვინმესგან გავიგებდი, საფლავები მენატრებაო... მახსენდება რობერტი მასწავლებლის ნახატი და მინაწერი... ნუ დატოვებთ წინაპრების მიწას...ადგილს სადაც შენი აკვანი დაირნა.

იქ, სახლში

- ათის ვარ. დიდი დიდი, თერთმეტის.

ვზივარ ღუმელთან და მოვთქვამ. ვერ გამაჩერა ვერავინ.

- შენი თავი იტირე შენ, შე არაზილო. მლოცავს ბებო. პაპას ყველაფერი გვიან ესმის და ბებოს თვალებით ეკითხება, რა უნდაო ამ მეიმუნ ბავშს.

- თელი მეზობლები მოუწანწალებია, იეხლა ზის და ბღავისჩასძახა მანაც პაპას.

- მაგას მეც ვხედავ რო ზმუის, რათა?

- რათა და ყველას ნაძვის ხე უდგიაო.

- დაიცა, მერე მე მოვკვდიი?კითხულობს უკვე საქვეზე წამომჯდარი პაპა... გადი ერთი ჩემი თბილი (ბუშლატა) შემომიტა. გავფრინდი... ჩაიცვა პაპამ და კაკუჩა ჯოხით სადღაც წავიდა.

- ბერიკაცი სადაა?- კითხულობენ დედა და მამა.

- არ ვიცით - ვეუბნევით ჩვენ. მოსაღამოვდა და თოვლმაც მოიმატა, ფანჯარაზე ცხვირმიჭყლეტილი გზას გავცქერი... სახლში ახალი წლის სამზადისია... ბებო კაკალს არჩევს... მე ზედაც არ მიყურებს..

- პაპაშენ რო რამე მოუვიდეს, ცოცხალი ვერ გადამირჩები... ჩურჩულებს ჩუმად... სად წავიდა, ვაითუ მგლებმა დაგლიჯეს - წარმოვიდგინე და ისევ ავზლუქუნდი. დაღამდა ოცი დეკემბერი, ჭიშკარი გაიღო და პაპაც გამოჩნდა, თავისი განუყრელი „უშანკა“ ქუდით და დათოვლილი ქურქით. მხარზე გადებულ ნაძვის ხეს კიდევ უფრო მოუხრია წელში... მოდის და ყურებამდე იღიმის.

- პაპაა, ჩემი კეთილი პაპა, ჩემი ოცნებების შემსრულებელი, ვუკოცნი გაყინულ ლოყებს.

- ტამალის ხევში ვიყავი ასული, იქ მეგულებოდა, შეთვარიელებული მქონდა, ჯერ კიდე გაზაფხულზე... ნაწყვეტ - ნაწყვეტ მიყვება ნაძვის ხის ამბავს. მოსეს ბიჭები შემხდვნენ აქეთობა გზაზე და იმათ ჩამამიყვანეს. სანამ პაპაი გყაამს, შენ გულზე არავის

გადავატარან, მეუბნევა ჩემზე მეტად კმაყოფილი და იემაგ ღრიალ თავი დაანებე. კამფეტები და შიკოლადები დედაშენ უთხარ და ჩამოჰკიდე, ჩემზე ლამაზი ნაძვის ხე იმ წელს არავის ქონდა. ჩემზე ბედნიერი ბავშვიც დედამიწაზე არავინ მეგულებოდა.

ბარბაროზა

- ადე პაპამ გენაცვალოს ადე...

- თოოვს? ვკითხულობ მე და მატყლის საბნიდან მარტო ცხვირი მიჩანს.

- ბებერაშენმა ქვეყნი რამე გაგიკეთა, ადე საქონელთან მივდივარ.

საბოლოოდ გამოვფხიზლდი და წამოვფრინდი. ფაცხა - ფუცხით ვიცვამ, ღუმელი ანთია და საციო სახლიდან სხვადასხვა სურნელი მოდის... უი, ამდგარა ჩემი მორბედი, შემომეგება ბებო... მე და პაპამ ცხვარ-ძროხას ბარბაროზა ნა მიულოცოთ.

- მომე რაა, შაქარ - ყინული, ვეუბნები ბებოს. წმინდად ჩამოქნილი სანთლებით, შევედით ახორში, სათითაოდ ეფერება პაპა საქონელს, თაფლში ამოვლებულ პურის ლუკმებს ურიგებს და ლოცულობს. მეც ფეხებში ვებლანდები, მაგრამ არ იმჩნევს.

სახლში შემობრუნებულებს, საჭეჭავზე დალაგებული პურმარილი გვხვდება... ხილი, ჩირი, ტყლაპი, ქადები და ლობიანები... მოხარშული და შემწვარი თეთრი კვახი... ბევრი, ბევრი კამფეტებით... გარეთ ბარდნის, თეთრია სამყარო და მე ერთი ციდა, ბაიკუტა... უნდა წავიდე ჩვენ განაყოფებში, ყველასთან უნდა მივასწრო მისვლა..

- თია ბაბოო! - უი, ბაბოი დაგედოს წამლად, ამ თოვლებში მაინც მოხვედი, გენაცვალე..

- ნადიაა ძალოო... ამათ დიდი ძაღლი ყავთ... გამოგაგდეს, ნინოჯან, სახლიდან? - ძაღლს აკავებს ვალერიკა... მე თორბას შორიდანვე ვაწვდი და მათე პაპასთან გავრბივარ ერკოტის უბანშიი... იქიდან იოკაანცა ნა ჩავიდე და თუ კიდე რამე დაგრჩება, მარალაი არ დამიტოვოო, მახსენდება ბებოს სიტყვები.

- თითქმის მთელი სანათესაო შემოვირბინე, ყველას მივულოცე და ყველამ მომილოცა ბარბარობა.

- წელამდე თოვლს მოვარღვევ და მიხარია... ბარბარობაა, ხვავი და ბარაქა დაგებედოთ, ჯანმრთელობა შეგრჩეთ და ლუკმის გაზიარება არ დაგავიწყოს გამჩენმა ქართველო.

მზე

- მოვედი, მითხრა და უფრო ზემოთ ამოიწია, ხედაავ, მძინარეს მოგისწარიი. - რა დროა? ვეკითხები მე თვალებდახუჭული.

- დრო თქვენ ადამიანებმა გამოიგონეთ, არც გამტყუნებთ ცოტას ცხოვრობთ დედამიწაზე, აი მე კი რაც შეიქმნა სულ მასთან ვარ.

- ასე მოხუცი ხაარ? ვუღიმი და გულში ვიკრავ მის სხივებს. ეგეც მარტო თქვენ, ადამიანებს გაწუხებთ, მიპასუხა და უკვე ცაზე დაეკიდა.

- მოიცა, ნუ მშორდები, იციი რა თბილი ხარ? რა იმედის მომცემი.

- ვიცი, მაგრამ მარტო შენ ხომ ვერ გაგათბობ, მთელ დედამიწას ვჭირდები, მე ხვალაც მოვალ და ასე დაუსრულებლად სანამ გეყვარები და დაგჭირდები...

- რა კარგი გოგო ხარ მზე, რა თბილი, რა იმედის მომცემი, შენ რომ არ იყო რა მეშველებოდა.

- დაფასება არ იცით ჩემი - ამოიოხრა და თავისი ბრწყინვალებით თვალები დამახუჭინა..

როცა მოვდივარ, ათას რაღაცას მიგონებთ, მწველი ხარო, ყველა ადგილს ისე ათბობ, სუნთქვაც აღარ შეგვიძლიაო..

- რას ამბობ, დალოცვილო, მთელი ზამთარი გელოდი, ძლივს გავთბი, შენი დამნახველი - ენად გავიკრიფე მე.

- ხო და ხვალაც მოვალ ზეგაც და მაზეგაც - თავისი ცხრავე თვალით გამიღიმა და დამემშვიდობა.

- როგორ მიყვარხაარ, მზეოო, არ მიმატოვო, ჩემო გოგო, მე სულ აქ დაგხვდები.

ასპინძა

იდგა აპრილი ასპინძაში, მოჰქუხდა მტკვარი
და ხარ-ირემი ვარძიაში ბღაოდა მწარედ.
- ხერთვისი დუმდა, ძირს დაეშვა ნაბრძოლი მხარი,
ნიჯგორში მიწას დაჰფენოდა მტირალა ვაზი.
წაქცეულიყო იმ დღეს ასპინძა-გამოლეოდა ღონე და ძალი,
მესხეთში მტერი დათარეშობდა, საათაბაგოს ყმუოდა მგელი.
იდგა აპრილი თვალებში დარდით - გვიახლოვდება ოსმალოს ჯარი.
სამი ათასი ქართველი ვაჟით, მეფე ერეკლე ასპინძას მოდის.
ფიქრიანია პატარა კახი, გარუსებული ტოტლებენი ღალატობს მეფეს
და ამ ღალატით გამარჯვების გვიდგება ჟამი.
როგორმე უნდა გადავხერხოთ ხიდის ბურჯები
- მუხრან ბატონო, ერისთავო, ბორჩალოელო..
უნდა ვიბრძოლოთ დიდებული მესხეთისათვის,
უნდა გავწიროთ სათითაოდ სიცოცხლეც, თავიც.
იმ დღეს ღმუოდა ასპინძაში კაცის ხმით მტკვარი
და ქართველთა ხმლებს სისხლი სდიოდა. ჩვენ გავიმარჯვეთ აპრილის თვეში
ქართული გენით, ქართული ჯიშით,
ერკოტის ფერდზე გორაობდა კოხტა ბელადის უთავო ტანი,
ოსმალოს ჯარი ადიდებულ მტკვარში ცვიოდა.
მხოლოდ ოცდახუთ ქართველ ვაჟკაცს დაუღამდა იმ ღამეს თვალი
და რვა ათასი, ოსმალო მკვდარი.
შეღებილიყო სისხლისფრად მტკვარი.
ნადიმი ჰქონდათ თურმე მესხებს გამარჯვებისა,
თორმეტი ხარი დაუკლიათ ხიზაბავრაში.
იდგა აპრილი ასპინძაში...
და საქართველოს ისტორია იწერებოდა.

ᲞᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ

ანა ახმატოვა

* * *

ვიღაცა ალერსით მთვრალია უღვინოდ
და ზოგიც, ბახუსით, ზღვარგადასულია,
მე კი, მთელი ღამე ვცდილობ, გავუღიმო,
საკუთარ სინდისთან დავზავდე სრულიად.
სინდისთან, რომელიც ის მძიმე ჯვარია, –
ვზიდე ხავსმოდებულ, ერთგული მკლავებით,
სინდისი – სამყაროს უსრული არია,
სივრცეს შენივთული შუქით ვარსკვლავების...
ისევ ინიღბება საღამო ნაღმივით,
წყვდიადს, ცხენებივით ნელი სვლით განდევნის,
და, ზეცის მაღალი თაღიდან დაღვრილი,
ქარს მოაქვს ჩემამდე სილაღე რამდენი...
თავთით კი... მაცდური სიმშვიდით დამცქერის,
ჭირვეულ გზებისკენ მიხმობს ბელზებელი,
იქ, სადაც მკვდარია წყალი და ნამქერი, –
ჩრდილივით, ცოდვილი სულების მხლებელი!

* * *

როცა ბაგეებს სიამე მორთავს
და სანუკვარი სურვილით თრობა,
როცა არსებობს წყურვილი ორთა
და უძლურია ცრუ მეგობრობა...
როს მოთენთილი, ავხორცი სული
თავისუფლებას გრძნობს, ხურვებიანს,
როცა ვნებები, წრეგადასულნი,
სხეულზე საბნად გეხურებიან...

იმ წუთებს ველტვით დასაბამიდან,
მიუღწევლობას გვერდს რომ უვლიდა,
ჰოდა, მიხვდები, რატომ გავიდა
შენი სურვილი ამ სხეულიდან!

***

რაღაც უცნაური ვიგრძენ,
შევიშალე, ბიჭო, მგონი...
მწერმა, უსახელო თითზე
შემომაჭდო ბეჭდის რგოლი...
აკრძალული გრძნობის დარი
და ნესტარზე უფრო მწველი,
მკაწრავს ბედის თითისტარი,
როგორც შხამიანი მწერი...
ვცელავ ცხელ მირაჟებს ცალად,
ვეხიზნები სიზმრის ღრიჭოს.
ცხადმა თუ არ ამაცალა
ეს მირაჟიც, ჩემო ბიჭო!

***

არ გამთქვა მაცდურმა, ეშმა რომ შემეკრა –
ავი ერთგულების თრობით გალეშილი.
ამოიგლიჯე ეს გული მკერდიდან
და ძაღლებს მიუგდე, უსულო ლეშივით...
სიტყვას, დამუნჯებულს, ყავლი გაუვიდა
და წარსულს შემოვრჩი – აწმყოდან დევნილი,
მახრჩობს საკუთარი თავის უმწეობა,
სული მეხუთება, სისხლად დადენილი!

* * *

საღამოს შუქი, ყრუდ სევდიანი
ნოტიო აპრილს მხარდამხარ მისდევს,
თუმცა, ეს მოსვლა იყო გვიანი,
მაინც მიყვარხარ, ისევ და ისევ!
როგორც ბავშვობის ლურჯი რვეული, –
სული სავსეა ლურჯი ლექსებით...
და მე, გრძნეული და მთვარეული,
კვლავ არარსებულს ვეალერსები.
ო, მაპატიე წარსული, რადგან
მზეს მჭმუნვარებით ვბანდი იარებს,
იმ აღსარების წუთებიც დადგა,
შენს ნაცვლად, სხვები რომ ვაღიარე...

* * *

ცხოვრებამ მასწავლა: უბრალოდ, გონებით
უფლისკენ მიმავალ ბილიკზე შევდექი,
ფუჭი მღელვარებით რას არ ვიგონებდი, –
შორს, იმ ცრუ განგაშის უსაგნო შედეგი!
და როცა ცეცხლისფრად იელვებს ცირცელი,
ხევი აშრიალებს ყვავილთა მარაოს, –
ცხოვრება ლაღი და ცხოვრება ძირძველი
ხმაურით მახსენებს – ტკივილი კმარაო...
ხვადი კატასავით ზანტად იზმორება
საღამო, ხელისგულს მილოკავს კრუტუნით.
ლექსებით ვბრუნდები... ოქროსფერ ზოლებად
ირთვება სამყაროს გარშემო უკუნი...
უზადო სიჩუმის დამრღვევი, ხანდახან,
იჭრება ფრინველთა ყრუ გადაძახილი...
და უკვე არ ვიცი, ჩემს შემდეგ სადა ხარ? –
ჩემი გულგრილობის მორჩილი სამხილი...

თარგმნა ეკა ბაქრაძემ

ციური მესხიშვილი

ჩიტიკიბეს ციხეზე

ჰეი, დილილ-დილილმე, ჩითის კაბით ვივლი მე,
ჩითის პერანგს ჩავიცვამ და გულს გამოვიგრილებ!..
მერე ჩიტი გავხდები, შევიყვარებ ბელურას,
მერე ისიც მაკოცებს, რაღაც თავისებურად.
ჩიტის კიბით ციხეზე, ავფრინდებით ორივე,
ღამით, მთვარე იქნება თაფლობის თვის მორიგე...
ჰეი, დილილ-დილილმე, კალთა ავიგვირილე,
ჩიტი, ღობეზე დაჯდა, ჩემთვის კრიფავს გვირილებს,
მალე გვირგვინს დამიწნის, გამიკეთებს არმაღანს,
მერე ბეჭედს მაჩუქებს, ჯვარს დავიწერთ ამაღამ!
მერე ერთად დავწვებით, იმ ციხეზე ვინ მოვა?!
ვინ იქნება გამცემი, თუ არ გაგვცა მინდორმა?!..
იმ მინდორში ჭა არის, ჭასთან კიდე ხე რომ დგას,
მოვა დიდედაჩემი, ქოთნით საჭმელს შემოდგამს...
იმ ქოთანში იქნება, ჩემი საქმროს წერილი,
საყვედურით აღსავსე, - უგულოდ მოწერილი:
რაც რომ შენ მიმატოვე, იმის მერე, ვტირი მე,
ცრემლი არ შეშრობიათ ჩინთის გზაზე ტირიფებს...

- აი, დარდი, ჭირიმე! მაინც ჩიტთან ვივლი მე!
ჩითის პერანგს ჩავიცვამ და წყალზე ვილივლივებ...
ის იქნება ვაჟიკა, მე ვიქნები ხვარამზე,
ჩიტიკიბის ციხედან გავფრინდებით არაგვზე!..

სიბერის ქოხი

ძეწნით მოვქსოვე გოდორი, - ჩემი სიბერის ქოხი,
და გავუმაგრე გოდოლი ფეხმოტეხილი ჯოხით.
ქალიშვილობის პერანგი ძირზე გავფინე ნოხად,
გადავაფარე საბანი, შეყვარებულის ოხვრას.
ტირიფის წნელით მოვწანი საკაცე, როგორც ტახტი,
ჭაღად დავკიდე ყულფითვე, პაპის ნაქონი ლახტი.
კუთხეში თვალმიბნედილი, როგორც უმრევლო მღვდელი,
პაპის ნაქონი გიდელი ხის წვერზე ასვლას ელის...
მაგრამ ვიცი რომ ამაოდ,თოკი ჰკიდია მრუდედ,
ზამთარი მოდის მამაო, ვაჩუქოთ ჩიტებს ბუდედ.
თორემ დარჩებათ გიდელი, გოდორის ნაცვლად თაგუნებს,
შვილიშვილების მაგივრად, ციყვი - კარს მოგვიკაკუნებს.
მეც, ერთ-ორ კაკალს ვაჩუქებ, როგორც მჩუქნიდა დიდედა,
ისედაც წუხელ სიზმარში, ჩემს ქოხში შემოიხედა...
გულდაწყვეტილი გაბრუნდა, ვეღარ ვუცხობდი ბისკვიტებს,
რამდენი თაფლაკვერა აქვს, ჩემთვის ნაზელი მის თითებს...
ჩემი სიბერის ქოხმახებს, ძლივს რომ ვავლებდი ძნის ყორეს,
მოფრინდნენ უფლის ჩიტები და სკორით ამომისკორეს.
მტრედის საჭმელიც არ მქონდა, ქვირითი ვთხოვე ლიფსიტებს,
თითო სანთელიც ვესესხე, გამთენიისას მზის კვირტებს.
ციყვებმა თხილი გამიყეს, საკურთხისათვის ნუგეშად,
კონკიამ, ორი კაკალი, გამომიგორა დუ-ბეშად...
ჭია-მაია მოფრინდა, წყაროზე გამეგზავნება,
ფერიცვალობა მახარეს, შროშანის თეთრმა ზარებმა.
მარტო ვარ სიბერის ქოხში, ძეწნით ვწნი ისევ კალათებს,
ნეტავი, ვინ წაიკითხავს, ჩემს წაუკითხავ ბარათებს?!..

ალბათ, პატარა პეპელა, ნელ-ნელა ფრთებს რომ გადაშლის,
დაემსგავსება ერთხელაც, დედაენის წიგნს, - გადაშლილს...
მთვარე აანთებს ღობეზე, პატარა ციცინათელას,
ხან ჩვენს კაკლის ხეს უმღერებს, მოეფერება ხან თელას.
კაკლის დაბერტყვის დრო მოდის, შუბლზე დაემჩნა კოპები,
„იგი წავა და სხვა მოვა“ - ლამაზი ჩიხტიკოპებით.
მზეს გაუფრინდა ხოხობი, გოდორის კაკანათიდან,
ისევ მოვქსოვე გოდორი, კაკლის ხის ანათალიდან.
გავიგე ძველი აკვანი, ჭიისგან ავად არი და
გაუთვალია თვალის მძივს, ვეღარ მიცქერის თვალიდან.
როგორმე უნდა ვუწამლო აკვნის ხეს ძველი რითმებით,
თორემ დამრჩება უწამლოდ გადაეწვება მზის თმები.
აყვავილდება კაკლის ხე, მწვანე კრაველის კრავებით,
მარტო ვარ სიბერის ქოხში, მოდი, მომხვიე მკლავები...
შენთვისაც მოვწნი გოდორს და შვილიშვილთათვის კალათებს...
ნეტავი, ვინ წაიკითხავს, ჩემს წაუკითხავ ბარათებს?!..

პლასტმასის შვილები

დედის დაქარგულ ჩითის პერანგებს,
ნაკლი რომ ჰქონდათ თითქმის არცერთი,
ქაღალდის თარგით ვჭრიდი და მერე,
სველ, ახალშობილ ჩიტებს ვაცმევდი.

უფლის პატარა ანგელოზები,
შეუღინღლავი, ვარდისფერ ფრთებით,
თივის ბუდეში გაყურსულები
თავს იწონებდნენ უფლისფერ თმებით.

უყვარდათ ჩვენი პატარა სახლი,
ფანჯრებს რომ ეცვათ გოფრეს კაბები,
თიხის ქოთნებში ყელყელაობდნენ
ლოყაწითელა მწვანე ბალბები...

მე კი მიყვარდა დედის ზღაპრები:
„კომბლე,“ „კონკია,“ „დოქი და ჯინა“
და რომ დავკარგე ნახერხის შვილი-
ჩემი პატარა ცელქი თოჯინა.

კი არ დავკარგე, მომპარა ნუნუმ,
აკვნით რომ მედგა ნანატრი შვილი,
მე გავაჩინე, მუცლით ვატარე,
როგორც პატარა პლასტმასის ჩვილი.

დედა ვიყავ და დედას ვბაძავდი:
ვბანდი, ვაჭმევდი მეც, ჩემს ხათუნას
და ვუმღეროდი „იავნანინას,“
„მზევ, შინ შემოო,“ თანაც ქართულად.

და იმ დღეს, როცა მომპარეს შვილი,
მთვარე გადმოსხლტა შავ ღოღნაშოდან,
თითქოს მომესმა ძახილი ჩვილის
თვალებხუჭუნა სათამაშოდან.

მზემ მომაშველა თეთრი ღრუბელი,
თვალთაგან ცრემლის ამოსაშრობად
და მართლა ვშობე პლასტმასის შვილი
გენებშეცვლილი კოვიდსაშოდან.

ველარ იტევდა პატარა სახლი,
ჩემი ტყუპების ვითომ მნახველებს,
ყველა მათგანში ვეძებდი ქურდს და
ყველგან ვხედავდი აბორტმახერებს...

და არც შევმცდარვარ! - წამით ჩამთვლიმა,
წამში ვიქეცი მკვდარ დამატებად,
ჩემი შვილები გამოეფინათ
მუზეუმებში ექსპონატებად...

ადამიანის მსგავსი თვალებით,
მზე მიღიმოდა სათამაშოდან,
ცხრა თვალი ჰქონდა იმასაც, მაგრამ
არცერთი თვალი არ თამაშობდა!..

სასწაულს მრავალს იხილავთ კიდევ,
ქარი მოგიტანთ ზეგ რიონიდან,
დაიბადება როცა ქართველი
პლასტმასის ჩვილის ემბრიონიდან.

გავბერავ ფილტვებს ჭრელი გარმონით,
მთიდან მოვუხმობ წითელ ძახველებს,
დავლევ უფლისგან დალოცვილ რძეს და
პლასტმასის შვილებს ამოვახველებ!..

წითელი კაბა

წითელ კაბას ვიფერებ, ვიფერადებ ფერებით,
ახლა, გეტყვი იმფერებს, მოხვალ, მომეფერები!..
გახსოვს, ჩემი ხელები, ყინვისგან ნაფერები?!..
იმ ღამით რომ დაგღალა კულულებზე ფერებით?!..
ხეს დასცვივდა ფოთლები,როგორც გულის აბები,
მოგიტანე ქოთნებით, სიყვარულის ამბები:
შემიყვარეს არყებმა, შემოდგომის მაყრებმა
და მასწავლეს ფოთლებით, ზეცის მოვარაყება!..
უხარია მამას და გულში ეამაყება...
დედაჩემი მიწყრება, მეკითხება რა ხდება?!..
რა ხდება და ის ხდება, თეთრი კაბაც მიხდება,
შემიკერე ამაღამ, - გამატანე მზითვებად!..
წითელ კაბას ვიფერებ, გამიხუნდა ფერები,
აღარ გეტყვი იმფერებს,თუ არ მომეფერები!..

კირილე და აკვირინე

(იმერული სალაღობო)

ოქტომბერიც გავაცილე, წითელ-ყვითელ ფაჩუჩებით,
ქარმა თავი შემაყვარა ბუჩქის ძირას, გაყუჩებით...
ხან თვალები დამიკოცნა, ამიწითლა ხან ტუჩები,
ამ საღამოს, ვიცი დედას, სახლში ვეღარ გადვურჩები...
გავაცილე ოქტომბერი, ქუჩა-ქუჩა წანწალითა,
სადაც ბუჩქს რომ იპოვიდა, იქ სიყვარულს მასწავლიდა...
ისევ მოდი ოქტომბერო, წაბლის ტყეში ვიწანწალოთ,
შენი ნაჩუქარი კაბით, დღემდე, ისევ ვპატარძალობ.
ავიაროთ-ჩავიაროთ, ჭრელა-ჭრულა ფაჩუჩებით...
შენ რომ მართლა გყვარებოდი, ოქროს ბეჭედს მაჩუქებდი!..
ჰოდა, რადგან ძუნწი იყავ, შევიყვარე გზად კირილე!..
კარგად იყავ! დაივიწყე! ის ბუჩქი და აკვირინე!..

ოქროს ციხე და ზარზმა

ოცხე და აბასთუმანი, ვფოცხე და გავყე ორ ციხედ,
დავფოცხე გმირთა ძვლები და მზე ოქროს ციხედ მოვციხე.
ქვაბლიანს ქვები მოჰქონდა, შიგ აშენებდა ქვაბულებს,
მესხთა ცრემლი და გოდება, სალ კლდესაც გადააბრუნებს.
აცხონეს იმათი ძვლები, ცხონდება მათი მარჯვენაც,
ოქროს ციხისთვის სალ კლდეზე, ვინც ცხენით გადააჭენა.
მოვიდა ღმერთი-უფალი, მზეშინათი და ნანავით,
ზარზმის ზმანებით გაშენდა, სამოთხისდარი ზანავი.
ზიზილ-გვირილა, ღიღილო, წითელპერანგა ყაყაჩო,
შემოვლებიან ძველ ციხეს ავგაროზად და ხარაჩოდ.
ეკალ-ბარდო და ჯინჭარო, გმადლობ რომ ციხეს დარაჯობ,
აღარვინ დარჩა მამულში, ციხე -კლდის კვლავ სადარაჯოდ.
აანთე თაფლის სანთელი, მესხეთის მთვარე - ლამპარო,
ჩაკეტე ყველა ქართველი, საზღვარს არ გადააპარო!..

მიამბე გმირთა ამბავი, წარსულის ტკბილო ზღაპარო,
ფლატედან - აბასთუმნამდე, როგორ გათხარეს ცხრა წყარო?!
ან ყანობილის მინდორში, მთვარე რად სერაფიმობდა?
მზე, რატომ ქერუბიმობდა ბერ ზარზმელ სერაპიონთან?
უფალთან როგორ დამოყვრდა, ხურცისძეების ჩორჩანი,
ქალს როგორ გამოატანეს მზითევში, თეთრი შროშანი?!
ოქროს ციხეზე მომინდა, ამაღამ ქმართან ჯვრისწერა,
რავი, კაცია სულელი და სულელს თუ დამიჯერა!..

მე და ჩემი მეგარმონე

(სალაღობო)

ზეცა, ისე მოისარკა, რომ ამღერებს მზე გარმონებს,
ეგრისიდან გადმოვედით მე და ჩემი მეგარმონე.
ჩონგურს გავუწყვიტეთ სიმი, ენგურთან რომ შეგვაყოვნეს,
ვჭამდით ნაპარავებ სიმინდს მე და ჩემი მეგარმონე!..

ჩემი ქმარი ტყეში იყო, ხესთან ცულით ცდიდა ღონეს,
მის ლოგინში გულებს ვცვლიდით მე და ჩემი მეგარმონე!..
რა გაცინებთ? - სად გვცალია, აბა, თქვენთან სალაღობოდ?
მე და ჩემმა მეგარმონემ ხიდი უნდა გადავღობოთ!..

მე ვარ მისი გარმონი და ის კი ჩემი მეგარმონე,
როცა თითებს მიფათურებს, მე ვმღერივარ: მი-ლია-დო-რეს!..
ჰოდა, ჩემმა მეგარმონემ, მომაფარა „ქუჯის“ გორას,
ჭორიკანა მეზობელმა ჭორად რა არ მოგვიგონა?!..

ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინები, აჭრიჭინდა მინადორაც,
ეტყობა რომ ღობის ძირში, ჩემს მაგივრად იგარმონა!..
ჭრიჭინით და ჭრელ გარმონით მეზობლებიც შევაღონეთ,
ავდექით და წამოვედით მე და ჩემი მეგარმონე!..

გზაზე ღმერთი შეგვეგება, გვილოცავდა მზე ამ გორებს!..
ჯავახეთში რომ მოვედით მე და ჩემი მეგარმონე!..

შარვაშეთის ფერდობიდან გადმოვედით კოთელიას...
მე და ჩემი მეგარმონე გზად ვკრიფავდით მეთოვლიას!..

ეგრისელანთ ოდა ჩავდგით, დაგვეხმარა პაპაც, აკი!
ბუხრის ქუდში გადავცვალე ოდიშური ფაფანაკი!..
ზეცა ისე მოისარკა, რომ ამღერებს მზე გარმონებს,
ღმერთო, დიდხანს გვაჭრიჭინე მე და ჩემი მეგარმონე!..

სად ხარ ბიჭო, ალექსი?!

(ზ.ა-ს)

სასწაულად სცოდნიათ, მერცხლებს ბუდის ალერსი,
მეც მერცხლებმა მასწავლეს, სამშობლოზე თქმა ლექსის...
კლდეში შენახული მაქვს, მეფის ხმალი ნალესი,
მტერი შემოგვეპარა, სად ხარ ბიჭო, ალექსი?!..

შევეკითხე არწივებს, ხერთვისსა და ვარძიას,
წუნდის ტბასთან ვნახეთო, - დედამ, იქ დაარწია!..
დაფარფატებს მტკვრის პირას ფრთაფარფატა თოლია,
შენი შავი თვალები, მერცხალს გამოჰყოლია...

კლდეზე ბუდეს იკეთებს, იქვე, ვანის ქვაბებში,
ლოცულობენ მერცხლები მონაზვნების კაბებში...
ლოცვაც იმათ მასწავლეს ფსალმუნებად ნალექსი,
შენს სამშობლოს მართმევენ, სად ხარ ბიჭო, ალექსი?!..

მურად მთვარელიძე

მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში, მისი ლექსები და მოთხრობები იბეჭდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში 1972 წლიდან. არის მწერალთა ეროვნული კავშირის, განათლების მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის წევრი, აკაკი წერეთლის, დიმიტრი ყიფიანის, ელიშე ჩარენცის, ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის ლაურეატი, მინიჭებული აქვს „ქართველ რაინდთა“, „კულტურის ამაგდარის“ წოდება, დაჯილდოებულია დიმიტრი ყიფიანის, იაკობ გოგებაშვილის მედლებით, ღირსების ორდენით, არის ქალაქ ხაშურის საპატიო მოქალაქე, 40-ზე მეტი წიგნის ავტორი, ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ. ხაშურში.

დედის ხელჩანთა

ამ სახელურებს,
შენი ხელჩანთის სახელურებს,
თითქმის გახრესილ სახელურებს
ამ ჩანთის ყურებს
როგორც ამას თავად უძახდი,
გასვლიათ ყავლი,
მაგრამ როგორც კი ჩანთას გადახსნი,
ისინიც კი იღიმებიან
და იქიდან ამოფრქვეულ
შენეული სუნამოს სურნელს
სიყვარულით ინაწილებენ.

ნათლისღება

წყალნი ნათობენ ნათლისანნი,
წყალნი ნათობენ,
წვეთნი ბრწყინავენ ნათლისანნი
წვეთნი ბრწყინავენ,
ქარნი მღერიან ნათლისღების
ქარნი მღერიან
და უპირველეს და უმაღლეს
და მათ წინარე
დგას მაცხოვარი, სინათლეა,
ქართა მღერაა,
დგას იაოანე, შეხედავ და
ერთი ღერაა...
და ამ ნათელში, მტრედის ფრთების
ელვარებაში,
რად გეუფლება, სულო ჩემო,
მღელვარება შენ?!
განა ვერ ხედავ? მზე ანათებს
და სულ სხვაგვარად,
ან ეს მინდორი, ვერა ხედავ,
როგორ ყვავილობს,
განა არ გესმის ხმა ღვთიური
და საოცარი:
„ესე არს ძეი ჩემი, რომელ სათნო ვყავი მე!“
ან ნათლის სხივებს გააბრწყინებს
ცა სანატრელი,
და ამ შუადღით, ასე ცხადად
მზეს რომ დანებდა,
ჩვენ ყველას ერთად დაგვადგება
მხრებზე ნათელი,
ოდეს ამოვა ქრისტე-ღმერთი
იორდანედან!.

***

დავბორიალებთ საფლავებს და საფლავებს შორის,
შორისდებულთა შორის მეტად ჭარბობს, ეჰ, ვაი,
ცრემლიან თვალებს თან ვარიდებთ ერთმანეთს,
თანაც
თანაზიარი განცდებისთვის ვიტოვებთ ნაღველს....
მერე ძალიან მშვიდად ამბობ, ძალიან მშვიდად,
მწუხარედ მშვიდად,
მწუხარ ღიმილით:
- აქ ყველა თითო მოთხრობაა,
თითო ნოველა მაინც იქნება
და იქნებ ზოგი რომანიც იყოს,
რომლებიც მიწამ ჩაიხუტა,
რომ წაიკითხოს...

***

რატომ ხატავენ ბავშვები სახლებს-
პატარა სახლებს, ორფანჯრიან პატარა სახლებს
შუაში კარით
და უეჭველად ბუხრით,
მუდამ საიდანაც
კვამლი ამოდის?!
და უეჭველად წინ ბილიკით,
რომლითაც უნდა იმ სახლების კარი შეაღო
და რატომ მოგვწონს ჩვენ, უფროსებს, ეს ნახატები,
მაშინ როდესაც ჩვენი სოფლების პატარა სახლებს
დიდი ხანია ზურგი ვაქციეთ...
ის ბილიკებიც გავაბალახეთ,
აღარც ბუხრიდან ამოდის კვამლი
და კარ-ფანჯრებსაც არავინ აღებს დიდი ხანია.
დიდი ხანია გამოვხურეთ კარი, რომელიც
დაიღალა ჩვენი ლოდინით...
ღია კარები დაუხატეთ პატარებო

თქვენს ლამაზ სახლებს,
ღია ფანჯრები დაუხატეთ პატარებო თქვენს კოხტა სახლებს
თქვენს ნახატებზე,
იქნებ უფროსებს მათ დანახვაზე გაახსენდეთ
რომ სადრაც, მთებში ჩარჩენილი მათი მამა-პაპის სახლები
მოუთმენლად ელოდებიან პატრონების ხელის სეხებას.

ჩიტმაც თავის ბუდე იცის...

ჩიტმაც თავისი ბუდე იცისო!
დაგვძახებდა პაპაჩემი შებინდებისას
შვილიშვილებს, რაც იმისი ნიშანი იყო
რომ საწოლები მოგვეძებნა და დაგვეძინა...
ტკბილი სიზმრები გველოდა ჩვენ იქ-
ჩვენს ბუდეებში, რომელიც მუდამ სავსე იყო დედის ალერსით,
მამის ძლიერი გულის ფეთქვით და სიყვარულით...

ახლა, თითქოსდა საღამო იყოს,
თითქმის ყოველ წუთს ველოდები
ჰა და, დაგვძახებს უხილავი ხმა
ჩიტმაც თავისი ბუდე იცისო
ჩვენც ჩიტებივით წამოვიშლებით,
ანკი ვიღა ვართ წამოსაშლელი,
ზლაზვნით გავიკვლევთ გზას და სევდით და სინანულით
მივაშურებთ სამარეებს ყველა ცვენ-ჩვენსას -
ჩვენი სიზმრების ბოლო ბუდეებს...

***

აქ ნავროზობის ღამეებს
აქებენ და უზალთუნებს,
მე კი ქუჩების ღარებში
დავეძებ ფატმან-ხათუნებს.

მთვარე ზღვის მკერდზე გაწვება,
ტალღებს სხივს მიუთათუნებს,
ჩვენც ტუჩებს ტუჩზე ვაწებებთ,
ვლოშნით ჩვენს ფატმან-ხათუნებს.

ღამე შიგ სულში შემოდის
და სისხლში უხმოდ ფათურებს,
ველარ მოვაღწევ შენამდე,
ველარ ვთმობ ფატმან-ხათუნებს.

აქ, გულანშაროს ზუზუნში,
მახელებს ვნების ბზობანი:
ფატმან ხათუნის ძუძუნი
და ღამის ნავროზობანი.

***

მათი პირველი ღამის გულები
კვლავ გაამხნევეს უმალ რტოებმა
ჩემი ქალწული ნაკადულები
ქვებზე ტოვებდნენ უმანკოებას.
და ხავსიანი ლოდის წვერები
ეჩვენებოდათ უნაკლოებად...

***

ეგ თვალები მზით ავსილი
ჰგავს უნაზეს საფირონს,
სიყვარული მემეტება
შენთვის გოლუაფირო.
მინდა, გულის სურვილები
ბილიკ-ბილიკ გავფინო,
რატომ, რატომ გამირბიხარ,
მითხარ, გოლუაფირო.
ისე ვით ზღვას მობობოქრეს
მოედება ქაფი რომ
შენთვის ბორგავს ჩემი გული
ჩემო გოლუაფირო.

***

შენს ჭიუხამდე ოცნებით
მოავაღწევ მზით და სალკლდებით,
შემოგხედავ და ვცოცხლდები,
შემომხედავ და მავჰკვდები.
სხვა არაფერი, შროშანავ,
შიგ გულში ამიყვავდები...

***

სევდაც ის დარჩა, რაც იყო ადრე,
ქარიც ის დაჰქრის მძლე და ფიცხელი,
შენი ცხოვრების უფერო კადრებს
ივნისის დილა წამოიცხელებს.
ვნებაც ის შერჩათ მთრთოლვარე წვიმებს
ცეცხლის სუნთქვაც და განცდაც ძირძველი...
ერთად ვუკოცნით წარსულ წლებს წვივებს,
გზისპირ კი წითლად ცელქობს ცირცველი.

6. 11. 2020

ანატორი

ანატორში ერთ მომაკვდავ ახალგაზრდა ქალს კედელზე მიუწერია:

„გაღმა სოფელში ასკილი ყვავის“
კედლებში ბუდობს სენი და სენში
სიკვდილი, როგორც დაძრული ზვავი
და ხენეშ-ხენეშ საბრალოდ კვნესის
ქალი - სიკვდილთან შეკრული ზავით.
გარეთ აპრილის ხასხასა დღეა
გარეთ აპრილის წკრიალებს ზარი...

ჩონჩხების ჩხრიალს უსმენენ ძვლები
ქარს ვერ აკავებს სიძველე ყავრის,
ღრიჭოდან ნაცნობ სანახებს ძებნის
ქარს მოაქვს სუნი ჯერ ნორჩი ყანის,
რომლებიც ქარებს უტკბობენ ვნებებს,
შორიდან ისმის ყიყინი მყვარის...

და მერე ისე როგორც მოლბერტზე
სიკვდილ-სიცოცხლის კაპარჩხა ყალმით
წუთისოფლიდან სიტყვებს მობერტყავს
და როგორც სულის უნაზეს ყვავილს
კედელს მიაკრავს ბოლო ლეგენდას:
„გაღმა სოფელში ასკილი ყვავის“

პოეზია

მზიური დათიაშვილი - აფციაური

არ ვიცი, წინათგრძნობა ვუწოდო ამას, თუ ის დიდი სიყვარული, რასაც მოგონებები ქმნის ადამიანში, რომელიც თითქოს და მაუწყებელია რაღაცა ახლის დასაწყისისა; ეს შეგრძნებაა უცნაური, რომელიც ბაზისს ქმნის ჯერ კიდევ განუცდელი ცხოვრებისა, სიურპრიზებად რომ გვევლინება და ასე თუ ისე გვიხალისებს ცხოვრების რიტმს ...

მთელი დღის მოლვაწეობისა და განცდების შემდეგ, თითქოს დასვენება გადავწყვიტე და მოულოდნელად ტელეფონის ზარმა გამომაფხიზლა.

დიდი ხნის უნახავი თანაკლასელი მირეკავდა:

– გამარჯობა! გაკვირვებული ტონით ვუპასუხე მოსალმებაზე,

– მერაბ ბერიძე! მომესმა ისევ ტელეფონში.

რა თქმა უნდა, სასიამოვნო იყო ჩემი დის თანაკლასელის ხმის გაგონება, ბავშვობა ერთ სოფელში, ერთ უბანში, ერთ სკოლაში, რომ გავატარეთ და ყველას კარგი მოგონებები რომ შემოგვრჩა.

მართალია ცხოვრებამ გაყო ბავშვობის გზები, მაგრამ თითქმის ერთ დიდ ოჯახში გაზრდილებს ცხოვრების ბოლომდე გაგყვა ის დიდი ურთიერთსიყვარული ძმობისა და მეგობრებისა, რომელიც უფლის მიერაა ნაკარნახევი დიდ სახარებაში.

რადგან ვიცი შენი ლიტერატურული მოღავწეობის შესახებ, მინდა მონაწილეობა მიიღო ჩვენს ქვეყანაში ფართო შემოქმედებით საქმიანობაში, მეუბნება მერაბი.

– გილოცავთ ჟურნალის გამოსვლას! – მერიმ მაცნობა ეს ამბავი და ძალიან გამეხარდა, - ვუპასუხე.

– რა ქვია ჟურნალს?

– „არავი“.

მაშინვე გამახსენდა, რომ ეს ძველი ქართული სიტყვა სამხრისეულ თბილ ნიავს აღნიშნავს და ის ქართული სიტყვის ოსტატს, მასწავლებელს დიდ სულხან-საბა ორბელიანს აქვს მოხსენებული თავის ლექსიკონში.

– ძალიან კარგი, უკეთესს ვერც ვისურვებდი, აუცილებლად ვითანამშრომლებ თქვენთან, ვუთხარი და კეთილი სურვილებით დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

ახლა გამიჩნდა იმაზე ფიქრი, თუ რით დამეწყო და წამოიშალა უამრავი, ბავშვობის მოგონება...

მე-10 კლასში ვიყავი, როცა ჩვენს სკოლას - (ასპინძის საშუალო სკოლის) მწერალთა კავშირის ექსპედიცია ესტუმრა გურამ ბარნოვის ხელმძღვანელობით, მათ მიზნად ჰქონდათ: „ხალხური, კუთხური, ფოლკლორული მასალების შეგროვება“ და გამოქვეყნება. სკოლაში იცოდნენ, რომ ლექსებს ვწერდი და ჩემზე მიუთითეს, ბავშვური აღტაცებით შევუდექი ამ საქმეს. არც ვაციე, არც ვაცხელე და პირდაპირ ვასო პაპასკენ (მერაბის პაპისკენ) გავიქეცი. ვუთხარი რაშიც იყო საქმე. არ დამზარებია მოხუცი და ჩამაწერინა, თუკი რამე იცოდა, რამდენიმე წერილი გამოვუგზავნე მაშინ ბატონ გურამს „ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტში“.

სკოლა ყველაზე დიდი ოჯახია და საწვრთნელი არენა, რა თქმა უნდა, მშობლიური ოჯახის შემდეგ. ის და სწორედ ის აყალიბებს პიროვნებად ადამიანებს. ამიტომაც მიყვარს დღესაც ჩემი სკოლა, მასწავლებლები; მეგობრები, მათი მშობლები. ყველას პატივს ვცემ და სიყვარულით ვიხსენებ, რამეთუ ზოგიერთი ჩემი შემოქმედების საყვარელი გმირებიც არიან.

ვიცით, ცხოვრება მრუმე და ამაოა, მაგრამ დამსახურება იმისა, თუ როგორ შევაფასოთ სიტუაციები, სკოლას ეკუთვნის და ეს

საწვრთნელი ბაზა არასოდეს გვკლებია ასპინძის სკოლის მოსწავ-ლეებს.

თვითონ ასპინძის სკოლა ძირიძველი გიმნაზია იყო და უფრო ადრე, წინარე საუკუნეებში, მის ეზოში (ჩემი მოსწავლეობის დროს ნანახი ნანგრევები) აშენებული იყო წმ. გიორგის სახელობის ეკლესია და სამრევლო სკოლა (დღეისთვის ის აღდგენილია და მოქმედია).

1936 — 1946 წლებში ამ გიმნაზიაში სწავლობდა მამაჩემი - გრიშა (გრიგოლ) დათიაშვილი და წარმატებულადაც. მახსოვს მისი მონაყოლი, ხერთვისის სკოლაში რომ გაგზავნეს ის იტორიის მას-წავლებლად და ქართველ ბავშვებთან ერთად, მუსლიმებსაც, რომ ასწავლიდა. მათ ძალიან უჭირდათ ქართულად სწავლა და მამა იძულებული გახდა, შეესწავლა თურქული ენა, რომ ეთარგმნა ბავშვებისათვის სასწავლო მასალა და ამით დიდი სიკეთე მოუტანა მათ.

1962 წლიდან გ. დათიაშვილმა ჩამოაყალიბა ასპინძის მუშა-ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლა და თვითონ იყო დი-რექტორი (მეცადინეობები ტარდებოდა საშუალო სკოლის ბაზა-ზე), რისთვისაც დღესაც ბევრი ემადლიერება.

მე და, ეჭვგარეშეა, ყოველ ჩემს თანასკოლელს, რომლებიც შემდეგ დიდ პიროვნებად ჩამოყალიბდნენ, მთელი გულით გვიყ-ვარდა საკმაოდ ერუდირებული მასწავლებლებთა დასი; დუდუშა ცინცაძე, ეკატერინე მელიქიძე, ლუბა ბრეგაძე, ნინო ქემოკლიძე, პავლე ხატიძე, გიორგი ბერიძე, როზა გიორგაძე, შუშანა კურტა-ნიძე, ვენერა ყრუაშვილი, სოსო ლეკიშვილი, შალვა სანდოძე, კონსტანტინე ფართლაძე, ქეთევან ხრიკაძე, ეკატერინე ჩიხლაძე, ნანი კუკავა, ოთარ ცინაძე, ვასილ ცინაძე, ეთერ ცერცვაძე, ლუბა ჩაგუნავა. გიორგი კეჭაყმაძე, მაყვალა დოიჯაშვილი, თინა მათიაშ-ვილი, ბაბულია ჯომარდიძე, გუგული კაკუჩაშვილი და ბევრი სხვა.

სკოლა აქტიურ მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკის და სარაიონო მოსწავლე ახალგაზრდობის კონფერენციებსა და ტუ-რებში. ერთ-ერთი ტურის გამარჯვებული მეც ვიყავი 1965 წელს თემისათვის: „დედამიწა დიდი მაგნიტია“ და დავიმსახურე დიპ-ლომი ფიზიკაში.

საინტერესო და დაუვიწყარი იყო სკოლის ცხოვრება. მან ბევრი ნიჭიერი პიროვნება და მეცნიერი აღზარდა.

სამწუხაროდ მარადიული სასუფეველი მათ, ვისაც არ შეუძლია, აიღოს და წაიკითხოს სამხრეთ საქართველოს, ამ მართლაც „თბილი სამხრის ქარის“ სახელის მატარებელი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ჟურნალი - „არავი“ - და თქვან: „რა ნათელი აზროვნების შვილები გაგვიზრდიაო“ .....

„გიხაროდენ, მიმადლებულო“! - რამეთუ მწამს და მჯერა, რომ ბევრი სახელი გაჟღერდება ამ ჟურნალში.

19/X -2021 წ.

და შენი ძალა არის ძალა ძის

წლები გარბიან ... სუნთქვა მარადის,
თითქოსდა მიდის ომი მარაბდის,
ცხრა ძეთა დედა სისხლს სცლის ცვარამდის,
სამშობლო იკრებს ძალს მანამდის!

ცალ ხელში ხმალი, ცალ ხელში თასი,
მარადიული ღირს არს ქალად ის!
დროშას არ მისცა დახრის უფლება,
შენ სამშობლო ხარ კუბოს კარამდის!

მიწას აკმიე თავისუფლება,
შენს ძეთ სჯეროდეთ უმტრო ფალავნის,
არ გვაქვს უფლება! არ გვაქვს უფლება!
სანამ ძე ყვირის ალგეთს, ალაზნის!

სანამ ვარძიას მტკვარი მოღელავს,
სად იოანე ლოცავს - ძალა მის!
სად ნათლის სვეტი ზეცად მიილტვის,
სად ამორძალთა ისმის ალალ მის!

სად აღმართულა კავკასიონი,
„გერგეტი“ გვლოცავს „სამებისა“ მის!
შენ სამშობლო ხარ დაუვიწყარი,
და შენი ძალა არის ძალა ძის!

2021 წ.

არავი

დრომ წამოშალა სამხრის არავი,
ქარტეხილების განძთა მკალავი,
სამცხეს და ტაოს დასცა კარავი,
ააღორძინოს გზა გამკვალავი:
დიდ წინაპართა დროის მპარავი,
ხახულ - შატბერდის კედელთ მღარავი,
ოშკის და ხანძთის გზათ დამღალავი,
ჯავახ და მესხთა შრომის ალავი.
სულს, რომ უბერავს სამხრის არავი ...
დროა წარმოთქვა: მიხმობს? – არავინ?
გზა გაწოლილა დიდი ქარავნის.

მიწისძვრა

მაგნიტურ ტალღამ სამხრეთის მიწა
საქართველოსი დაანაოჭა,
დიდი ხნის წინათ, ჩვენს ერამდე და
შუა გააპო ქვეყნის აორტა ...
მესხეთის ქედი არსიანის ქედს
მოსწყვიტა, ჩრდილოეთით აოტა,
სამხრეთ - დასავლეთს - ვარძიის ქვაბულს
გზა ემიჯვნოდა კლარჯეთ - ტაოდან ...
მას მერე რამდენ მიწისძვრის მსხვერპლი
გამხდარა ჩვენი მიწა, კერია,

ისტორიული დიდი კულტურა
მუშქთა დიდების, გახდა მტვერია,
შუამდინარეთს მოღწეულ ტომთა
საქართველოსი, ---- ძველი ერია,
დამწერლობა და ზეპირი სიტყვა
მიგრაციული გზით შეერია.

***

ვინ იცის, კიდევ რაღა არ მოხდა,
ცის კიდეთ წვდება ტალავერია,
ვაზის ჯიშების, „ძიგულა“ დღემდე
„მესხურ მწვანესი“ არის „გერია“...
ჩემო სამშობლოვ, რა არ დაგწამეს,
ვერ მოგერია დღემდე მტერია,...
ჩემი სუნთქვა ხარ, მესხურო მიწავ,
შენი სიტურფე დამიმღერია,
კენჭებად ქცეულ შენს დიდ წარსულზე
წამების კვალი ამიწერია ....
სიტყვა მალია, ვინ ჩაიხედავს,
გულში დავითის ფიქრთა ღარია ...
ყველამ განსაჯოს, შენს დიდ კულტურას
რამდენის ძარღვი აუძგერია,
საუკუნეთა დახვეწილ ლტოლვას
კულტურათ შექმნის ცად უწერია,
მიწის სიღრმიდან განტოტვლილ ვენახს
საგალობელნი ჰანგთ უმღერია,
სრულყოფილ ანბანის სიდიადეს
კულტურა აკვნად დაურწევია ...
გული ვერ ითმენს, მინდა აღმოვთქვა,
რა საიდუმლოს იტევს ეს მიწა,
მცირე აზიით შემომავალი
გზები კლარჯეთში მიწისძვრით მიწვა,
ფენებად ქცეულ ლაბირინთებში
დიდ კულტურათა ძეგლი დაიწვა,

მესხეთის ქედს კი ჯავახთზეგანი,
რომ ჩამოშორდა „თმოგვი“ ჩაიქცა,
ქალაქი წუნდა გაუჩინარდა,
მიწისქვეშ ზიარჭურჭელად იქცა,

***

ხევებში იწყეს დინება მტკვართა,
არსიანიდან, თავფარავნიდან,
საქართველოა გამოხატული
თხუთმეტ კილომეტრ ტბა ფარავნითა ...
საუკუნენი თვით ღაღადებენ
ხავსმოკიდებულ ძველი ლოდებით,
სამეცნიერო ექსპედიციებს
დიდ მოთმინებით დაველოდებით!

ჩემს შვილთაშვილს – ჩვილ ვასილს!

დღის გარიჟრაჟი, აისი დილის
შემოიჭერი სიცოცხლის ექოდ,
შენს სასთუმალთან, ჩემო პატარავ,
ეს სიყვარული ჰიმნად დაეგო ....
        უსათნოესი რჩეულ სიცოცხლედ.
        აღმასვლის შეგქმნა უფალმა „ეგო“
        და გარდასახა სული ძლიერი,
        შენში, ვის მადლი სამყაროს, გერგო ....
სიცოცხლის ფუძეთ საოცარ დროის
მარადიული იმედის ნერგო,
იზარდე ღმერთის დიადი ლოცვით!
მრავალ ახალ წელს!
ჩემო ღვთაებრო!

დიდი ბებია მზიური, 9 / VII 2021 წ.

არაგვის ხეობაში

ფასანაური კრებს კავკასთ არაგვს,
მათ მქუხარების გვიყვება არაკს:
გუდამაყარი ხატს სწირავს ზვარაკს,
ხევი ცხოვართა და მწყემსავს ბანაკს...
თეთრი არაგვი ადუღებს ჭარაფს,
ფშავს მოჰკივის, არწყულებს ჭალაკს,
პირაქეთ ხევსურთ უფსკრულებს კვალავს,
შატილში არღუნს უშლიან კარავს.
კავკასიონი ჰყოფს ორ ხეობად
არაგვს და არღუნს, არც ერთს ტყვეობა
არ განუცდიათ და აქვთ დღეობა!
უკიდეგანო სივრცეთ ღრეობა.

საქართველო

საქართველო თვალწარმტაცი
მარგალიტის ყელსაბამი,
კავკასიის ვიწრო ყელი,
ამ სამყაროს დასაბამი,
სიცოცხლის და სიყვარულის
ციურ მადლით განსაბანი,
დედამიწის გულმხურვალე
თვისებათა ასაბამი

სიბრძნე

უპირველესი სიტყვა ღვთაება
სიბრძნის საწყისი არს სიმფონია,
მთელი სამყაროს შემქმნელი სული
ზე სიყვარულით მონაფონია.

ყველა არსს მისი საგნობრიობა,
განსაზღვრავს - სიბრძნით მონაქონია,
ბიბლიურ საწყისს სამყაროს შექმნის
შეიტყობს ჰანგთა კაკაფონია.

სიბრძნედ განბანილ ტალღათა ქროლვით
მძლავრი, რიტმული ძალა ჰქონია,
სულთა შთამბერავ უხილავ ღუზას,
იერარქიულ დიდ სინქრონიას,

ამ სიმბრძნის საწყისს დიადს და ციურს
განუსაზღვრელი სდევს ჰარმონია,
ანგელოზთა გუნდს - იმედის მომცემს,
აქვს უჩინარი მფარველ — ფონია.

სიცოცხლე

იცი, სიცოცხლეს რა მაძლევს?
ეს სიყვარული ნაპოვნი.
მინდა ვიფიქრო, რას ვიტყვით,
როცა დავრჩებით მარტონი,
მძლეთა - მძლე არავინ არის,
გულს ბზარავს ჩრდილთა სალტონი,
სიცოცხლე მაშინ ნავარდობს,
როცა ჩვენ ვხვდებით სანდონი.

პოეტი

სათნო ჩურჩული შეუმჩნეველი,
ვით კოკორ ვარდის უხილავი შლა,
ვით ყვავილობა ვაზის ---- მრჩეველი,
დროთა ნაზარდის მორიდებით სხვლა.
სიტყვათ ნარ-ნარი ფაქიზ გრძნობათა,
განუწყვეტელი რუდუნებით წყვლა,
ნერგი უდაბნოთ - დიდ შეცნობათა,
და „სიცოცხლის ხედ“ მისი აღმა სვლა.
ხან მოხეთქილი მდინარის ტალღა,
ან „ფიქრთა გორა“ ღრუბლის ტაატი,
რითმის სეტყვაში ნაპოვნი დაღლა,
გრძნობებაშლილი ხმა მასლაათისი.
და დრომ დაფარა დრონი მისანი,
დრო სიბრძნისაგან მაცნედ განიყო,
პოეტის ალღო გამოვიცანი,
ნიჭთაგან სიბრძნეთ ტევა არ ეყო.

პოეზია

ქარგული სიტყვა - თქმა გულახდილად,
პოეზიაა ლექსი ნამდვილად,
არ იპოვება ასე ადვილად,
ღირს სასოებად გულის წადილად,
სიტყვის სამშვენად, ბგერათ ქადილად,
ორატორიად, მარცვალთ კადრილად,
სულის ოცნების სხივურ აღვსილად,
სენსაციური ოქრო — დაღვრილად.
პოეზიაა ძალა ნაზ ხილვად....
ლოცვათ დიდებად, რიტმთა მახვილად,
და უტყუარი სულის ძახილად.

ნინო ახალაშვილი



დაბადების თარიღი: 1991 წლის 22 ივლისი.
დაბადების ადგილი: ქ. დუშეთი.
განათლება: ქ. დუშეთის მე-2 საშუალო სკოლა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბაკალავრიატი) ქართულ ფილოლოგია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მაგისტრატურა) აგრეთვე ქართული ფილოლოგიის განხრით.
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული.

უთქმელი _ „მიყვარხარ“

წავალ და რამდენი დამრჩება სათქმელი...
რამდენი – „ძვირფასო“.. რამდენი – „მიყვარხარ“...
კი თავი მგონია ხან ბევრის მნახველი
და მაინც სიყვარულს უთქმელად ვინახავ...

გაეცით სითბო და გაეცით ალერსი...
მიყვარხარ! – უთხარით ყოველდღე ერთმანეთს...
ერთმანეთს უყურეთ ყოველდღე თვალებში...
გიყვარდეთ ერთურთი, უბრალოდ გიყვარდეთ...

უთხარით! უთხარით, ტკბილია სიცოცხლე...
რომ ერთად ყველაფერს, ყველაფერს გაუძლებთ...
რომ იბრძვით, რომ გიყვართ სულ ყველამ იცოდეს...
მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს... სამყაროს აუწყეთ...

მადლობდე უფალს და ადიდე გამჩენი...
ყოველი დღე უფლის წყალობად მიიღე...
გიყვარდეს მოყვასი... უბრალოდ გამვლელი..
ეცადე უფალთან მართალი მიხვიდე...

თუ გული გატკინეს, შენდობა ისწავლე...
არასდროს დაკარგო რწმენა და იმედი...
იშრომე... იბრძოლე... ილოცე... იწვალე...
და შენით შექმენი, თუნდაც რომ მცირედი...

გაეცით სითბო და სიკეთე აკეთეთ...
უფალი აცოცხლეთ თქვენში და იარეთ...
ცა და მზე ყოველდღე თვალებში არეკლეთ...
იხარეთ... იმრავლეთ... იადამიანეთ!

არ ვიცი რამდენი კი დამრჩა სიცოცხლე...
არ ვიცი ცხოვრება რამდენ ხანს გრძელდება...
დღეს გეტყვით და მინდა, რომ ყველამ იცოდეთ,
მიყვარხართ! და გრძნობა ჩემში არ ნელდება...

***

მინდა მქონდეს სახლი,
პატარა და თბილი...
ყვავილების ბაღი –
ლამაზი და ხშირი...
ია, ვარდი, ნუში,
კონა-კონა იყოს...
და ვაფრქვევდეთ გულში
ჩაბუდებულ სითბოს...
სულ, სულ ენთოს სახლში,
სიყვარულის ცეცხლი...

თმახუჭუჭა ბავშვი
და შენ მყავდე გვერდში...
მინდა მქონდეს სახლი,
ქოხი, ქოხამუხი...
სიყვარულის ძალით
არ ქრებოდეს შუქი...
მინდა ჩვენი სახლი,
ეკლესიას ჰგავდეს
და, წაუსვლელ სტუმრად,
სულ უფალი გვყავდეს...

***

სამშობლოვ, შენს მთათა კალთაზე
თავს დავდებ და გავყუჩდები...
გეთაყვა, არასდროს გა-ცა-წყრე,
ვამბობ და თან მიკრთის ტუჩები...
ვამბობ და შიშნარევ ღიმილში
იმედის ნამსხვრევებს ვაპარებ..
ოღონდაც, მამულო, მიმიშვი
ზეციდან ჩამოვხევ ამ მთვარეს
იმ ქურდს რომ უნათებს ბილიკებს,
და რადგან სამშობლოს მპარავენ...
მოვკვდები, მიწა არ მიმიღებს
არასდროს, და წავალ სხვა მხარეს...
წავალ და ნეტავი განახა,
რა ზიზღით მოვივლი ამ არეს,
სამშობლოვ, შენ სადაც არა ხარ,
რა მინდა, იქ რა გამახარებს?!
შესტრფიან ხის ტოტებს ფესვები..
მე გულში ძარღვები მიხმება...
შენთან ვარ, მეც ძირს დავეშვები
თუ მკლავზე სამშობლო მიკვდება...
თუ ერთხელ წავალ და ვერ გნახავ...
და დავწერ სულ ბოლო სტრიქონებს...
ასეთი ლამაზი მართლა ხარ,
თუ ნეტავ მე გამოგიგონე?!
არ მყოფნი ამ ქვეყნად, მამულო,
უთუოდ იმ ქვეყნად მჭირდები...
და დღესვე, და დღესვე მოვკვდები
თუ იქაც ქართველი ვიქნები...
თუ იქაც შენს შვილად მიმიღებ...
ხელს გაშლი და შემომეხვევი...
რაც გინდა მდიდარნი კი იყვნენ,
არ მინდა სამშობლოდ მე სხვები...
და მაგრამ, და მაგრამ იცოდე,
არ წავალ მე მანამ აროდეს...
ვიდრემდის, ვიდრემდის არ ვნახავ
შენს გულში იმედი ყვაოდეს...

გამოიდარებს

გამოიდარებს...
გამოიდარებს...
ნამს შეიშრობენ ტანზე ვერხვები...
ახლა კი შენთან როგორ მინდა მე,
ვგრძნობ რომ არ იცი, ვგრძნობ რომ ვერ ხვდები...
გამოიდარებს...
გამოიდარებს...
ცრემლს მოაშორებს ქარებს მზის სხივი...
შენ კი, ძვირფასო, ვიცი ინანებ,
რომ ხარ მიზეზი ჩემში სიცივის....
გამოიდარებს...
გამოიდარებს...
აპრილს მოიყვანს შენზე ფიქრები...
დღეს, დღეს, ძვირფასო, შენთან მინდა მე...
ხვალ, ღმერთმა იცის, თუ სად ვიქნები.

***

რაღაც სხვა დარდი აწუხებს ზეცას,
ქარიც სხვა ძალით აწვება კარებს.
ბეღურა ჩიტი ზის და ფრთებს კეცავს,
უმარცვლო მიწა კლავს და აწვალებს...

ვეძახი ჩემს თავს, (არ ესმის მგონი) –
ადექი!
გადი!
აჭამე რამე!
გესმის, გაიგე, მოგეცეს გონი,
თორემ ბეღურა მოკვდება მალე...

ფანჯრებზე ჭირხლი გაადნო სითბომ...
გარეთ რამდენი მოგროვდა ჩიტი...

და კაცს კი არა ჩემში ღმერთს ითხოვს
იმ ღმერთს, რომელსაც ყოველდღე ვყიდი...

ვდგები და პურის ნაჭრები გამაქვს...
ხელის გულებით ვათბობ ნამცეცებს...
ჯერ ერიდება ბელურას ჭამა..
უკვირს, უკვირს და თვალებს აცეცებს...

და როგორც იქნა მოეცათ ძალა,
მოვიდნენ ახლოს, თუმც უკრთით მკერდი...
არ ვიცი ვინ ვარ და ან ვის ვგავარ...
ჩიტებს კი, ამ წამს, ვგონივარ ღმერთი..

მობრძანდით, ბატონო!

მობრძანდით, ბატონო, დარჩენას ინებებთ?!
რა გინდათ მოგართვათ, ოღონდ თქვით, ბატონო...
„იხარეთ“, „იმრავლეთ“, „იღმერთეთ“, „იმეფეთ“...
ჩვენს მიწას ქართველნი კი ველარ ვპატრონობთ...

მობრძანდით, ბატონო! დაბრძანდით, ბატონო!
რასაც კი ხედავთ და რასაც კი ინებებთ,
სულ ყველას დაგითმობთ, ნუ გვკითხავთ – რატომო?
დღეს ნებით ვასხვისებთ ოცნებებს, იმედებს...

და ქართულ მიწაზე სულ ყველა მდიდრდება...
აქ ქართულ ენაზეც არავინ საუბრობს...
უცხო და უჯიშო მოდის და მკვიდრდება.
რა გვიკვირს, თუ თავად ყველაფერს დავუთმობთ...

ფეხქვეშ რად ვეგებით ნეტავი სამყაროს?!
თავს ვუხრით, ქედი გვაქვს ბოლომდე დახრილი...
და გვიკვირს, ძალლებმა ნაქექი გვაყარონ?!
გვტკიოდეს, გვრცხვენოდეს დასვრილი მანდილი!

მობრძანდით, ბატონო! დაბრძანდით, ბატონო!
როგორი მოგართვათ, ან რამდენს ინებებთ?
და ქადის ნაჭრებად დაჭრილი სამშობლო,
გასინჯეთ.. აიღეთ.. მიირთვით.. იგემეთ...

მოდიხართ, ბატონო? – ვისწავლეთ ენები.
ქართველნი ქართულად მაინც ვერ ვსაუბრობთ.
გვითხარით ოღონდაც, თავს შემოგევლებით.
რაც გინდათ გვიბრძანეთ, გვიბრძანეთ, ბატონო!

საკუთარ მიწაზე ვმათხოვრობთ მგონია...
ხელი გვაქვს ყოველი საზღვრიდან გაწვდილი...
არ წყდება ნაკადი. მოდიან... მოდიან...
ჩვენც პირში შევცქერით, მშიერი ძაღლივით...

და ბოლოს...
და ბოლოს...
და ბოლოს ვნახავთ რომ...
ხიზანნი ჩვენ თავად ვხდებით ჩვენს ალაგზე,
ერთხელაც ვინანებთ, ერთხელაც... გავა დრო
ჩვენ ვცდებით... ჩვენ ვყიდით... სხვა ვისზე გავბრაზდეთ?

წაიღეთ, ბატონო, მთები და ქედები...
წაიღეთ ეს ვაზიც, სულ ძირში დათხარეთ...
ვერ ხედავთ ქართველნი უომრად გნებდებით.
ჩამოდით და თქვენი წყალობა გვაკმარეთ...

მათხოვრად ქცეულა ნახევრად ქვეყანა...
საკუთრად ჰხედავენ, თავისად ჰყიდიან...
და ვინც არ ვეკრძალვით, რამეს ვცვლით დღეს განა?
უცხონი მოდიან. ქართველნი მიდიან...

არა ვარ, ღმერთმანი, სხვა ერის მტერი და
არც ფერადკანიანთ არა ვგმობ უფალო..

არ მინდა აიმღვრეს, შეირყეს ერი და
ქართველმან სამშობლო დავკარგოთ უბრალოდ...
...
სტუმარს გაუმარჯოს! ყველას, ყველა მხრიდან...
სტუმარ-მასპინძლობა ჩვენ არ შეგვეშლება...
მაგრამ დამრჩენები არა და არ გვინდა!
წამსვლელთ ვუმასპინძლებთ, როგორც შეგვეძლება...

დილამშვიდობისაო...

დილამშვიდობისაო, რა ლამაზად თენდება...
თითქოს თვითონ უფალი ჩამოსულა მიწაზე...
თითქოს რაღაც სხვაგვარი, უჩვეულო დღე დგება...
ამ დღეს არ შეიძლება, ვინმე რომ არ გიყვარდეს...

ამ დღეს არ შეიძლება: შური, მტრობა, ქილიკი...
გაზაფხული გგონია მუდამ ჩვენთან იქნება?!
უნდა გვწამდეს, გვჯეროდეს და გვიყვარდეს, პირიქით...
აგვიხდება ოცნება, ლამაზ, ფერად, სიზმრებად...

დილამშვიდობისაო, ფრთა გაშალეს მერცხლებმა...
ყვავილებით, პეპლებით გვეგებება სამყარო....
შენ რომელ გზას არიჩევ, სწორედ ის გზა შეგრჩება..
თუ დაეცი ეცადე ფარ-ხმალი არ დაყარო...

დილამშვიდობისაო, ეს დღე შენთვის თენდება...
რომ ლამაზი ფერებით ეს სამყარო გაავსო...
ეს ცხოვრება ხომ მხოლოდ წუთებისგან შედგება....
და ეცადე, ძვირფასო, წამიც კი არ დაკარგო....

მოდი ამ წამს დაიწყე საყვარელი სიმღერა...
გაიღიმე, ისე რომ სულმაც, გულმაც იხაროს...

ცა გაფინე ოცნებად, ფერად, ლამაზ ფიქრებად...
და ეცადე ძვირფასო, ყველამ რომ შეგიყვაროს...

არა, შენში რა უნდა ცუდს და ბოროტს, გეთაყვა?!
მოიშორე სულიდან უსარგებლო ფიქრები...
და იხარე, ძვირფასო, და იხარე, დღესაც.. ხვალ...
ღმერთმა იცის როდამდე, ან რამდენ ხანს ვიქნებით...

სამოთხე ხომ მიწაა (ჯოჯოხეთიც აგრეთვე)
შენვე უნდა მოიწყო, აირჩიო რომელი...
ბოროტ, მავნე ფიქრებით ან ღამეებს ათევდე...
ან კი იყო კეთილი, შუქი გამომბრწინველი...

დილამშვიდობისაო, რა ლამაზი დღე დგება...
თითქოს თვითონ უფალი ჩამოსულა მიწაზე...
მხოლოდ შენთვის აენთო ცაზე მზე და თენდება..
არა, არ შეიძლება ამ დღეს რომ არ გიყვარდეს...

***

ჩემში სახლობდა სიყვარული, ვინ თქვას იმხელა..
რა გითხრა მეტი?! ჯვარსნაცვამი ღმერთივით მწამდი...
ახლა კი მეწვის, კი არ მტკივა სული იმდენად..
ღმერთი მეგონე, შენ კი უფალს არაფრით გავდი...

საბავშვო ლექსები

***

თოვლის პაპას ელოდა მთელი წელი ნიკა..
ახლა კიდევ ერთი თვე როგორ მოიცდიდა?!
ჰა, წერილიც დაწერა, ჩამოთვალა ხოდა...
მთელი გვერდი გაავსო, არ გეგონოთ ცოტა...

დედამ უთხრა – „თუ კარგად მოიქცევი, ნიკა,
თოვლის პაპა მოგიტანს თხილამურს და ციგას...
ოღონდ წერტილ-მძიმე თუ არ დასვი ამ წელს,
თოვლის ბაბუ ისევ ვერ გაიგებს ნაწერს...

ბიჭმაც უმალ დაიწყო სიის გადმოწერა...
ყველა თხოვნის მერე მძიმეები წერა...
როცა პაპამ ნახა.. მოჰყვა ხარხარ-სიცილს,
თურმე მძიმის მხოლოდ სიტყვით წერა იცის...

რაც შეგემთხვა, კარგო, დააბრალე შენს თავს,
თურმე ყველაფერი მძიმე შეგიკვეთავს...
„ამსიმძიმე გუდით ვერ ვივლიო აბა“
არ მოსვლია (ამ წელს) ნიკას თოვლის პაპა...

ჯერ გესწავლა კარგად, ჩვენო ნიკა, წერა
და წერილიც მხოლოდ მერე დაგეწერა!

კეთილი თუ ზარმაცი?!

ანანიკოს მოუყვანეს ცელქი მიუ გუშინ,
ისეთი ფაფუკია, რომ ჩაიხუტებ გულში.
მაგრამ წუწკი ყოფილა, არ ვიცოდით ასე,
მთელი ჯამი შეჭამა სასმუსნავით სავსე..

თუმცა ეგეც არ ეყო, რას გააძღობ ამას?
ორცხობილა ხელიდან გამოსტაცა მამას.
ვეღარც მუცელს დაათრევს, მოემატა წონა,
ეჰ, რა ძნელი ყოფილა წუწკი კატის ყოლა...

საყვედურებს ვეღარ უმკლავდება ანა,
მიუს საქმე ეს არის: წოლა, პირის ბანა...
ასე რატომ ზარმაცობს, ანანიკო, დაფიქრდი,
რატომ აყურებუნე ფისოს, იმ დღეს, „გარფილდი“?

მასავით გაზულუქდა, არაფერი ესმის
ასე თუკი მიაჩვევ, მერე ვინღა შეცვლის?
მისი საყვარელი სჭმელი ხომ სუშია,
რადგან ამ ღორმუცელას დღე და ღამე სულ შია...

შრომა ამან არ იცის, თაგვებს აქეთ გაურბის,
წრუწუნას დაინახავს და სულ კანკალი გაუდის...
დასცინიან ციყვები, ხიდან გირჩებს ესვრიან,
კატა კი არა ხარო – ერთს დაცინვით ეტყვიან –

უფრო კურდღელს გვაგონებ, შე მსუქანა გარფილდო,
ამდენ უსაქმურობით ხედავთ? ღიპიც დაიდო.
ნაწყენია ძალიან, ჩვენი ზამაცპენტელა.
წუხელ თათუნიებში მოიმწყვდია პეპელა...

განა რამე ატკინა? ეფერა და ეფერა...
მერე გადააფრინა, ღობეს იქეთ, პეპელა...
გაოცებას ვერ მალავს ანანიკოს პაპა,
ჯერ ასეთი სათუთი არ უნახავს კატა...

კი, ცოტა მშიშარაა, ზანტია და მსუნაგი...
ვერც თაგვები იპოვა, ვერც იმათი ბუნაგი...
მაგრამ მაინც ყველაფერს ერთი გადაწონის–
ზარმაცი კი არა და კეთილია მგონი...

თინა იველაშვილი

კევის დამზადების ხალხური წესები სამცხე–ჯავსახეთში

კევი სხვადასხვა მცენარისაგან ხალხური ტექნოლოგიით დამზადებული საღეჭია. ერთი შეხედვის კევს თითქოს არავითარი კავშირი არ აქვს რაიმე დავადების მკურნალობასთან მაგრამ თუ ღრმად დაუკვირდებით მის გამოყენებას ადამიანის მიერ, აღმოჩნდება, რომ მისი მოხმარება მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის ცალკეული ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებაში.

„კევი ესე არს ხეთაგან გამონადენი ნოტიო რამე საცოხნელი ფისივითა ZA ესე მკვრის–კევი არს რეტინე, მასტაკი და რაჲც ხეთაგან სუნნელი გამოეწვეთების ესე მკვრის–კევი არს რეტინე, მასტაკი და რაჲც ხეთაგან სუნნელი გამოეწვეთების. 43, 11 დაბად. B. რეტინე, რომელსა ლათინურად ეწოდების რ ე ზ ი ნ ე ს, რომე არს მ კ ვ რ ი ს–კ ე ვ ი, ხოლო მ კ ვ რ ი ს–კ ე ვ ი ეწოდების ყოველსავე ნაწვეთსა ხეთაგან საკმე(ვე)ლთა სუ(ლ)ნელთა გინა მანანათაგანსა მას, რომელსა თურქნი გ ა ზ ა ნ(გ)ო ს უწოდენ C.

მანანათაგანია D. განუმარტავია E.“ როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, ქართული ენის განმსრტებით ლექსიკონებში კევი - რეტინე - მასტაკი განმარტებულია როგოდც ხის სურნელოვანი ფისი. მაგრამ არაფერია ნათქვამი არყის ხის ქერქისაგან დამზადებულ კევზე.

ინეზა კიკნაძე მიმოიხილავს რა ქართულ სიტყვარებში არსებულ ტერმინ კევუს განბარტებებს მკევისა და საღეჭი რეზინის სინონიმად ძველი ქართული ენის ლექსიკონებში დადასტურებულია რეტინე // რიტინე // რიტინ-ი (საბა, ნიკო ჩუბინაშვილი, დავით ჩუბინაშვილი, ილია აბულაძე). საბას განმარტებით, კევი „ესე არს ხეთაგან გამონადენი ნოტიო რამე საცოხნელი ფისივითა“. ახლავს მითითება ნ. მკურის-კევი. მკური // მკვარი ფიჭვის სანთელია; სანათიც. ხოლო მკურის-კევი „ესე არს რეტინე, მასტაკი და რაც ხეთაგან სუნნელი გამოეწვეთების“, და იქვე – ნ. რიტინი. რეტინე „ხის მანანაა, ხველებას არგებს, ტკბილია და მწვანე“; „რეტინე, რომელსა ლათინურად ეწოდების რეზინეს (რესინეს, რესინა), რომელ არს მკვრის კევი, ეწოდების ყოველსა ნაწვეთსა ხეთაგან საკმეველთა სულნელთა გინა მანანათაგანსა მას, რომელსა თურქნი გაზან(გ)ოს უწოდებენ. მანანათაგანია“. საბასავე მითითებით, რიტინი კულმუხია (ამ ფორმით იცნობს აღნიშნულ სიტყვას ქეგლი, უფრო ადრე – ნიკო და დავით ჩუბინაშვილები). კევის ხე იგივეა, რაც საქსაღაჯი // საღსაღაჯი. იგი გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მშრალ რაიონებში. ამ მცენარეს ყვავილიც აქვს და ნაყოფიც. ხის დასერილი ქერქიდან გამოიყოფა ტექნიკურად მაღალი ღირსების ფისი, რომელსაც საღეჭად ხმარობენ, დიალექტებში იგი სხვა სახელითაც არის ცნობილი. მაგ., ლუხუმა (ფშ.), ანდუზა (აჭარ., ინგილ.) იყენებენ სამკურნალოდაც. რეტინე // რიტინე ქართულში ბერძნულის გზით (ρητίνη) არის დამკვიდრებული, „სუნნელი ხის წებოა“. ილ. აბულაძე ძველი ქართული ენის მასალებში კევის მნიშვნელობით ასახელებს რეტინ-ი // რეტინე.”

კევის ღეჭვა დროის გარკვეულ პერიოდშია მიღებული. მთხრობელთა მითითებით, კევის ღეჭვა ყოველთვის არ არის სასარგებლო, მას ღეჭავენ საჭმელის მიღებამდე რამდენიმე ხნით

ადრე და საჭმელის მიღების შემდეგ გარკვეული ხნიდან. გარკვეული დროით კევის ღეჭვა ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის ნორმალურ ფუნქციონირებას. ამავე დროს ასუფთავებს საჭმელის ნარჩენებისაგან კბილებს, წმენდს პირის ღრუსა და ღრძილებს, რაც თავისთავად დადებითად მოქმედებს კბილების ჯანმრთელობასა და დიდხანს შენარჩუნებაზე. გავლენას ახდენს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, ყურადრების კონცენტრაციის, მახსოვრობისა და ცოდნის ათვისების უნარზე. ის ხელს უწყობს მოდუნებას და ყურადღების გადატანას. როგორც ირკვევა კევის ღეჭვას ხანგრძლივი ღეჭვის პროცესი მავნე ზეგავლენას ახდენს ქვედა ყბასაფეთქლის სახსრის მდგომარეობაზე, ამიტომ ამ სახსრის ანთების დროს ღეჭვა რეკომენდებული არ არის; ხანგრძლივი ღეჭვა ცვლის სახის ფორმას. სახე კვადრატული ხდება. იცვლება თანკბილვაც, ამიტომაც არ არის რეკომენდებული საღეჭი რეზინის გამოყენება საკვების მიღების შემდეგ 10 წთ-ზე ხანგრძლივად; საღეჭი რეზინი იწვევს კუჭის წვენის დიდი რაოდენობით გამოყოფას, ამიტომ, საღეჭი რეზინის ღეჭვა უზმოზე იწვევს გასტრიტის გაჩენას ან გამწვავებას.

ალბათ ეს აქვთ მხედველობაში მთხრობელებს როცა კევის ხანგრძლივად ღეჭვის შედეგებზე საუბრობენ. მათი მითითებით „განსაკუთრებით, ერიდებიან კევის ღეჭვას ღამით (მზის ჩასვლის შემდეგ). შესაძლოა ამგვარი აკრძალვის განსამტკიცებლად იქნა ხალხში შემუშავებული შეხედულება, რომლის მიხედვით „ღამით ვინც კევს ღეჭავს, ის თავისი ახლობლი მკვდრის ხორცს ღეჭავს“-ო.

სამცხე-ჯავახეთისის მოსახლეობაში კევს რომ ფართო გამოყენება ჰქონდა, ეს მისი მრავალსახეობიდანაც ჩანს. მას ამზადებენ და ნაწილობრივ დღესაც ამზადებენ სხვადასხვა სახის მცენარეებისაგან. შასაბამისად დამზადების ტექნოლოგიაც განსხვავებული იყო. გარკვეული ნაწილი მცენარეებისაგან კევად იყენებდნენ მზა ნახევარფაბრიკატს, ნაწილ მცენარეებს კი თერმულად ამუშავებდნენ. ამიტომ მოკლედ შევეხებით მათი დამზადების

ა) არყის კევი. არყის ხის ქერქი საკმაოდ ფენოვანია (რამდენიმე ფენისაგან შედგება) გაზაფხულით, როცა ხეში წყალი ჩადგებოდახეს ქერქს შემოაცლილიდნენ. იგი საკმაოდ ნედლია, რაც ფენებად დაშლას აძნელებს. ამიტომ გასაშრობად რამდენიმე ხანს

გააჩერებდნენ. გაშრობის შემდეგ გადანაჭერზე აშკარად ემჩნევა ფენები, ქერქს ფენაფენად დაშლიდნენ რაც მეტად შრომატევადი და რთული საქმე იყო. მოაცილებდნენ შიდა და გარე მხრიდან უხეშ ნაწილს, დარჩებოდაა მხოლოდ ქაღალდივით თხელი შუა ნაწილი, რომელსაც ვიწროდ, ბურბუშელასავით დაჩლიჩადნენ. ერბოთი დაასველებდნენ (ერბო ზომაზე უნდა ყოფილიყო. თუ ნაკლები იქნებოდა, მაშინ კევი მაგარი გამოვიდოდა და საღეჭად არ ივარგებდა; თუ ბევრი – რბილი გამოვიდოდა და ღეჭვის დროს კბილებზე ეკვრებოდა), წინდაწინ ცეცხლზე გახურებულ-გავარვარებულ ცარიელ თიხის ქოთანში ჩაყრიდნენ და „ცეცხლს ჩააგდებდნენ," ერბოთი დასველებული არყის ბურბუშელა ნელა იწვოდა ბოლისა და კვამლის გარეშე. ალი კი ცისფერი ჰქონდა. ბურბუშელა რომ ნორმალურად და თანაბრად დაიწვეს, ქოთანს რკინის ჯოხით ან ხის კოვზით ურევდნენ. დროდადრო სინჯავდნენ, არყის ბურბუშელა სულ დაიწვა თუ არა. იდროვებდნენ რომ დაწვა საკმარისია (ლურჯი ალი აღარ ასდიოდა) და ქოთანს წყლით სავსე ჯამში მოაპირქვავებდნენ და შავი მასა – კევი წყალში ჩავარდებოდა. მას ხელით დაზელდნენ. თუ კარგია (დამწვარი არ არის ან გამოუმწვარია – ნაადრევადაა გადმოღებული), მაშინ მისი დაღეჭვა უკვე შეიძლებოდა. არყის კევი შავი ფერის – მუქ ყავისფერში გარდამავალია, სასიამოვნო არომატისაა. [თ. იველაშვილი, 2020: 544].

კევის გამიხდისათვის თიხის ჭურჭელი

მისი „გამოხდა" ყველას არ შეეძლო, „ხელი უნდა სცოდნოდა". სოფელში ყოველთვის მოიძებნებოდა რამდენიმე ქალი, რომელმაც იცოდ ნენ „კევის გამოხდა". ვისაც არყის „ფურცელი" ჰქონდაა

შეგროვილი და გამოხდა არ იცოდაა. ის ასეთ პიროვნებას „მიიწ-ვევდაა“ კევის „გამოსახდელად“ ან იქით მიუტანდაა ერბოს, არყის ფურცელს და თავისავე სახლში „გამოახდევინებდა“.

არყის კევი ხმარების ხანგრძლივობით გამოირჩევა. შეიძლება „ერთი ღეჭა“ (კევის რაოდენობა, რომლის ადვილად დაღეჭვა შეიძლება) ერთ თვესაც კი გაჰყვეს ქალსა თუ ბავშვს.

გ) ფამფრის კევი. ფამფარა ხმობას რომ დაიწყებს, ღეროდან „რძე“ გარეთ გამოდის და ზედ ახმება ყავისფრად. ამ ყავისფერ მასას შეაგროვებენ და დაღეჭავენ. უმეტესად ბავშვები აგროვებენ და კევად ღეჭავენ. ღეჭვის პროცესში ეს ყავისფერი მასა ფერს იცვლის – თეთრდება და თან ხასდება (იწელება). ფამფარის კევიც ხანმოკლე, ფაქტობრივად ერთჯერადი ღეჭვისთვისაა განკუთვ-ნილი და მეორედ დასაღეჭად აღარ ვარგა.

ფამფრის კევი

დ) ნაძვის კევი ფისის სასარგებლო თვისებები არა მხოლოდ ხეებისთვის, არამედ ადამიანისთვისაც აქტუალურია. უნიკალური შემადგენლობის და სამკურნალო თვისებების ფართო სპექტრის გამო ნატურალური საშუალება მთელ მსოფლიოში უძველესი დროიდან არატრადიციულ მედიცინაში უამრავი დაავადების სა-პროფილაქტიკოდ და სამკურნალოდ გამოიყენება. ადამიანის ჯანმრთელობისთვის ფისის სარგებლის შესახებ ჯერ კიდევ ძველი ბერძნების მაცხოვრებლებმა იცოდნენ, რომლებიც ფისს სხვადა-სხვა საჭმლის მომნელებელი პროცესის დარღვევის დროს იყენებ-დნენ. გარდა ამისა, ეს სასარგებლო ნივთიერება ფილტვების და თირკმლების დაავადების, სხვადასხვა დაზიანების, რევმატიზმის და კანის ზედაპირის დაავადებების დროს ხშირად გამოიყენებოდა.

ნაძვის კუკური (დასაღეჭი).

ე) ფიჭვის კევი. ნაძვის ფისისაგან განსხვავებით, რომელსაც ყოველგვარი დამუშავების გარეშე იყენებენ კევად, ფიჭვის ფისს (რადგან ის შედარებით მწარეა) თერმულად ამუშავებენ. შეგროვილ ფისს გარკვეულ ხანს (ნახევარი-ერთი საათი) რძეში ჩახარშავენ, შემდეგ გადაწურავენ და გამშრალ ფისს ღეჭავენ. ფიჭვის ფისი რძეში ხარშვის დროს სიმწარეს კარგავს და სასიამოვნო გემო ეძლევა. ერთჯერადი საღეჭია.

დღევანდელი საღეჭი რეზინი შედგება რეზინის ფუძისგან, დამატკბობლებისა და არომატიზაორებისაგან. საღეჭი რეზინი ადრე მზადდებოდა ბუნებრივი რეზინის (კაუჩუკის) საფუძველზე, მაგრამ ეს რთული და ძვირადღირებული პროცესია, ამიტომ ახლა ამას არავინ აღარ იყენებს.

დღეს დამზადებული კევი ეს არის შაქრითა და სხვადასხვა სახის არომატით (საღეჭი რეზინის გემოსა და არომატის მისაცემად გამოიყენება კონსერვანტები, არომატიზატორები, საღებავები და შაქარი ან შაქრის შემცვლელები.) კარგად გაჟღენთილი პლასტმასის ელასტიკური ნაჭერი. მის შემადგენლობაში არსებული თითოეული ეს ინგრედიენტი თავისებურად უარყოფითად მოქმედებს სხეულზე და იწვევს ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემებს: ასე მაგალითად, შაქარი ქმნის ხელსაყრელ გარემოს პირის ღრუში პათოგენური მიკროფლორის რეპროდუქციისთვის, რომელიც გავლენას ახდენს კბილების მინანქარზე. სორბიტოლი და ქსილიტოლი გამოიყენება ტკბილი ფუძის შაქრის შემცვლელებმა. შეიძლება გამოიწვიოს კუჭის ტკივილი, შებერილობა და დიარეა. სუნამოების შუაგულში ყველაზე ხშირად გამოიყენება ისეთი ნივთიერებები, რომლებიც ახშობენ ლორწოვანს. ეს იწვევს პირის ღრუში წყლულების გაჩენას. საღეჭი რეზინებს უმატებენ

სპეციალურ ზეთებს, საიდანაც მსხვილი ბუშტები იბერება. პირის ღრუს კანთან შეხებისას ისინი პროვოცირებენ პერიორალური დერმატიტის განვითარებას. საღებავები ხშირად იწვევენ კანის ალერგიულ რეაქციებს... მათგან ყველაზე გავრცელებულია ჭინჭრის ციება

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ /ბუნემრივი - მცენარისაგან დამზადებულუ კევის გამოყენება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საკმაოდ იყო გავრცელებული. იყო და საკმაოდ სასარგებლოც გახლდათ. როგორც მოტანილი მასალა გვიჩვენებს, ტრადიციული წესით ნატურალური მასალისაგან - მცენარეებისაგან დამზადებული უშაქრო კევის გამოყენება ზრდის პირის ღრუში ნერწყვის გამოყოფას. რითიც, საკვების მიღების შემდეგ კბილებზე დარჩენილი ნადების მოცილებას უწყობს ხელს. გამოყოფილი ნერწყვი ანეიტრალებს ბაქტერიების მიერ გამომუშავებულ მჟავა ნივთიერებებს. ნერწყვში ასევე არის კალციუმი და ფოსფორი, რაც ხელს უწყობს კბილის მინანქრის გამაგრებას. ამავე დროს გასათვალისწინებელია: საღეჭი რეზინი მხოლოდ ჭამის შემდეგ უნდა დაღეჭოთ. 5-10 წუთზე დიდიხანს ღეჭვა რეკომენდებული არ არის.

რაც შეეხება დღეისათვის ქარხნულსდ დამზადებულ საღეჭ რეზინას, მას არაერთი უარყოფითი მხარე აქვს. მასში შემავალი ქიმიური დანამატები, რომლებიც ორგანიზმისთვის სასარგებლო ვერ იქნება. ეს ნივთიერებანი აღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს. კაუჩუკსა თუ პლასტმასის მასალით დამზადებული რეზინის ღეჭვა იწვევს ღრძილების სისხლძარღვების შესუსტებას, სისხლის მიმოქცევის გაუარესებას. რაც იწვევს ანთებითი პროცესების განვითარებას. უკიდურესად უარყოფით გავლენას ახდენს ზოგადად საჭმლის მონელებაზე. საკვები არ იღებს საჭირო რაოდენობის სითხეს და ფერმენტებს მისი გადასამუშავებლად, რც გასტრიტსა და წყლულის გაჩენას იწვევს.

ნიკოლოზ ოთინაშვილი
ცხინვალი, გორი

გეოგრაფიულ სახელთა მეტამორფოზა

2008 წლის ე.წ. ომიდან ცამეტი წელი გავიდა. ზემო ქართლის ხეობები ქართველებისგან დაიცალა, არავინ დატოვეს ადგილზე რუსებისა და ოსების შეიარაღებულმა ფორმირებებმა, თვით ოსებიც, რომლებიც ქართულ სოფლებში ცხოვრობდნენ.

დღეს, როცა ეს აყვავებული მხარე უდაბნოდ არის ქცეული, როცა გაჩეხილია ხილის ბაღები, განადგურებულია ვენახები, ძირიანად არის ამოყრილი კაკლის ხეები, დანგრეულია სახლები და საძირკველშიც კი არა ტოვებენ ქვებს, რომ იქ ქართველი კაცი აღარ დასახლდეს. ჩვენ ძმებს ვუწოდებთ მათ, რომლებმაც სწორედ გზა გაუხსნეს რუსებს და ჩვენი მიწა-წყლით შევიდნენ მათ ქვეშევრდომებად. თვით სეპარატისტები ჩვენ ძმებს არ გვიწოდებენ და საქართველო მიაჩნიათ ფაშისტების მხარედ, ჩვენ კი ვითომ ერთი უთვისტომო, ჩამორჩენილი ხალხი ვართ, რომ არავითარი ისტორია არ გაგვაჩნია.

როგორც ცნობილი ზაქარია ჭიჭინაძე წერს: „ოსების ისტორია მეტისმეტი სიბნელით არის მოცული, მათ არც თავისი ისტორია იციან, არც შემდეგ დროისა. ოსები მოვალენი არიან ზნეობრივად, რომ ქართველ ერს ისე უნდა უცქირონ, როგორც ძვირფას საუნჯეს. იგი წერს: „-1580 წელს ოსებში იქმნა სიყმილი ფრიად დიდი,

მრავალნი სწყდებოდნენ, ვინაითგან ოსები იკვებებოდნენ მდელოთი. მათ დიდად ავნო ბაღნარის ჭამამ, მრავალი დაიხოცა, დაუფლელნი დარჩნენ. როცა მშიერ-ტიტველი ქართლში მოსული ოსები სიმონ მეფის ბრძანებით დააპურეს, ასწავლეს თესვა, მისცეს ლოგინი, ტანსაცმელი, მიუჩინეს სახლის გაკეთების ალაგი, მისცეს ჭურჭელი და სხვა“.

ჩვენ, ქართველებს დაგვავიწყდა, რომ მოსული ირანელი ტომი, ხიზანი შეიძლება სულ სხვა გუნებაზე დამდგარიყო, სულ სხვა პრეტენზიები გასჩენოდა, ისინი ნელ-ნელა ეპატრონებოდნენ ქართველთა სამკვიდრებელს, სახელს უცვლიდნენ სახლსა და ნაკვეთს, მთა-ველს.

ეხლა გვიკვირს უმადურობა გუშინ მოსულისა, ეს არ არის მოულოდნელი და დაუჯერებელი. რუსეთში გაჩაღდა სამოქალაქო ომი - ოსები ჩვენ წინააღმდეგ ამოქმედდნენ, დაიშალა სსრკ, უფრო უარესი ქნეს ორჯონიკიძისა და კიროვის ბანდებში ჩართული იყვნენ ჩრდილო კავკასიელი ბანდიტები, რომლებმაც ქართველი იუნკერები დახოცეს კოჯორში, ტაბახმელაზე. მათგან აღსანიშნავია ვინმე ვანეევი, რომელიც მერე ცხინვალში ჩამოასახლეს, მისცეს კათედრა და გამოაცხო ე.წ. „გამოკვლევები“, რომ დვალები ქართველები კი არა, ოსები იყვნენ. ის უკვე ბოლშევიკი იყო და ვინ არ დაუჯერებდა? ჩვენებს კი პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული და ხელი შეუწყვეს, რომ ვინმე ჩრდილოკავკასიელ აიდაროვს წესრიგი დაემყარებინა ქართულ სოფლებში და დღეს მისი ძეგლი „ამშვენებს“ ფრონეს ხეობის ერთ-ერთ დასახლებას. ეტყობა დიდი წვლილი მიუძღოდათ ექსტრემისტებს, რომ ქართულ მიწა-წყალზე ოლქი შეუქმნეს, იქაც კი, სადაც მათ ჯერ ფეხიც კი არ დაედგათ. უფრო დიდი პრეტენზიები გაუჩნდათ და ტოლს არ უდებდნენ ქართველებს, რომ მოესპოთ ქართული ინტელიგენცია, თავად-აზნაურობა, დაენგრიათ ეკლესიები, რაზეც არის მრავალი ფაქტი. ქართველების მხარდაჭერით ანაქრონიზმად გამოაცხადეს ქართული გეოგრაფიული სახელები ცხინვალს სტალინირი უწოდეს, ე.ი. სტალინი ოსი არისო, რითაც მადლიერება გამოხატეს, რომ ოლქის შექმნას სტალინმა ხელი შეუწყო. ოქონას, ამ ძირძველ ტოპონიმს ზნაური უწოდეს, ეს ის აიდაროვია, რომელიც ზემოთ

ვახსენეთ და ფრონეს ხეობაში ქართველ თავად-აზნაურებს უმოწყალოდ ხოცავდა. ახალგორს ლენინგორი უწოდეს დიდი ბელადის პატივსაცემად, ჯავას ძაუს უწოდებდნენ. ოსი ექსტრემისტების პირად საუბრებში ხშირად იყო, რომ ამბობდნენ ყველას, ყველა სოფელს უნდა გამოეცვალოს სახელი, ეს ნიშნავს იმას, რომ ეს არის ოსეთის მიწა-წყალი, ოსური ენის მეშვეობით უნდა დაერქვას სახელიო. ეს ისე უნდა მოხდეს, რომ ვითომ მშრომელი ხალხის დიდი სურვილი იყო. არადა ორივე ლიახვის ხეობაში იყო ოცდაორი ქართული სოფელი, სადაც მხოლოდ ქართველობა ცხოვრობდა, ცხინვალი კი როცა სტალინირი უწოდეს, მხოლოდ რამდენიმე ოსური ოჯახით იყო წარმოდგენილი.

არსებობს ასეთი წიგნი „სამხრეთ ოსეთი წერილობით წყაროებში“, რომლის ავტორია ვინმე ზამირა ცხოვრებოვა. ის წერს: „ოსური წყაროებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ბროშურა სახელწოდებით, „სამხეთ ოსეთის მდინარეებისა და მთების ახალი სახელები“, რომელიც ცხინვალში დაიბეჭდა 1934 წელს. როგორც აქ აღნიშნულია, ფეოდალებისა და რელიგიისადმი მიძღვნილი ტოპონიმები უნდა წაიშალოს, რადგან ფეოდალები მშრომელი ხალხის მჩაგვრელები არიან, რელიგია კი არის ოპიუმი, ამიტომ ეკლესია ქართულია, ფეოდალებიც ქართველები არიან და, უნდა ამოიძირკვოს ახალი ოსეთის მიწა-წყალზეო.

ჩვენი მხარის შესახებ დიდმნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონი თავის „საქართველოს გეოგრაფიაში“, სადაც დასახელებულია შიდა ქართლის მთელი რიგი გეოგრაფიული სახელები:

დიდ ლიახვზე: კარალეთი, ახალდაბა, ფხვენისი, ხვითი, სალთვისი, ყელქცეული, თერგვისი, მეღვრეკისი, ერგნეთი, ფრისი, ნიქოზი, თიხრევი, ბოციჯვარი, წნური, ტბეთი, ქრცხნვალი, ლელისუბანი, თამარაშენი, სულ 50 სოფელი.

პატარა ლიახვზე: საცხენისი, ედემქალაქი, ბელოთი, აწრისხევი, ინაური, ჩაბარუხეთი, სულ 17 სოფელი.

გვერდისძირზე: აძვი, ქვეში, ფლავი, ფლავისმანი, იკორთა, ოტრევი, სულ 15 სოფელი.

ქსნისხევზე: იკოთი, წირქვალი, საძეგური, ალევი, მონასტერი, სულ 17 სოფელი.

სავახტანგოზე: ტირძნისი, ვანათი, მარალეთი, მეფარეთი, სულ 7 სოფელი და სხვა.

ასეთივე მდგომარეობაა იოანე ბაგრატიონის შრომაში „ქართლ-კახეთის აღწერა“ და სხვა ისტორიულ წყაროებში.

მიუხედავად ასეთი გამჭვირვალე ქართული ტოპონიმებისა, სეპარატისტები არ ისვენებდნენ და სამომავლო გეგმებს აწყობდნენ თავიანთ სასარგებლოდ, რასაც საქართველოს მთავრობა ხელს უწყობდა, რადგან იქ ყოველთვის იყვნენ არაქართულად მოაზროვნენი და ის ტრადიციები გრძელდებოდა, როცა უკანონოდ შექმნეს ე.წ. ოლქი და ეგონათ რომ ვითომ რაღაც საქმე გააკეთეს. სეპარატისტებმა განსაკუთრებული იერიში მიიტანეს გეოგრაფიული სახელების შემადგენელ ნაწილებზე: დიდი, პატარა, ზემო, ქვემო, შუა, ჩრდილოეთი, სამხრეთი, შეცვალეს ოსური სიტყვებით: დალლაგ, სტირ, გიწილ, ცაგათ, ხუსსარ, განსაკუთრებით აღიზიანებდათ გეოგრაფიული სახელების სახელობითბრუნვიანი სახელები და მოითხოვდნენ მის ამოღებას, მაგალითად; ზემო წირი - უნდა ყოფილიყო უალაგ წირ, ქვემო წირი - დალლაგ წირ, დიდი ღრომი - სტირ გრომ, პატარა ღრომი - გიწილ გრომ, დიდი გერი - სტირ ჯერ და სხვები.

თანხმოვანზე დამთავრებული ტოპონიმები მხარეში სახელობით ბრუნვაშია დამთავრებული, რომელთა ბოლოსართის მოკვეცა დაუშვებელია. გეოგრაფიული სახელი საკუთარი სახელია და ერთი ენიდან მეორე ენაზე უცვლელად უნდა გადავიდეს. ყოველივე ამის შესახებ ცხინვალში ქართულ გაზეთში მუშაობის დროს ორჯერ ვესაუბრე ზემოხსენებულ ზამირას, რომელსაც ოლქის ხელმძღვანელობაში მხარს უჭერდნენ და მას სასტიკი უარი განაცხადა, რომ ისე უნდა იყოს, როგორც ოსური ენით გამოითქმისო. უფრო მეტი, როცა მასალებს ვაქვეყნებდი პირდაპირ მოითხოვა, რომ ჩვენი წერილების დაბეჭვდამდე თურმე მას უნდა წაეკითხა, რადგან ე.წ. კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა და მისი კომპეტენცია იყო, დაიბეჭდებოდა თუ არა ვინმეს წერილები ჩვენი მხარის შესახებ.

ზემოხსენებულ სამხრეთ ოსეთის კვლევით ინსტიტუტში ოთხმოცამდე ადამიანი მუშაობდა და ყველა ოსი იყო, არც ერთი ქართველი, აი, რატომ არ იყო ქართული ელემენტები კვლევის ობიექ-

ტი. სწორედ ზამირა ცხოვრებოვა, თამარ კაბულოვა, ნაფი ჯუ-სოითი და მათი მიმდევარი ექსტრემისტების დამსახურებაა, რომ დვანის ფრონეს ზემო წელზე არსებულ საერისთაოს ცენტრი წორ-ბისი, სადაც უნიკალური ასომთავრულ წარწერებიანი ტუფის ქვები ტრაქტორმა ამოყარა, ჩამოვიტანეთ, წინააღმდეგობის მიუ-ხედავად კვლევითი ინსტიტუტის ვესტიბიულში დავალაგეთ, იყო ცოტა ხანს, მაგრამ ჯერ ეზოში გადაყარეს და მერე საერთოდ დაიკარგა. ამ ძეგლებმა ის ბედი გაიზიარეს, რაც ოლქის შექმნის შემდგომ ტბეთის, ბორცვისჯვრის უნიკალურწარწერიანმა ძეგ-ლებმა, როცა ისინი ფსიქიატრიულ საავადმყოფოს საძირკველში ჩაყარეს და ნაწილი კიდევ ჩანდა, რომელსაც დანანებით ვუცქერ-დით, მაგრამ ძალა არ გვქონდა, რომ ისინი იქიდან ამოგვეღო.

აი, ესენი იყვნენ სწორედ ოსი ექსტრემისტების ფარული ლიდერები, რომლებიც სულ სხვა რამეს ლაპარაკობდნენ საქართ-ველოს მთავრობის წევრებთან, აკადემიაში, თბილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტში და სხვაგან, მაგრამ საშინლად სძულდათ საქართველო და ქართველები.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე გეოგრაფიული სახელწოდებები ნაკლებად არის შეცვლილი, მართალია ნასოფლარებიც არის, მაგ-რამ სხვა მხარეებთან შედარებით ნაკლებია. ტოპონიმთა მდგრა-დობას ხელს უწყობდა მოსახლეობის თითქმის ერთგვაროვანი ერ-ოვნული შემადგენლობა, აბორიგენი მოსახლეობის სტაბილურობა. ტოპონიმთა ცვლილება უმთავრესად შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში მოხდა, კერძოდ მაღრან დვალეთში, მაგრამ იქ ძირითა-დად შეცვლილია მიკროტოპონიმია, მაკროტოპონიმიამ დროს გაუ-ძლო, რაც დვალური მოსახლეობის ქართველობაზე მიუთითებს.

ტოპონიმების ცვალებადობაზე წარმოდგენას გვაძლევს მო-სულთა მიგრაციული პროცესები. მათი წარმოშობის სახელები ძირითადად სამეურნეო ხასიათისაა, დიდი ნაწილი ერთფუძიანი სახელებია, ხშირია მათ გვერდით ქართული შესატყვისები, რაც შეიმჩნევა ხეობათა, მდინარეთა სათავეებში, მაგრამ პოლიტი-კურმა მოვლენებმა არც მათ დააყარა კარგი დღე. მთლიანად არის გაშიშვლებული პატარა ლიახვის, დიდი ლიახვის, ქსნის, ლეხურის, მეჯუდის სათავეები, სადაც მოსახლეობა საერთოდ აღარ არის.

ბევრი გეოგრაფიული სახელი წარმოშობილია ქართული და ქართველური ენების ლექსიკით, მაგალითად: კუცხოეთი, ჩხორეთი, საძეგური, საცხენეთი, ლაგური, ლარგვისი, გერი, ლომისა, ისროლი, ფაჩერი, ფრისი, წიფური. ასეთი მაგალითები ბევრია, რომელთაც ყოველნაირად ამახინჯებენ.

აქვე ვიტყვით, რომ მიუხედავად გამოქვეყნებული მთელი რიგი სტატიებისა, ნაშრომებისა, სამომავლოდ უნდა გავითვალისწინოთ კონკრეტული მდგომარეობა, მათ შორის მნიშვნელოვანია არქეოლოგიური ძეგლების, საკულტო, სამხედრო დანიშნულების (თავდაცვითი) მნიშვნელობის ნაგებობების, ნასოფლარების, თანამედროვე დასახლებების განლაგება-შედარება. გათვალისწინებული უნდა იქნას საკულტო ნაგებობების თავდაპირველი სახე, ხნოვანება. ძველი ტოპონიმების კვლევისას ერთ-ერთ აუცილებელ პირობად უნდა ჩავთვალოთ ისტორიული გეოგრაფიის საკითხების გათვალისწინება, დასახლების ისტორია, მიგრაცია, კულტურული ნიმუშების თავისებურებანი, რასაც ყოველნაირად გაურბიან ჩვენი ოპონენტები.

რისთვის სჭირდებათ გეოგრაფიული სახელწოდებების ტრანსფორმაცია? ქართული სახელების წაშლა, მხოლოდ ერთი მიზნისათვის სჭირდებათ, ეს არის ქართველობის ისტორიული მემკვიდრეობის ძირითადი არგუმენტი, კულტურული წარსულის მნიშვნელოვანი წყარო, რაც ცივილიზებული ძეგლებია, რაც ახალ სახელთა წარსულს ჩრდილავს.

მომავალში უნდა შედგეს ენციკლოპედიური ცნობარი, რაც იქნება მეცნიერული დოკუმენტი შიდა ქართლის, მათ შორის დვალეთის გეოგრაფიული სახელწოდებისა. ყოველივე ეს კი იქნება გეოგრაფიულ და კულტურულ მონაპოვართა სისტემატიზაცია, მათი შემდგომი დაცვა-განვითარების მიზნით.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

შევისწავლოთ ჩვენი მხარე

ფრონეს ხეობა

მოპოვებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ფრონეს ხეობა უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული. ამას მოწმობს მატერიალური კულტურის ნაშთები, მათ შორის დვანის ფრონეს სოფელ ყორნისში აღმოჩენილი ბრინჯაოს იარაღები, შუბის წვერები, ისრის პირები, სატევრები, კეთილშობილი ლითონები და სხვა. აქვე არის ნასოფლარები, საფორტიფიკაციო ნაგებობები, რაც ადასტურებს ხეობაში კულტურულ მშენებლობას.

დვანის ფრონეს ხეობაში მდინარეს ორი მტილიანა შეერთვის მარცხნიდან, პირველი სოფელი ავნევში შეერთვის ფრონეს, ხოლო მეორე ისიც მარცხენა მხრიდან სოფელ ყორნისში, რომელიც ხეობის ჩრდილოეთით მდებარეობს. ყორნისი ამ ორი მდინარის შესართავშია ლოკალიზებული, თუმცა ჩრდილოეთით კიდევ არის ორი ნასოფლარი, რომლებიც ასევე ამ სოფელში შედიოდა. ამ ნასოფლარებში არის კოშკები, რომელთაგან სამი მათგანი კარგად არის შემონახული, გადმოცემით აღნიშნული დასახლებები ლეკიანობის დროს არის განადგურებული; ვახუშტი თავის „საქართველოს გეოგრაფიაში“ აღნიშნავს: „ყორნისს არს ქვაბნი კლდისანი და კოშკოვანი, გარნა შემუსრეს ლეკთა“... ეს მომხდარა ძირითადად მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში. ამ მდიდრულ დასახლებას განსაკუთრებით მტრობდნენ ჩრდილოკავკასიელი დამპყრობლები, რომლებსაც გზა გახსნილი ჰქონდათ (ნებართვა ერეკლეს ხელისუფლებისაგან), რითაც სარგებლობდნენ და ნებით თუ უნებართვოდ აქ სახლდებოდნენ, ყორნისში სულ რვა კოშკია, რომლებიც კლდის ქვითა და დუღაბით არის ნაგები, ფორმით სწორკუთხოვანია, დახვეწილი არქიტექტურით გამოირჩევა, ისინი ძირითადად ოთხ-ხუთსართულიანებია, ყველაზე შთამბეჭდავია შვიდსართულიანი, რომელიც სასახლესთან არის აღმართული და იშვიათ ნაგებობას წარმოადგენს.

ვახუშტი ბაგრატიონს 1745 წელს შედგენილ რუკაზე სოფელი ყორნისი, კოშკი და სასახლე სათანადო ნიშნებით აქვს დატანილი, როგორც ჩანს დასახლება სათანადოდ ყოფილა გამაგრებული, რაც წყაროებითაც დასტურდება.

სეხნია ჩხეიძის გამოკვლევით XVII საუკუნის ბოლოს ქართლის კანონიერ მეფეს გიორგი XI-ს სამეფო ტახტს ეცილებოდა კახელი ბაგრატიონების შთამომავალი ერეკლე პირველი (ნაზარალიხანი), რომელიც თუშეთიდან ირანს წავიდა და იქიდან გამაჰმადიანებული დამხმარე ძალებით მოვიდა შიდა ქართლში. კანონიერ მეფეს მხარს უჭერდნენ ძლიერი ფეოდალები ამილახვრები, ფალავანდიშვილები, რომლებიც ლაშქრით ეხმარებოდნენ მეფეს. ძალები არათანაბარი იყო, რის გამოც მეფე გიორგი ირანს წავიდა შაჰის გვარდიის უფროსი გახდა.

XVIII საუკუნის შუა წლებში ირანის წინააღმდეგ ამხედრებული დიდი სარდალი გივი ამილახვარი ამაგრებს მთელ ფრონეს ხეობას, რომელიც მიუვალ საქართლის ციხეში ჰქონდა რეზიდენცია. ხეობა ვერ დაიმორჩილეს ირანის რჩეულმა ძალებმა. ერთ-ერთ ბრძოლაში გივიმ დაამარცხა ირანელები, რაც მისივე წერილშია აღნიშნული, მაგრამ მისი ძმა მტერს შეაკვდა, რაც ამავე უსტარშია მოთხრობილი.

1759 წელს ყორნისში მოხდა დიდი ბრძოლა მეფე ერეკლესა და დაღესტნელებს შორის, სადაც ქართველებმა გაიმარჯვეს, შემდგომ 1763 წელს მამა-შვილმა თემურაზმა და ერეკლემ ლეკთა ჯარი მთლიანად გაწყვიტა ყორნისში.

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ყორნისი წარჩინებული გვარის ხერხეულიძეთა სამკვიდრო ყოფილა, რომლებიც სამეფოს ერთგულებით გამოირჩეოდნენ. როგორც მემატიანე პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანში“ მოგვითხრობს XVIII საუკუნის 80-იან წლებში ლეკთა დიდი ჯარი ფრონეს ხეობას თავს დასხმია და დირბის ციხის აღება უნდოდათ, მაგრამ ციხის მცველებს განთქმული მეომარი იოანე ხერხეულიძე დახმარებია თავისი მომხრეებით და როგორც წყაროში აღნიშნულია: „ამას გაემაგრებინა, ძალა მიეცა ვითა შევარდენთა გუნდნი ტრედთანი, ეგრე დაფანტეს ჯარი ლეკთანი, წამობრძანდნენ გამარჯვებულნი“...

ნიკოლოზ ბერძენიშვილის ნაშრომში „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან (ტ. I) ვეცნობით, რომ 1743 წელს ხერხეულიძეების ყმები სოფელში იყვნენ მაისურაძეები, რომლებიც მთიელთა ხშირი თავდასხმების გამო ბარის სოფლებში ავნევში, სუნისში და სხვაგან გადასულან და იქ ნელ-ნელა ოსური მოსახლეობა ძალით თუ ნებით მკვიდრდებოდა.

ხერხეულიძეებს მეფის კარზე მთელი რიგი თანამდებობები ეკავათ, ესენი იყვნენ: ავთანდილი, აღათანგ, ბეჟან, გიორგი, დავით, თეიმურაზ, ჯამასპი და სხვა ხერხეულიძეები, რომლებიც შიდა ქართლში ჩანან XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან და გმირობის ფურცლები ჩაწერეს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში. მათ მამულები ჰქონდათ შემდეგ სოფლებში: ყორნისში, წორბისში, ავნევში, დირბში, საციხურში, ცხინვალში, ნიქოზში, ერგნეთში, ტბეთში, ლარგვისში და სხვა ადგილებში, რომელთა ისტორიის გამოვლენა ჩვენი მოვალეობა უნდა გახდეს.

არამგამა

გეოგრაფიული სახელწოდებები არის მრავალმხრივი, რომელთა საშუალებით დგინდება ბევრი ისტორიულ-გეოგრაფიული, ასევე ენობრივი საკითხი. მართალია ბევრი ერთეული აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, მაგრამ ჭეშმარიტებას წინ ვერაფერი დაუდგება.

ფრონეს ხეობის გეოგრაფიული სახელწოდებები ძველია, ზოგი კი ქრისტიანობამდე არის წარმოშობილი, რაზედაც თვით სახელწოდების წარმოშობა მოგვითხრობს. ზოგმა განიცადა ცვლილება, დღეს განსხვავებული ფორმით გვევლინება, ამიტომ მათი კვლევა დღეს აუცილებელია.

ფრონეს ხეობაში (ფცის ფრონე) ერთ-ერთი ძველი გეოგრაფიული პუნქტია არამგამა, რომელიც მდინარის მარცხენა მხარეს მთის დამრეც კალთაზე მდებარეობს, რომელიც ამავე დროს მთა ლებეურის განშტოებაზეა ლოკალიზებული. ვახუშტი „საქართველოს გეოგრაფიაში“ აღნიშნავს არამგამას და 1745 წელს თავის

მიერ შედგენილ რუკაზე მდინარის მარცხენა მხარეს აქვს აღ-ნიშნული ეკლესიის - ჯვრის ნიშნით.

არამგამას ვრცელი, მშვენიერი, წყლის რესურსებით მდიდარი ადგილები მთისა და ბარის ნამდვილი სიმბიოზია და ინტენსიური მეურნეობისათვის დღესაც ხელსაყრელია, მაგრამ ყველაფერი უკუღმართი დროის გამო, რასაც პირველ რიგში პოლიტიკური მომენტები უდევს საფუძვლად, წყალში ჩაყრილია.

„1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთრის“ მიხედვით ამ დროს არამგამაში ცხოვრობდნენ: სამსონაშვიელები, დვალები, იობაშვილები, აჭარაძეები, ასევე სხვა გვარის ადამიანები, რომელ-თა ნაკვალევი დარჩენილია ტოპონიმიაში. დღეს დასტურდება „პაპუნაანთ ტბა“, რომელიც იყო სათევზაო ადგილი, „პაპუნაანთ ახო“, პაპუნაშვილების გვარის მიხედვით. აქვე უნდა ითქვას, რომ დღეს გორის სოფელ შინდისში ჩამოსახლებულმა პაპუნაშვილებმა კარგად იციან თავიანთი ძველი საცხოვრისი და წლების წინათ კიდეც ადიოდნენ იქ, მაგრამ პოლიტიკური მოვლენების გამო იქ ველარ შედიან. არამგამა და ახალშენი გვერდიგვერდ იყვნენ და ყოველივე ამას აღნიშნავს ზემოხსენებული დავთარი.

ძველი არამგამის მოსახლეობა ხშირი თავდასხმების გამო ამო-წყვეტილია, რის გამოც აქ დამკვიდრებულან შემდგომ კასრაძეები, ხუციშვილები, ფეხშველაშვილები, სადღობელაშვილები, რომელბ-მაც დიდი სამეურნეო კერა შექმნეს სოფელში და ერთ-ერთი მოწინავე იყო ხეობაში.

ასევე მთელი რიგი პოლიტიკური მოვლენების გამო ამ გვარის ადამიანებმაც მიატოვეს სოფელი და სხვაგან გადასხლდნენ, მათ შორის ზოგი მდინარის მარჯვენა მხარეს, სადაც გზა გადის და ახლოს არის ბარის სოფლებთან. სოფელს დღეს ახალშენი ეწოდე-ბა, ხოლო არამგამა დარჩა ძველ ადგილას, რომელიც დღეს ტყე-ბუჩქნარით არის დაფარული და ძლივს ემჩნევა, რომ აქ ქარ-თველობა სახლობდა.

დღეს ახალშენის მოსახლეობაში ასეთი გადმოცემა არსებობს - ვითომც არამგამაში ვიღაც უცხო კაცი მოსულა, სოფელი მორიდებია უცხო კაცს, მგელი არისო. მეორე ვარიანტით იმ მოძალადე კაცს სოფლისათვის ზარალი მიუყენებია და ხალხს უთქვამს - არამი გადმოდგა შენზე ჩვენი მამულიო, არის სხვა გადმოცემებიც.

სულხან-საბა ასე განმარტავს: „მგამა მეზრუნება“ ხოლო ამ ახსნას მისი ლექსიკონის სხვა რედაქცია - მგლის სიტყვას უმატებს - „მგამა მეზრუნება მგლის“.

ძველ ქართულში „მგლის“ იმავეს ნიშნავს, რაც მგამა, ამის საილუსტრაციოდ მეტყველებს „შუშანიკის წამება“, სადაც აღ-ნიშნულია, რომ ვარსქენმა დიდი ტანჯვა მიაყენა შუშანიკს, ხოლო როცა მცველებს ჰკითხა მისი ყოფა, მათ უთხრეს - უფრო სიკვ-დილის პირი უჩანსო, რაზედაც მოღალატემ მრისხანედ მიუგო - „ნურაი გგლიან უტე მოკუდესო“... აქედან ჩანს, რომ სიტყვა მგლის - მგლიან კარგად გადმოგვცემს არამგამა ზმნის მნიშვნ-ელობას და სინონიმური სიტყვებია.

„მგამა“ სიტყვა ძეგლებშიც გვხვდება, სახელდობრ „ამირან-დარეჯანიანში“, „ვისრამიანში“, „ვეფხისტყაოსანში“ და სხვაგან, რაც ფრონეს ხეობაში ასეთი ლექსიკური ერთეულის დადასტუ-რება არ უნდა იყოს არაჩვეულებრივი ფაქტი, რადგან ქართული ტოპონიმიის ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლია ხეობაში, რომელთა გამოვლენა ჩვენი ვალია.

ნათელა ცისკარაძე

ქვასაც გული აქვს

„ამ კაცს ქვასავით გული აქვსო“, „თუ ქვას ხელი მოუჭირა წყალს გამოადენსო“... ხალხური ნათქვამია. ეს ისეთი შეუვალი სიბრძნეა, ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ პიროვნებას ძვრას ვერ უზამ და უსიტყვოდ დამორჩილდები. ქვა, უძრავი ლოდი! ისეთი მოულბობელი და ისე უძრავია, მასთან ვერაფერს გააწყობ. რომ იტყვიან, გაქვავდაო, წარმოგიდგება რაღაც უმძიმესი უბედურება, რომლითაც თავზარდაცემულ ადამიანს გადაეკეტება გრძნობათა სადინარები და მორჩა. ვერაფერს ვერც აგრძნობინებ, ვერც დაანახვებ, ვერც გააგონებ და ვერც ვერაფერს განაცდევინებ. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილზე ქართველ კაცს უთქვამს: „გაქვავდა, დანა რომ დაარტყა სისხლი არ გამოუვაო“.დიახ, ცოცხალი ადამიანი ქვად იქცევა-თუნდაც ხანჯალი აძგერო, სისხლი არ გამოუვა. არის ასეთი მომენტები ადამიანის ცხოვრებაში. ასეთ დროს ადამიანი ნამდვილად ქვად იქცევა, ანდა, პირიქით-ქვა ეს უსულგულო, ცივი ლოდი, უძრავი და უმოძრაოა, ადამიანურ გრძნობას იძენს. აკი ასეთ გრძნობათა ჭიდილში იშვა „ქვათა ღაღადი“ და დღესაც საქვეყნოდ ღაღადებს სიმართლეს. თუნდაც აი, ჩვენ თვალწინ მადლიანი კაცის ნათქვამით ვულკანური ძალით აბობოქრებული დაბა ასპინძის დეკორატიულ სკვერში ადამიანურ გრძნობად ქცეულა თვალს გტაცებს, გულს გიხარებს, გიზიდავს... ამ ლოდს ერთი პატარა უმნიშვნელო ადგილი დაუკავებია დაბის ცენტრში და იღვრება სიცოცხლის სიმფონიად, მოჩქეფს წყალი მისი გულიდან და ბავშვივით რაღაც გიხარია, მოდი და ასეთ დროს იტყვი-ქვა ადამიანად ქცეულა. ქვას კეთილი ადამიანის გული ჩაუდგამს და სიკეთის ენაზე მოჩუხჩუხებს და მოიმღერისო... ვინ იცის, რას ეტყვის ეს ქვა მომავალ თაობებს?

-ქვა, ლოდი, ტლანქი, ცივი, მუნჯი და უძრავი!...

-ქვა, ლოდი, ფაქიზი, თბილი, მეტყველი და გულიანი!...

დამიჯერეთ! არის ქვა, ლოდი ფაქიზი, თბილი, მეტყველი და გულიან...

ყველას გიმგზავრიათ ვარძიისკენ. თმოგვის ციხეს რომ გაუსწორდებით, იქ, სადაც ციხის სიმაღლიდან ქვევით დახურულ გვირაბს კიბეები ჩაუყვება მტკვრამდე, ეს საინტერესო ნაგებობა დღეს ნაშთადაა შემორჩენილი. არ გეგულება, მითუმეტეს მეგზური, რომელიც არ შეჩერდეს ქარფის კიდესთან, არ მივიდეს ახლოს, კიდევ ერთხელ არ გადაიხედოს, არ მიანიშნოს თანამგზავრს კაპნებზე-კლდეში ნათალ საფეხურებზე, რომელზეც ერთი პოეტისა არ იყოს, რუსთველის გულით, ვახტანგის გულით, თამარის გულით, სულხანის გულით, ქართველი ერის უკვდავი ნაბიჯით რუსთველის სისხლმა, ვახტანგის სისხლმა, თამარის სისხლმა, სულხანის სისხლმა მჩქეფარე სიცოცხლით გამოიარა და მოაღწია ჩვენამდე. ჩვენ დღეს ვამაყობთ ამით. მერე?.. მოვტრიალდებით და ფეხით გავივლით მანძილს ორ უზარმაზარ ლოდს, შუა. ამ გზის ორივე მხარეს აღმართულ ორ ლოდს, როგორც ორ შემართულ ხმალხანჯალს, გაუტარებია ქართული ლეგიონები სამშობლო ქვეყნის გადარჩენისათვის. ამ ორ ლოდს, როგორც ორ შემართულ ხმალ-ხანჯალს, ბრძოლისა და თავგანწირვის ჟინით აღუვსია გიორგი სააკაძე. ამ ორ ლოდს ცხენდაცხენ ხმალშემართული თავს გადაევლო სპარტაკ ბაღაშვილი „არსენაში“ და ვინც კი ერთხელ მაინც ნახა ეს ფილმი, მის გონებაში უკვდავებად დარჩა არსენა ოძელაშვილიც, სპარტაკ ბაღაშვილიც და ეს ორი ლოდიც. დიდება რეჟისორს, რომელმაც ეს ორი ლოდი მრისხანე „ბრძოლის წინ“ ვაჟკაცური შემართების ფონად გამოიყენა!...

ქვა მარტო ქვა როდია, ქვასაც გული აქვს. ამ უშველებელ ლოდებს გზის ორივე მხარეს, გზას რომ შუაზე ატარებენ და ასე ლამაზად დარაჯობენ რაღაც ჟინით, უკვე საკუთარი ბიოგრაფია აქვთ. ჩვენმა სასიქადულო მამულიშვილმა რეზო ჩხეიძემ კინოფილმში „მშობლიურო ჩემო მიწავ, ანუ რაიკომის მდივანი“ ვაზის სანერგის აჩეხვით თავზარდაცემული რაიკომის მდივანი გიორგი თორელი აქ გაატარა, მერე ამავე რეზო ჩხეიძემ ერის მოღალატე პიროვნება ვაზის ამჩეხი, ლოდივით დამუნჯებული, ფილმში უგვარ-სახელოდ შემოყვანილი, აქ შერისხვა თემურ ჩხეიძის

სიტყვებით: - „წადი, გაეცალე ამ ხალხს, შენ ამათთან არავითარი საერთო არ გაქვს!“ გაქვავებული ხალხი, სიკეთისა და სიავის ზღვარზე ამ მდუმარე ლოდებს შორის უსიტყვოდ, ურეაქციოდ იშლება და ეს ყველაფერს ნიშნავს...

ეს მდუმარე ქვები ისტორიას შემორჩა, როგორც გადასული ამბების უტყვი მოწმენი.

მიდიხარ ვარძიისკენ, თმოგვის პირდაპირ ჩერდები, თვალი მტკვრის ძირამდე კაპნებზე ჩამავალი კიბეებისაკენ გაგირბის. მერე? მერე ვერ ძლებ, უნებლიედ ამ უტყვი ლოდებისკენ ფეხით მიეშურები, ასე იყო გუშინაც. ნიალის-იგივე ვაიოს ველებისაკენ რომ მივემგზავრებოდით და შებინდებისას გამოვლილმა ამავე ადგილს რომ მივუახლოვდი, გავქვავდი, დანა რომ დაგერტყათ, სისხლი ნამდვილად არ გამომივიდოდა... გავშრი, გავხევდი. ამ ორ ლოდს, შოთა რუსთაველის საიუბილოდ გზის გაფართოებისათვის თავწაკვეთილს და დაშაშრულს ვეღარ იცნობდით. თავწაკვეთილთ მივუახლოვდი. იმ დღეს მუშებს მათი ბოლომდე აღგვა ვერ მოესწროთ. გაოგნებული ვიდექი დაშაშრული ქვების წინ და ნახევრად გადარჩენილი ლოდები მზარავდა, შველას მთხოვდნენ. ვიდექი აფეთქებულთა შორის და არ ვიცი, მომეჩვენა თუ სინამდვილე იყო, თავწაკვეთილი ლოდების დაბზარული მკერდიდან სისხლმა ამოჩქეფა და ეს სისხლი ისე მეტკინა, გონი დავკარგე. აი, თურმე როგორ იქცევა ქვა ადამიანად. ქვის გულიდან ამოხეთქილი სისხლით ვიწამე, რომ ზოგ ქვას გული აქვს თურმე, ნაზი და თბილი, ზოგ კაცს კი გულის ნაცვლად ქვა უდევს, ცივი და უძრავი. სადა ხარ, ქვის გულიანო კაცო, ლოდებს შორის შესარისხო კაცო?!

გვიან მინაწერი, ანუ ცხელ გულზე დაწერილი წერილის-„ქვასაც გული აქვს“ - თემის სიცხადისათვის: 1966 წლის 10 სექტემბრისათვის რომ დაინიშნა მსოფლიო მასშტაბით რუსთაველის 800 წლისთავისათვის იუბილე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ერთი წლით ადრე შეიმუშავა მისი აღნიშვნის გეგმა. ამ გეგმით რიგი საკითხების მოგვარება დაევალა ადგილობრივ მმართველობებს. გზებისა და გზისპირების კეთილმოწყობის სამუშაოებს აწარმოებდა №-739 რეგიონული საგზაო უბანი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბატონი ალექსი ბექაური. მათ გზის გაფართოების მიზნით ვარძიამდე თმოგვის ციხის პირდაპირ გზის ორივე

მხარეს არსებული სამ მეტრამდე სიმაღლის ბუნებრივი ლოდების აფეთქება დაგეგმეს. ამ ლოდებს შორის გადიოდა სამანქანო გზა და ამ პანორამას ისე ერწყმოდა, სპეციალურად მოწყობილი გეგონებოდა. აქ ამ მონაკვეთზე, უამრავი გადმოცემა, ლეგენდა და თქმულებაა ჩვენამდე მოღწეული. ამ ლოდებს შორის ფეხშიშველმა გაიარა მეფე თამარმა, ბასიანის ომის წინ მხედრიონი ვარძიაში რომ დალოცა. აქ, ამ ადგილზეა თქმულება სარგის თმოგველის მოღალატე ცოლის შესახებ. მტრის ასეთი ხრიკები ქართველ ხალხზე მტრების ძალმომრეობის სიმბოლოდაა ქცეული. დღეს ქვეყნის ბედნიერების მძებნელმა კაცმა სრულიად კანონზომიერად სამცხე-ჯავახეთში, აქ, ვარძიასთან, ნაკამარალზე შეიცნო ქვეყნის ბედნიერება. ამით მან ერთხელ კიდევ გვაგრძნობინა ჩვენი სიდიადე და სიამაყე. და ასე იყო მაშინაც, გაზაფხულის ლამაზ დღეს, როცა დილაადრიან ნიალისკენ გამგზავრებულმა ამ ლოდებს შორის გავიარე და ამ ისტორიულ ქვა-ლოდებს შორის, როგორც ყოველთვის, ახლაც ბედნიერების განცდა დამეუფლა და მთელი დღე მდევდა. გვიან მოვბრუნდი იმავე გზით და უცებ თვალში მეცა დაშაშრული, თავწაკვეთილი ლოდების ანახეთქები, შემზარავ გვამებად რომ მოჰფენოდა იქაურობას. ირგვლივ ჭაჭანება არ იყო. შემოვედით თმოგვში, ნაქალაქევში, მაგრამ მოხელეთაგან ვერავინ ვნახეთ. ხალხმა კი მითხრა: მთელი დღე აფეთქებების ხმა ისმოდა, გზას აფართოებენო. მივედი რედაქციაში, სადაც მორიგეები და გამზადებული ნომერი ვიზის მისაცემად მელოდა. გვერდში ცვლილებაა-მეთქი, ვთქვი და ჩემს სამუშაო მაგიდას მივუჯექი. რუბრიკა „გულნატკენის სტრიქონები“, სათაური- „ქვასაცა გული აქვს“... ვწერდი სტრიქონ-სტრიქონ, გაზეთის ხელით ანაწყობების სვეტები პირდაპირ გვერდში ლაგდებოდა. განთიადზე ახალი ნომერი, ამ ახალი ვარიანტით დაიბეჭდა. დილაადრიან გზატკეცილების რეგიონული საგზაო უბნის უფროსი ალექსი ბექაური, რომელსაც ღამითვე ეუწყა, რედაქციაში მოვიდა. პირად მდივანს მზია დოლიშვილს სთხოვა გაზეთი. მან ათ ეგზემპლარზე მეტი გადაუთვალა: -აჰა, წაიღეთ, წაიღეთ და წაიკითხეთო. ბატონმა ალექსიმ მორიდებით უთხრა მზია დოლიშვილს: გამიღე კარი, შვილო, გამარიდე აქაურობას. ეს ქალი უსამართლოდ არაფერს

დაწერდა. ძალიან დიდ პატივს ვცემ მას და უნებლიედ ურიგო რამ არ წამომცდესო...

დილის 9 საათზე რაიკომის მდივნის პირდაპირი ტელეფონის ზარი გაისმა. ბატონი თეიმურაზ მოსიაშვილი, რომელიც სულ რამდენიმე თვის მოსული იყო რაიონში პირველ კაცად, მეუბნება: ქალბატონო ნათელა, მე უკვე ვიცნობ რედაქციის ყველა თანამშრომელს და ეს ც.ნათელაშვილი არ ვიცი ვინაა, მითხარითო... მივხვდი, რის შესახებაც უნდა ეთქვა მდივანს და არ მოვერიდე-ეს მე ვარ, ბატონო თეიმურაზ, „ც.ნათელაშვილი“ ჩემი ლიტერატურული ფსევდონიმია.

- ბმდაა..., მაგრამ, ქალბატონო ნათელა, ასე წერა როგორ შეიძლება?! ხომ უნდა გაითვალისწინოთ, რა დაემართება ამის წამკითხავ ადამიანს, რომელსაც ქვაზე უფრო თბილი გული აქვს?..

- ბატონო თეიმურაზ, წერილში თბილგულიანებზე კი არა, ქვაგულიანებზეა ლაპარაკი...

- კარგი, კარგიო! – ყურმილი დადო.

და მოხდა საოცრება. საქმის გასაგრძელებლად მუშები დანაღმულ ადგილზე დილაადრიან რომ მივიდნენ, ადგილზე საგანგებოდ ჩვენ მიერ გაზეთ „ასპინძის“ ახალი ნომრის ეგზემპლარები ქვებზე დაფენილი დახვდათ.

- ქვასაც გული აქვსო?! - კვირობდნენ მუშები თავწაკვეთილ ლოდებს ეფერებოდნენ, ანახეთქებს ხელის კანკალით, ფაქიზად ალაგებდნენ და გუშინდელის გამო ბოდიშობდნენ: - ჩვენ, რაც გვითხრეს, ის ვაკეთეთ, ჩვენი ბრალი არ არისო და, მართლაც, მათი რა ბრალია?! ისინი კომუნიზმის ხარაჩოებზე პომპეზური ყოფის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ პოეტის დღისრუსთაველის, დღის-შოთაობის დღესასწაულის აღსანიშნავად გზას აფართოებდნენ.

ახლა ამ ადგილზე შემოგვრჩა ისტორიის ქარ-ცეცხლ გამოვლილი, თავწაკვეთილი ლოდები. თუ რას მიგვანიშნებს ეს, უკვე თვალსაჩინოა. თუმცა მისი განსჯა აქ გამვლელებისთვის მიგვინდია. ისე კი, თუ სიტყვას თმოგვ-ნაქალაქეველებს ჩამოვუგდებთ, ისინი პოეტის 800 წლისთავის ზეიმის შესახებ გიამბობენ და ამ ქვალოდების გადარჩენის შესახებ რედაქციისა და მისი რედაქტორის იმდროინდელ ამბავსაც ლეგენდად მოგიყვებიან.

ᲐᲮᲒᲝᲜᲔᲑᲐ

მაყვალა წითლანაძე

დაიბადა 1949 წელს. დაამთავრა ასპინძის საშუალო სკოლა 1966 წელს. 1967 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, გერმანული ენის სპეციალობით.

მუშაობდა ასპინძის რაიონის სოფელ ოშორასა და ნაქალაქევის სკოლებში გერმანული ენის მასწავლებლად. მოგვიანებით თბილისში, ფარმაცევტულ სასწავლებელში დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში.

ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

დაწყება რთული ყოფილა. ვფიქრობდი, რით და როგორ დამეწყო. ვიხსენებ ბავშვობას, სკოლის პერიოდს, მასწავლებლებს, კლასელებს. თუ ვინმე ან რაიმე გამომრჩება, გთხოვთ, მაპატიოთ. წლები გავიდა, გონება თანდათან იბინდება და მეხსიერებაც ისეთი აღარ არის.

მაშ ასე, ჩვენი სკოლის შენობა საკმაოდ სქელი კედლებით, მყარად ნაგები. კომუნისტების დროინდელი მშენებლობა 1936 წელს დამთავრებულა. ეს ალბათ ერთადერთი კაპიტალური შენობა იყო რაიონში.

1956-57 სასწავლო წლის პირველი სექტემბრის მზიანი დღე იდგა. სკოლის ეზოში შეკრებილია მოსწავლეები, დამამთავრებელი მე-10 კლასი და ჩვენ, მათი ცვლა - პირველკლასელები. ვიდექით და ვუყურებდით გაოცებული თვალები, ცოტა შეშინებულები. მეც მეშინოდა. ასეთი დიდი შენობა მანამდე არც მენახა. ჩუმად ვიდექით. ერთნაირად მოკრძალებულად გვეცვა. ახლა მელიმება, მაგრამ მაშინ ეს „საუკეთესო“ ჩასაცმელი იყო. წინა რიგში მასწავლებლები იდგნენ. ლამაზად ჩაცმულები და გვიღიმოდნენ.

ცოტა ხანში გამოაცხადეს ორი პარალელური პირველი კლასი. „ა“ პირველი და „ბ“ პირველი.

მოსწავლეები გაგვანაწილეს და დაგვაჯგუფეს. ჩვენკენ წამოვიდა მაღალი, ლამაზი, მომღიმარი ქალი და მოგვესალმა. ეს იყო ნაზი ცინაძე, ჩვენი პირველი მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი. ჩემთვის იგი არაჩვეულებრივი პედაგოგი და პიროვნება იყო. არ ვაჭარბებ, მართლაც საოცარი ადამიანი აღმოჩნდა. ორივე კლასის მოსწავლეები ვეჯიბრებოდით მერე ერთმანეთს - ვისი მასწავლებელი იყო უკეთესი და ვის უფრო ძალიან უყვარდა. მეორე კლასის დამრიგებელი ბაბულია ჯომარდიძე გახლდათ. მაღალი, სიმპათიური, შევერცხლილი თმით. მომთხოვნი, ცოტა მკაცრი, მაგრამ ობიექტური და ბაუშვების უზომოდ მოყვარული.

ნაზიკო მასწავლებელო, ასე მივმართავდით ხოლმე და ძალიან გვიყვარდა. პროფესიონალი იყო თავისი საქმის. ნაბიჯ-ნაბიჯ დებდა თითო აგურს ჩვენი განათლების საძირკველში. თვითონ იყო თვალსაჩინოება, წიგნიც, მშობლების იმედიც, იმიტომ, რომ საიმედო ხელში ვიყავით. ცელქები და ონავარდები ვიყავით, დიდობაში გარდაიცვალნენ სამწუხაროდ ნუგზარ ბერიძე, მირანდა ქართველიშვილი, თაკო ტივაძე, რეზო რიჟამაძე.

დღემდე საუკეთესო მეგობრები ვართ: მერაბ ბერიძე, მურთაზ ფართლაზე, დარეჯან ბარამიძე, მარიამ მურადაშვილი, მერი დათიაშვილი, ჩვენს შორის ყველაზე ცელქი და მოუსვენარი თმახუჭუჭა ბიჭი გელა ველიჯანაშვილი იყო.

რაიონი პატარა იყო. ყველა ერთმანეთს იცნობდა. უფროსები ერთი თაობისანი იყვნენ. ათასი ჭირ-ვარამისა და ომგამოვლილი თაობა. ერთმანეთის პატივისმცემლები–ჩვენი შვილები მომდევნო თაობა. გავიდა წლები და ჩვენც იგივე გამოვიარეთ.

პარალელური კლასელები კი გვერქვა, მაგრამ სულ ერთად ვიყავით. შინ და გარეთ. ეზოში, ოჯახებში. ჩვენ შორის განსხვავება არ იყო. ერთი და იგივე დავალებები, მასწავლებლები, თამაში, გართობა, უბრალოდ სხვადასხვა ოთახში ვისხედით. ეს იყო და ეს.

მე-8 თუ მე-9 კლასში მოსწავლეები შემოგვიერთდნენ იმ სოფლებიდან, სადაც საშუალო სკოლა არ იყო. ასე გახდა ჩემი კარგი მეგობარი ალექსი სეთურიძე, მთიულურ კილოზე მოლაპარაკე ბიჭი, რომელიც ახლახან გავიდა ამ ქვეყნიდან.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საუკეთესო მასწავლებლები გვყავდნენ. დუდუშა ცინაძე მათემათიკას გვასწავლიდა, როგორც მახსოვს ხაზვასაც. არც ერთი არ მიყვარდა. სულ მიკვირდა, როგორ ხვდებოდა, რომ ნახაზი ბიძაჩემის დახაზული იყო და დავალება მშობლების ამოხსნილი. არ დამავიწყდება და ახლაც თვალწინ მიდგას ისტორიკოსი გიორგი (გოგი) ბერიძე. სამამულო ომის მონაწილე. სულ ახალგაზრდა, პირტიტველა ბიჭი წავიდა ომში და იქიდან ცალი ხელითა და ფეხით დაბრუნდა. კლასში შემოსვლამდე დერეფანში ისმოდა მისი ფეხის ხმა. მძიმედ და ნელა მოძრაობდა. ასევე ნელა და დინჯად საუბრობდა. ვუყურებდით და ვუსმენდით. ეტყობა ხვდებოდა ჩვენს თანაგრძნობას და თვითონაც თბილად გვექცეოდა. მაღალი კლასიდან გოგი მასწავლებელი აბრამ ზაზაძემ შეცვალა. ისიც სამამულო ომის მონაწილე იყო, მაღალი სამხედრო წოდებით. გამხდარი, შეთხელებული თმით. კარგი მოსაუბრე, ენერგიული. დაფასებული და პატივსაცემი პიროვნება გახლდათ რაიონში.

წლების მანძილზე მართავდა სკოლას ნიკოლოზ (კოლია) დიასამიძე. კარგი დირექტორი და მენეჯერი. მას აწყობილი ჰქონდა სასწავლო პროცესი. ცოტა გვეშინოდა, მაგრამ საყვარელი პიროვნება იყო.

მისი მეუღლე შუშანა კურტანიძე გერმანულს გვასწავლიდა. წარმოშობით ჭიათურიდან გახლდათ და იმერული ენერგიით გამოირჩეოდა. პროფესიონალი არ იყო, მაგრამ დღევანდელ A, დონეს ფლობდა და კარგადაც გამოსდიოდა. მეც მისი პროფესია ავირჩიე და რაიონში დავბრუნდი მასწავლებლად. გეგმიური შემოწმების დროს ახლა მე ვესწრებოდი მის გაკვეთილებს და გაოცებული ვიყავი, ისეთივე აქტიური იყო, როგორც წლების უკან, ჩვენ დროს. მერე მოვიდა თამარ ალიბეგაშვილი, ნათელა მაზმიშვილი.

ფილოლოგი ნინო მაღრაძე მაღალ კლასებში ეკატერინე (კატო) ველიჯანაშვილმა შეცვალა. შესანიშნავი პედაგოგი იყო, დახვეწილი მოქართულე, სკოლის კედლის გაზეთის რედაქტორი. ლამაზი კალიგრაფიის გამო მე ამირჩია თანაშემწედ. ბევრ კარგ და საინტერესო თემას განვიხილავდით.

როგორც უკვე ვთქვი, ყველა, ვინც ჩვენ გვასწავლიდა საუკეთესო პედაგოგი იყო. როზა გიორგაძე, გუგული თარეშვილი, მაყვალა დოიჯაშვილი, შურა ბერიძე მათ შორის იყო ქიმიკოსი ლუბა ბრეგაძე (დუდუშა ცინაძის მეუღლე — ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს), ძლიერი და წამყვანი სპეციალისტი თავის პროფესიაში. არ მახსენდება გაკვეთილი ქიმიური ცდების გარეშე. სახალისო, საინტერესო და კრეატიული გაკვეთილები ლუბა მასწავლებლის საფირმო ნიშანი იყო. მკაცრი, მომთხოვნი და სამართლიანი. ასეთივე ენერგიული იყო ნანი კუკავა. ჩვენ არ გვასწავლიდა, მაგრამ ვიცოდით, რომ მის გაკვეთილებზე დასწრება შემოქმედების ზეიმი იყო. კრიტიკოსების ნაშრომების გავლენებისაგან თავისუფალი აზროვნების გაკვეთილები. ნეტავ გცოდნოდათ, როგორი პიროვნება იყო, როგორი ურთიერთობა ჰქონდა მოსწავლეებთან. კამათი, აზრთა სხვადასხვაობა, უბრალოდ სრული თავისუფლება.

სოსო ლეკიშვილი ფიზიკას გვასწავლიდა თუ თვალსაჩინოება არ ჰქონდა, დაფაზე ხატავდა, ხან გამოსდიოდა, ხან-არა. ერთხელ სიმძიმის ცენტრი აგვიხსნა. თვალსაჩინოებისათვის დაფაზე „ვანკა სტანკა“ სათამაშო დახატა. ისეთი ლამაზი ნახატი გამოვიდა, რომ აღტაცება ვერ დავმალეთ და გაგვიწყრა.

საოცარი დამრიგებელი გვყავდა მე-10 კლასში. ყოველმხრივ ნიჭიერი კაცი კოწია ფართლაძე. სმენა და ხმა კარგი ჰქონდა. ხალხური სიმღერის გუნდს ხელმძღვანელობდა და სპორტის გაკვეთილებსაც გვიტარებდა. ყველგან ერთად დავდიოდით. გავხალისდი სკოლის ბუფეტის გახსენებაზე. თავპირისმტრევით გავრბოდით დიდ შესვენებაზე, რომ ანიჩკა დეიდას ჯემიანი პურით დავნაყრებულიყავით. ღმერთო, რა გემრიელი იყო. ახლაც ვგრძნობ იმ ჯემის გემოს.

ძველი ფოტოები დავათვალიერე და გავიხსენე, რომ მურთაზს ფეხბურთი უყვარდა, მე ფილოლოგობა მინდოდა, დარეჯანს ეკონომისტობა, მარიამ მურადაშვილს მათემატიკოსობა, მზია ჯანაშვილს ექიმობა, უმრავლესობას დიასახლისობა. მერაბი გატაცებული იყო ფოტოების გადაღებით და ა.შ. ბოლოს მაინც ქართული ენისა და ლიტერატურის მოამაგე გახდა.

10 წლის შემდეგ, 1966-67 სასწავლო წლის ბოლოს ისევ მზიანი დღე იდგა. მე-10 და მე-11 კლასების ერთდროული გამოშვება. იყო

სიხარული, იყო ცრემლი, ჩვენ წამოვედით, მოვიდნენ ჩვენი შემ-ცვლელი პირველკლასელები.

კიდევ დიდხანს ისმოდა ჩვენი სკოლის დერეფნებში ბაუშვების ჟრიამული. მერე სკოლა დაიცალა, ახალ სტანდარტებს არ აკმა-ყოფილებსო და ახალი აშენდა. მოგვიანებით სკოლის შენობა მოსახლეობამ დაიკავა საცხოვრებლად, ისევ გაისმა ბაუშვების ხმა. ჩვენ კი დავიქსაქსეთ, წლები გავიდა, ახლა წარსულში გავი-ხედე და გამახსენდა, რომ ჩვენი პედაგოგები, სუფთა გულით და ხელებით გვაძლევდნენ განათლებას. დღეს არცერთი ცოცხალი აღარ არის. მხოლოდ ფოტოებზე შემოგვრჩა მათი სახეები. ხსოვნა იყოს მათი. და დაგვიანებულ მადლობას ვუხდით მათ გაწეული შრომისათვის.

თამარ ბლიაძე

მოგონებები ჯავახეთზე

ადამიანები ქრებიან, მოგონებები კი არა, ადამიანის მეხსიერებაში მთელი ცხოვრების მანძილზე გროვდება წუთები, რომლებიც დროის გასვლასთან ერთად ძვირფასი ხდება, მიუხედავად იმისა, თუ რას განვიცდიდით მაშინ.ჩემთვის სწორედ ასეთი ფასეულია ჯავახეთი და მასთან დაკავშირებული მოგონებები, რომლებიც ალბათ მთელი ცხოვრების მანძილზე მემახსოვრება.

კარგად მახსოვს 2002 წლის სექტემბერი, როდესაც ბატონი მერაბის დავალებით დამირეკეს და მითხრეს, რომ სამსახურში მიმიღეს და მეორე დღეს უკვე ჯავახეთში უნდა წავსულიყავი, მახსოვს ის განცდა, რაც დამეუფლა მაშინ ეს იყო გაუცნობიერებელი შიში იმ გარემოს მიმართ, რომელშიც მე აღმოვჩნდი, ასევე იყო უდიდესი პასუხისმგებლობა სტუდენტების წინაშე, მახსოვს თეთრად გათენებული ღამე მათთან შეხვედრის მოლოდინში. შემდეგ იყო სტუდენტებთან პირველი შეხვედრა და იმის აღმოჩენა, რომ თითოეული სტუდენტი უნიკალურია, ასწავლი მათ და სწავლობ მათგან ბევრს. შემდეგ დაიწყო დაუსრულებელი მგზავრობა ახალციხიდან ახალქალაქამდე, თვალწარმტაცი ხეობა, რომელიც წელიწადის ოთხივე დროს ულამაზესია, სუსხიანი ზამთარი,

რომელიც ძვლებში ატანს, თორმეტკაციანი ვილისი და სტუდენ-ტების გაოცებული მზერა, მანქანაში გახსნილი ქოლგა, ულამა-ზესი ცა, როგორც გიორგი კეკელიძე ამბობს თავის ერთ-ერთ ნა-წარმოებში „ცა ყველგან ერთი არ არისო," ამ სიტყვების სის-წორეში დარწმუნდებით, თუ ერთხელ მაინც ნახავთ ჯავახეთის უძირო ზეცას, შეგრძნება გეუფლება სულ ცოტაც, ცოტაც და ხე-ლით შეეხები, უნივერსიტეტის შენობა და დაკვამლული აუდი-ტორიები, კვამლის სუნით გაჟღენთილი პედაგოგები და სტუდენ-ტები, მათი თბილი დახვედრა ყოველ ჯერზე, რაც ძალას გვაძ-ლევდა გადაგველახა ყველა სირთულე. ყველაფერ სიკეთესთან ერთად ნაქირავებ ბინაშიც, სადაც ხუთი გოგო ვცხოვრობდით იგივე მდგომარეობა გვქონდა, ვერდანთებული ღუმელი, დაკვამ-ლული ოთახები, სამზარეულო სადაც ბოთლში წყალი იყინებოდა, მაგრამ ერთად ყოფნა გვიხაროდა, ერთმანეთს ძალას ვაძლევდით, იყო დიდი ტკივილიც, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა ჩვენს ცხოვრებაში, ამ ტკივილს ნინო ერქვა, რომელიც ჯავახეთის ფი-ლიალის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო, სიცოცხლით სავსე გო-გონა, რომელიც სიკეთეს ასხივებდა მოულოდნელად გაუჩინარდა ჩვენი ცხოვრებიდან. დასაწყისში აღვნიშნე დროის გასვლასთან ერთად ძვირფასი ხდება მოგონებები, მიუხედავად იმისა თუ რას განვიცდიდით, ამაში ნინოს ვგულისხმობდი,მიუხედავად ტკივილი-სა ბედნიერი ვარ, რომ მას ვიცნობლი და ჩემი მეგობრი იყო, მერე რა რომ მცირე დროით. რომ არა ჯავახეთის ფილიალი მას ვერ გავიცნობდი.

რაც მთავარია ჯავახეთის ფილიალმა ძალიან დიდი გამოცდი-ლება შემძინა პროფესიული თვალსაზრისით, ასევე ეუთოს პრო-გრამებში მონაწილეობამ, მიუხედავად დიდი წინაღმდეგობისა, უნივერსიტეტის დარბევისა, ჩემ თვალწინ შეიცვალა ჯავახეთის მოსახლეობის დამოკიდებულება უნივერსიტეტთან მიმართებაში. უნივერსიტეტი გახდა სანდო საყრდენი საერთო ეროვნულ საქმე-ში, და თუ დღეს ჯავახეთში ქართული გული ძგერს ეს ჩვენი უნივერსიტეტის მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია, ის დღეს კვლავ აგრძელებს არსებობას, მეამაყება როდესაც ჩემს ყოფილ სტუდენ-ტებს ვხვდები სხვავდასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, რადგან მეც მაქვს მცირედი წვლილი შეტანილი მათ წინსვლაში.

ერთხელ ბატონმა მერაბმა მორიგ შეხვედრაზე დაგვიბარა სხვადასხვა საკითხის განსახილველად შეხვედრის ბოლოს კი საჩუქრად გადმოგვცა წიგნი „ჯავახეთი“ ასეთი წარწერით „თამარს ჯავახეთის ფილიალის პირველი გაჭირვების გადამტანს, მომავლის იმედით“ დღევანდელი გადასახედიდან იმედი გამართლებულია, მეამაყება, რომ ყველა ამ პროცესის მონაწილე ვიყავი და ვარ.

სარჩევი

კრიტიკა
ნესტან სულავა *3*
ქართველი ერის კრეგსითი სახის
ინტერპრეტაციისათვის

კრიტიკა
ვახტანგ ინაური *30*
„არავის“ პოეზია

პროზა
მანანა გიუაშვილი *53*
არწივი
ერთი მთა ოქრო
ჭკუის კოლოფი
მდინარის პირას
ტვინით ვირი
ძეხვი
ძველი შეგონება

პროზა
ნათელა მელიქიძე *61*
ანაქალო
ბერუანთ ნინუა
ქუნცული
ზიარეთის მადლი
განცხადება დაწერა

პროზა
სოლომონ ნერგაძე *73*
მომენატრეგი ორპირიანი ზმნაა

ემიგრანტული პროზა
ნინო ბერიძე *82*
მესხური მოტივეგიდან
***
დედას
დამშვიდოგება

***
***
***
ბეთანია
ცხოვრებას
არაფერა...
დრო
იქ, სახლში
ბარბაროზა
მზე
ასპინძა

თარგმანი
ანა ახმატოვა *96*

პოეზია
ციური მესხიშვილი *99*

პოეზია
მურად მთვარელიძე *107*

პროზა
მზიური დათიაშვილი - აფციაური *114*

პოეზია
ნინო ახალაშვილი *124*

ეთნოგრაფია
თინა იველაშვილი *134*
კევის დამზადების ხალხური წესები
სამცხე-ჯავახეთში

ნიკოლოზ ოთინაშვილი *141*
გეოგრაფიულ სახელთა მეტამორფოზა

ნიკოლოზ ოთინაშვილი *147*
შევისწავლოთ ჩვენი მხარე
არამგამა

ესე
ნათელა ცისკარაძე *152*
ქვასაც გული აქვს

მოგონება
მაყვალა წითლანაძე *157*

მოგონებები
თამარ ბლიაძე *162*
მოგონებები ჯავახეთზე

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88
ელ. ფოსტა: jurnaliaravi@gmail.com